

# საქართველოს განათლების სისტემა

სამაგიდო კვლევა



ავტორი: ირინა გურგენაშვილი

წინამდებარე დოკუმენტი საქართველოს განათლების სისტემის სიტუაციური ანალიზია. კვლევის შედეგები ეყრდნობა ე.წ. Desk Study-ის მეთოდს და მეორადი მონაცემების დამუშავების საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას. საკვლევ პერიოდად განსაზღვრულია 2012-2018 წლები.

ლიტერატურის საერთო სია მოიცავს 92 წყაროს, მათ შორის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, სტრატეგიულ დოკუმენტებს, ადგილობრივი და საერთაშორისო რელევანტური კვლევების შედეგებს, სახელმწიფო სტრუქტურებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას და გადაწყვეტილების მიმღები პირების ოფიციალურ განცხადებებს.

კვლევა მოიცავს განათლების სისტემის ხუთი მნიშვნელოვანი კომპონენტის ზოგიერთი მიმართულების შეფასებას: ზოგადი განათლება, უმაღლესი განათლება, პროფესიული განათლება, საქართველოს განათლების სისტემა საერთაშორისო რეიტინგებში და განათლების სამინისტროს ბიუჯეტი.

## სარჩევი

1. ზოგადი განათლება .....	5
1.1 კვლევის ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: .....	5
1.2 ზოგადი მიმოხილვა და მიზნები.....	7
1.3 ზოგადი განათლების ბიუჯეტი.....	10
1.4 სასკოლო საატესტატო გამოცდები.....	12
1.5 მასწავლებლები.....	18
1.6 უსაფრთხო სასკოლო გარემო .....	24
2. უმაღლესი განათლება .....	29
2.1 უმაღლესი განათლების კვლევის ძირითადი მიგნებები: .....	29
2.2 ზოგადი მიმოხილვა.....	30
2.3 უმაღლესი განათლების ბიუჯეტი და დაფინანსების წესი.....	35
2.4 ერთიანი ეროვნული გამოცდები.....	37
2.5 სტატუსშეჩერებული სტუდენტები .....	46
3. პროფესიული განათლება .....	49
3.1 პროფესიული განათლების კვლევის ძირითადი მიგნებები: .....	49
3.2 ზოგადი მიმოხილვა და მიზნები.....	50
3.3 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები .....	53
3.4 პროფესიული განათლების დაფინანსების წესი, ბიუჯეტი და დასაქმება.....	59
3.5 პროფესიული განათლების კვლევები საქართველოში .....	61
3.6 პროფესიული განათლების გამოწვევები .....	64
4. საქართველოს განათლების სისტემა საერთაშორისო კვლევებსა და რეიტინგებში.....	67
4.1 საერთაშორისო კვლევების მიხედვით, საქართველოს განათლების სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი მიგნებები: .....	67
4.2 ანალიზი .....	69
4.3 წიგნიერების საერთაშორისო კვლევა.....	70
Progress in International Reading Literacy Study (PIRLS) .....	70
4.4 მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა Trends in International Mathematics and Science Study (TIMSS).....	77

4.5 მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა.....	81
The Programme for International Student Assessment (PISA).....	81
4.6 მასწავლებელთა განათლების და განვითარების საერთაშორისო კვლევა - მათემატიკა.	86
Teacher Education and Development Study in Mathematics (TEDS-M) .....	86
4.7 სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა .....	87
The Teaching and Learning International Survey (TALIS) .....	87
4.8 თაობა გარდამავალ პერიოდში .....	90
5. განათლების სამინისტროს ბიუჯეტი და ადმინისტრაციული ხარჯები .....	91
5.1 მიგნებები:.....	91
5.2 ბიუჯეტი .....	92
5.3 ადმინისტრაციული ხარჯები.....	97
5.4 ავტოპარკის ხარჯები .....	99

## 1. ზოგადი განათლება

ზოგადი განათლება არის განათლების სისტემის ის ძირითადი ფუნდამენტი, რომელიც განაპირობებს ქვეყნის მოქალაქის პიროვნულ თუ პროფესიულ ზრდას და რომელსაც უნდა დაშენდეს სახელმწიფოს განვითარების პროცესი. არ მოიძებნება ქვეყანაში იმაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, ვიდრე ზოგადი განათლების ხელშეწყობა, მისი დახვეწა და გამართვაა.

წინამდებარე კვლევაში გაანალიზდა საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა, სკოლებში არსებული მდგომარეობა, ხარვეზები და ამ ხარვეზების აღმოფხვრის გზაზე სახელმწიფოს მიდგომები.

### 1.1 კვლევის ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- 2014-2018 წლებში ზოგადი განათლების დაფინანსების პროცენტული წილი, განათლების სამინისტროს საერთო ბიუჯეტიდან, მეტწილად მცირდება.
- 2012-2018 წლებში საატესტატო გამოცდებში საგამოცდო ზღვარს მიღმა დარჩენილი მოსწავლეების რაოდენობა წლიდან-წლამდე იზრდება. განსაკუთრებით მძიმეა ბოლო სამი წლის მონაცემები: 2016 წელს მოსწავლეების 25% დარჩა საგამოცდო ზღვარს მიღმა, 2017 წელს - 27%, ხოლო 2018 წელს - 24.5 %.
- ხელისუფლების გადაბარების მიზეზით, 2013 წელს კომპიუტიზირებული (G-cat) მოდელით საატესტატო გამოცდები არ ჩატარებულა. თითოეულ სკოლას უფლებამოსილება მიენიჭა თავად გადაეწყვიტა გამოცდის ჩატარების მეთოდი. გავრცელებული ინფორმაციით, ბევრ სკოლაში მოსწავლეები წინასწარ ფლობდნენ ტესტების ნიმუშებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, საგამოცდო ზღვარს მიღმა მოსწავლეების 21% დარჩა.
- არსებული ტენდენცია აჩვენებს, რომ უცხო ენა და მათემატიკა საქართველოს მოსწავლეებისთვის ყველაზე მეტად პრობლემური საგნებია, ამ საგნებში საგამოცდო ზღვარს მიღმა დარჩენილი აპლიკანტების მზარდი ტენდენცია კი გვაფიქრებს, რომ ხარვეზების აღმოსაფხვრელად სერიოზული ნაბიჯები არ იღებება.

- უცხო ენაში მოსწავლეების ჩაჭრის ყველაზე მაღალი პროცენტული წილის პარალელურად, ბიუჯეტში მცირდება ენის შესწავლის გაძლიერების პროგრამის დაფინანსება.
- გასული წლების შედეგები აჩვენებს, რომ პედაგოგების უდიდეს ნაწილს არ შეუძლია გადალახოს საგნობრივი და პროფესიული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- კანონის 2017 წლამდე მოქმედი ვერსიით, იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი 3 წლის განმავლობაში (ამ დროში 6-ჯერ შეეძლო მასწავლებელს გამოცდაზე გასვლა) ვერ ჩააბარებდა საგნის გამოცდას, სკოლა ვალდებული იყო, გაეწყვიტა მასთან შრომითი ურთიერთობა. 2017 წელს ეს წესი შეიცვალა. მოქმედი კანონით, არსებული ბარიერი მოიხსნა და პრაქტიკოსი მასწავლებელი შესაბამისი კრედიტულების ვერ დაგროვების შემთხვევაში, სკოლას არ ტოვებს. თუმცა, ის ვალდებულია იმუშაოს სტატუსის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ვალდებულებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ასამოქმედებელი რეგულაციები არ არსებობს.
- საქართველოს სკოლები მასწავლებლებს ვერ უზრუნველყოფენ შესაბამისი რაოდენობის საათებით. მასწავლებლების 50%-ზე მეტი, არასრულ განაკვეთზე მუშაობს, მათგან უმეტესობა საკუთარი ნების წინააღმდეგ. შედარებისთვის, 2015 წლის მონაცემებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მასწავლებელთა მხოლოდ 12% მუშაობს არასრულ განაკვეთზე და მათი ნახევრისთვის ეს საკუთარი არჩევანია.
- საქართველოში მასწავლებლის შრომის ანაზღაურება ნებისმიერი პარამეტრის მიხედვით დაბალია. თუ საქართველოში 10 წლის გამოცდილების ბაკალავრის დიპლომის მქონე მასწავლებლის ხელფასს, სხვა ქვეყნებში იგივე ფორმალური მახასიათებლების მქონე მასწავლებლის ხელფასს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ქართველი პედაგოგების ხელფასი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შრომის ანაზღაურებას.
- 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, მოქმედი ხელისუფლების დაპირებამ საზოგადოებაში ისეთი ფონი შექმნა, თითქოს, ყველა მასწავლებლის საშუალო ხელფასი 800 ლარი იქნებოდა. რეალურად, პედაგოგთა ხელფასების ზრდის მოქმედი სქემა, მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველაზე მაქსიმუმ, მასწავლებელთა 9 %-თვის იძლევა ხელფასის ამ ზღვრამდე ზრდის საშუალებას.

- საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა მასწავლებლის პროფესიის დაბერების პრობლემის წინაშეც დგას. მასწავლებლების საშუალო ასაკი საქართველოში 5 წლით აღემატება პედაგოგთა საერთაშორისო კვლევაში მონაწილე 35 სახელმწიფოს მასწავლებელთა საშუალო ასაკს.
- საქართველოში მასწავლებლის პროფესიის შრომის ბაზარი გაჯერებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ პროფესიაში შესვლის მსურველთა წილი, მნიშვნელოვნად აღემატება პენსიაზე გასულ მასწავლებელთა წილს.
- შედარებით ხანდაზმული მასწავლებლების მაღალი წილი თავისთავად უარყოფით მოვლენად არ უნდა განვიხილოთ, თუმცა ეს არის აშკარა დადასტურება იმისა, რომ ახალგაზრდებს აქვთ დაბალი კომპეტენცია ან/და დაბალი მოტივაცია მასწავლებლის პროფესიის მიმართ.
- საქართველოს სკოლების მხოლოდ 20%-ში აღირიცხება მოსწავლეების დარღვევების სტატისტიკა და მოსწავლეების მხრიდან ერთმანეთზე განხორციელებული ძალადობის, დაშინების, ჩაგვრის (Bullying) სტატისტიკა. ამ მიმართულებით დარჩენილი სკოლების 80%-ში რა ხდება, სამინისტრო ინფორმაციას არ ფლობს.
- იმ სკოლებში სადაც დარღვევების და ძალადობის სტატისტიკა აღირიცხება, ყოველწლიურად იზრდება დანაშაულებრივი ფაქტები (მოსწავლეების მხრიდან ერთმანეთის დაშინება და ძალადობა, გაკვეთილების ჩაშლა, ფულის გამოძალვა, გაკვეთილებიდან გაპარვა, ალკოჰოლის, თამბაქოს და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, ცივი იარაღის ტარება და ა.შ.).
- „უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს“ პროგრამის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება, თუმცა ის ვერ უზრუნველყოფს ფიზიკურად თუ ემოციურად უსაფრთხო სასწავლო პროცესის არსებობას საქართველოს სკოლებში.

## 1.2 ზოგადი მიმოხილვა და მიზნები

ზოგადმა განათლებამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის. საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;
- ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;
- ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება;
- დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;
- იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;
- საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ;
- კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;
- იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

სრული ზოგადი განათლება საქართველოში მოიცავს სამ საფეხურს:

1. დაწყებითი - I-VI კლასები;
2. საბაზო - VII-IX კლასები;
3. საშუალო - X-XII კლასები.

დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.

სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევების დონის დაძლევას, სკოლის გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და შესაბამისი დოკუმენტით სახელმწიფოს მიერ ამის დადასტურებას.

საბაზო განათლების მიღების შემდეგ გაიცემა საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი. საბაზო საფეხურის დაძლევის საფუძველზე პირს აქვს უფლება, გავიდეს სკოლიდან, სწავლა გააგრძელოს ზოგადი განათლების მესამე საფეხურზე ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავენ და ავითარებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი. ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, შედეგზე ორიენტირებულ, მოსწავლეზე გათვლილ განათლების სისტემის კონცეფციას. სტრუქტურულად მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებათა აღწერას, საგნობრივ პროგრამებს. ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეიმუშაებს სასკოლო სასწავლო გეგმას. ზოგადი განათლების სისტემას საქართველოში არეგულირებს 2005 წელს მიღებული „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი.<sup>1</sup>

ზოგადი განათლების მიღება შესაძლებელია საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში - სკოლებში.<sup>2</sup>

2018 წლის მონაცემებით, საქართველოში სულ 2 311 სკოლაა, აქედან 2 085 საჯარო, ხოლო 226 კერძო სკოლაა (წლების მიხედვით რამდენი საჯარო და კერძო სკოლა იყო საქართველოში იხ. ცხრილ 1-ში).

<sup>1</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248>

<sup>2</sup> განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ზოგადი განათლება. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://eqe.ge/geo/static/115>

**ცხრილი 1: 2011-2018 წლებში საჯარო და კერძო სკოლების რაოდენობა საქართველოში**

	საჯარო სკოლა	კერძო სკოლა
2011	2 084	233
2012	2 084	236
2013	2 084	244
2014	2 084	246
2015	2 085	246
2016	2 085	246
2017	2 085	236
2018	2 085	226

2018 წლის მაისის თვის მონაცემებით, მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობა საჯარო სკოლებში 513 007, ხოლო კერძო სკოლებში - 57 513-ია.<sup>3</sup>

**1.3 ზოგადი განათლების ბიუჯეტი**

ზოგადი განათლების ბიუჯეტი მოიცავს შემდეგ ძირითად პროგრამებს: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფას, წარმატებულ მოსწავლეთა წახალისებას, განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას, მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას, საზაფხულო სკოლების დაფინანსებას, ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსურ დახმარებას, ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისთვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობას, ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვას და მონიტორინგს, საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ზოგადი დაფინანსების ხელშეწყობას, სკოლების

<sup>3</sup> განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური წერილი

საგრანტო დაფინანსებას და ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართული დაწესებულების ინტერნეტ კავშირის უზრუნველყოფას.

2018 წლის განათლების სამინისტროს დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმით, ზოგად განათლებაზე მიმართული თანხა შეადგენს 678 065 000 მლნ ლარს. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის შემდეგ ზოგადი განათლების დაფინანსების პროცენტული წილი, განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან, მეტწილად მცირდება. თუ აბსოლუტურ რიცხვებში გამოხატულ მონაცემებს დავაკვირდებით, ზოგადი განათლების დაფინანსების მოცულობა იზრდება, მაგრამ იმისათვის, რომ დავინახოთ სრული სურათი, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, როგორ იცვლება ზოგადი განათლების დაფინანსება განათლების სამინისტროს ბიუჯეტთან მიმართებით. აღნიშნულმა შეფარდებამ გამოაჩინა, რომ ზოგადი განათლების წილი უმეტეს წლებში მცირდება. 2012 წელს იყო 59.3 %, 2013 წელი - 76.2%, 2014 წელი - 63.3%, 2015 წელი - 62.4 %, 2016 წელი - 63.7 %, 2017 წელი - 61%, ხოლო 2018 წლის გეგმით - 57.2 % (იხ. ცხრილი 2).

**ცხრილი 2:** 2013-2018 წლებში ზოგადი განათლების ბიუჯეტი და მისი მიმართება განათლების სამინისტროს ბიუჯეტთან<sup>4</sup>

წელი	ზოგადი განათლების ბიუჯეტი	განათლების სამინისტროს სრული ბიუჯეტი	ზოგადი განათლების ბიუჯეტის წილი განათლების სამინისტროს ბიუჯეტში (%)
2012	372 083 552	626 744.0	59.3%
2013	469 565 892	615 975 922	76.2%
2014	436 040 137	687 971 752	63.3%
2015	485 043 770	776 378 111	62.4%
2016	576 446 655	904 356 716	63.7%
2017	642 603 013	1 052 996 982	61%
2018	678,065.0	1 186 215.0	57.2%

<sup>4</sup> საქართველოს სახელმწიფო ხაზინა. *სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშგებები. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება*. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://treasury.ge/5631>; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. *საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტების ასიგნებები*. 2018 წლის გეგმა. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/tavebi/VI\\_TAVI\\_11.12.2017.pdf](https://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/tavebi/VI_TAVI_11.12.2017.pdf)

**შენიშვნა:** 2013-2017 წლებში მიმოხილულია უკვე შესრულებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, ხოლო 2018 წლის შემთხვევაში ბიუჯეტის გეგმა.

#### 1.4 სასკოლო საატესტატო გამოცდები

სასკოლო საატესტატო გამოცდების მოსწავლეების მიერ დაძლევა/ვერ დაძლევის საკითხი, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რისი მეშვეობითაც ფასდება სასკოლო განათლების წარმატებულობის ხარისხი. აღნიშნული ტესტი არის გამოცდა არა მხოლოდ აპლიკანტი მოსწავლეებისთვის, არამედ თავად ქვეყნის ზოგადი განათლების სისტემისთვისაც, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსწავლეების საჭირო უნარების განვითარება განათლების შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად.

2010 წელს საქართველოს მთავრობამ სკოლებში საერთო საატესტატო გამოცდების შემოღების გადაწყვეტილება მიიღო. ტესტირების შინაარსობრივი, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური (პროგრამული) მხარის მომზადება, შემდეგ კი განხორციელება, გამოცდების ეროვნულ ცენტრს დაევალა. საატესტატო გამოცდებისათვის კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირება შეირჩა, როგორც ამოცანის ყველაზე ოპტიმალური და ეფექტური გადაჭრის გზა. ცენტრის მიერ IRT (Item Response Theory) თეორიაზე დაყრდნობით შემუშავდა ალგორითმი. საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფმა კი შექმნა პროგრამა, რომელიც ყველა შესაძლო რისკის გათვალისწინებით უზრუნველყოფდა ცენტრალიზებული, კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების ჩატარებას საქართველოს სკოლებში. კომპიუტერული ტესტირების სხვადასხვა მიდგომის განხილვისას უპირატესობა მიენიჭა ინტერნეტით განხორციელებულ ტესტირებას. სისტემის მეტი სანდოობისა და დაცულობისათვის შეიქმნა სპეციალური პროგრამა ე.წ. Gcat browser-ი, რომელიც უზრუნველყოფს ტესტირების სრულ დაცულობას და ზღუდავს კომპიუტერის სტანდარტულ შესაძლებლობებს (start; copy; paste; task manager და ა.შ.). დღევანდელი მდგომარეობით, გამოცდების ნაწილს სკოლის მოსწავლეები მეთერთმეტე კლასის ბოლოს, ნაწილს კი, მეთორმეტე კლასის დასრულების შემდეგ აბარებენ.<sup>5</sup>

პირველად G-cat საატესტატო გამოცდები 2011 წელს ჩატარდა. მას შემდეგ, საგამოცდო ზღვარს მიღმა დარჩენილი მოსწავლეების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 2011 წელს გამოცდაში მონაწილე აპლიკანტების 14.4%-მა (5 978

<sup>5</sup> შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი. *სკოლის გამოსაშვები გამოცდები*.

აპლიკანტი) ვერ გადალახა გამოცდების მინიმალური ზღვარი ერთ საგანში მაინც, 2018 წელს ზღვარს მიღმა დარჩენილი აპლიკანტების რაოდენობა, საერთო რაოდენობის 24.5%-ია. კონკრეტულად, გამოცდაზე გასული 47 669 აპლიკანტიდან, ერთ საგანში მაინც მინიმალური ზღვარი ვერ დაძლია 11 674-მა მოსწავლემ.

რაც შეეხება გასულ წლებს, 2017 წელს რეგისტრირებული 48 434 აპლიკანტიდან, გამოცდაზე გავიდა 47 063 აპლიკანტი, გამოსაშვები გამოცდები ვერ დაძლია 12 803-მა მათგანმა, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 27%-ია. 2016 წელს საგამოცდო ზღვარს მიღმა დარჩა აპლიკანტთა 25.3%, 2015 წლის იგივე მაჩვენებელი 14.8%-ია, 2014 წელს - 14%, ხოლო 2012 წელს 11.7 %.

გამონაკლისია 2013 წელი, როდესაც საერთო საატესტატო გამოცდები კომპიუტიზირებული წესით (G-cat გამოცდები) არ ჩატარებულა. 2013 წლის გამოცდები 4+4 მოდელით, ორ ეტაპად ჩატარდა. კონკრეტულ საგანში გამოცდის ფორმის არჩევის გადაწყვეტილებას თავად სკოლა იღებდა. დაანგარიშებული მონაცემებით, 2013 წელს ერთ საგანში მაინც მინიმალური ზღვარი ვერ გადალახა მოსწავლეების 20.9%-მა (იხ. ცხრილი 3; გრაფიკი 1).<sup>6</sup>

გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მაია მიმინოშვილის განცხადებით, 2013 წელს გამოცდები კომპიუტიზირებული მეთოდით ორი მიზეზის გამო არ ჩატარებულა. ერთი, რომ ქვეყანაში იყო გარდამავალი პერიოდი, ხელისუფლების გადაბარების პროცესი და ეს ხელს შეუშლიდა გამოცდების ეფექტურად ჩატარებას, გარდა ამისა, განათლების სამინისტრო და გამოცდების ცენტრი საუბრობდა გარკვეული სახის ეჭვებზე/შიშებზე, რომ მაშინდელმა მინისტრმა საგამოცდო ბაზები ცენტრიდან სამინისტროში გადაიტანა, არ არსებობდა სანდო ბაზა და გამოცდების ჩატარება რისკის შემცველი იყო.<sup>7</sup>

გავრცელებული ინფორმაციით (რამდენიმე სკოლაში დადასტურებული ინფორმაცია), 2013 წლის გამოცდებისას, მოსწავლეები წინასწარ ფლობდნენ საგამოცდო ტესტის ნიმუშებს. ზოგადად, 2013 წლის საატესტატო გამოცდების ირგვლივ ბევრი ეჭვი და კითხვის ნიშანი არსებობს საზოგადოებაში.


<sup>6</sup> გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრის ოფიციალური წერილი. საატესტატო გამოცდების შედეგები. 2011-2018 წლები.

<sup>7</sup> მაია მიმინოშვილის ინტერვიუ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://netgazeti.ge/life/17145/>

**ცხრილი 3:** 2011-2018 წლებში რეგისტრირებული, გამოცდებზე გასული და საგამოცდო ზღვარს მიღმა დარჩენილი მოსწავლეები

წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
რეგისტრირებული მოსწავლეები	46 490	41 483	41 947	38 140	44 482	47 084	48 434	49 248
გამოცდაში მონაწილეობდა	41 482	40 545	37 945	37 189	43 525	45 688	47 063	47 669
ზღვარი ვერ გადალახა	5 978	4 727	7 941	5 235	6 446	11 577	12 803	11 674
%	14.4%	11.7%	20.9%	14%	14.8%	25.3%	27%	24.5%

**გრაფიკი 1:**



საინტერესოა, ასევე, ის საგნები, რომლებიც მოსწავლეებისთვის, გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო პრობლემურია.

2011, 2014, 2015, 2016 და 2017 წლებში, მოსწავლეებისთვის ყველაზე მეტად რთულად გადასალახი საგანი უცხო ენა იყო, ხოლო 2012 და 2018 წლებში, ფიზიკა და მათემატიკა (იხ. ცხრილი 4).

**ცხრილი 4: 2011-2018 წლებში სასკოლო საატესტატო გამოცდების პრობლემური საგნები და ამ საგნების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს მიღმა დარჩენილი აპლიკანტების საერთო რაოდენობა**

წელი	2011	2012	2014	2015	2016	2017	2018
საგანი	უცხო ენა	ფიზიკა	უცხო ენა	უცხო ენა	უცხო ენა	უცხო ენა	მათემატიკა
მონაწილეთა საერთო რაოდენობა	43 605	38 981	37 016	41 191	43 022	42 817	37 572
ზღვარს მიღმა დარჩენილთა საერთო რაოდენობა	7 928	1 773	2 170	3 240	6 524	6 486	4 914

საქართველოში სულ ოთხ უცხო ენაში – ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენა - ტარდება საერთო საატესტატო გამოცდები. შესაბამისად, უცხო ენაში ჩაჭრილ მოსწავლეთა რაოდენობა, ამ ოთხ ენაში ზღვარს მიღმა დარჩენილი აპლიკანტების საერთო რაოდენობაა. რადგან პროცენტულად ყველაზე მეტი მოსწავლე ინგლისურ ენას აბარებს, მინიმალური კომპეტენციის ზღვარს მიღმა უფრო მეტი მოსწავლე სწორედ ამ საგანში დარჩა. მაგალითისთვის, 2018 წელს უცხო ენებში ჩაჭრილი მოსწავლეების სრული რაოდენობის 35%-ს შეადგენდა ინგლისურ ენაში ჩაჭრილი მოსწავლეების რაოდენობა. აქვე აღსანიშნავია, რომ „ინგლისური ენის

სწავლების გაძლიერების პროგრამა“, რომელიც განათლების სისტემაში 2009 წელს დაინერგა<sup>8</sup> და რომელიც ზოგადი განათლების ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, აღარ ფუნქციონირებს. 2014 წლის ბიუჯეტში იგივე მუხლი (32 02 07) შეიცვალა „საზაფხულო სკოლების პროგრამით“, ხოლო 2018 წლის ბიუჯეტში „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად პროგრამით“.<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ 2017 წლის გარდა, ყველა სხვა შემთხვევაში ამ პროგრამული კოდის ბიუჯეტი შემცირდა - თუ 2013 წელს მისი დაფინანსება იყო 904 000 ათასი ლარი, 2018 წლის გეგმით - 352 974 ათასი ლარია. გამონაკლისია 2017 წელი, როდესაც პროგრამის საერთო დაფინანსებამ უპრეცედენტო თანხა, 2 462 700 მლნ ლარი შეადგინა, თუმცა მიუხედავად ამისა, 2017 წელს უცხო ენა კვლავ ყველაზე პრობლემური საგანი იყო (იხ. ცხრილი 5).

**ცხრილი 5:** 2013-2018 წლებში განათლების ბიუჯეტში კოდით 32 02 07 განსაზღვრული პროგრამები და მისი დაფინანსების რაოდენობა

წელი	პროგრამის დასახელება	ბიუჯეტი
2013	ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების პროგრამა	904 000
2014	საზაფხულო სკოლები	773 908
2015	საზაფხულო სკოლები	802 544
2016	საზაფხულო სკოლები	701 965
2017	საზაფხულო სკოლები	2 462 700
2018	დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად	352 974

**შენიშვნა:** 2013-2017 წლებში მიმოხილულია უკვე შესრულებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, ხოლო 2018 წლის შემთხვევაში ბიუჯეტის გეგმა.

<sup>8</sup> საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის ბრძანება. ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების პროგრამა. ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://www.mes.gov.ge/upload/multi/geo/1241758942\\_inglisuri%20programa.pdf](http://www.mes.gov.ge/upload/multi/geo/1241758942_inglisuri%20programa.pdf)

<sup>9</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს მთავრობის განკარგულება. „საზაფხულო სკოლების“ პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ განხორციელების შესახებ. 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3675325>

საბოლოო ჯამში, სასკოლო გამოცდების შედეგები აჩვენებს, რომ უცხო ენებში, განსაკუთრებით ინგლისურ ენაში, საქართველოს მოსწავლეებს სერიოზული პრობლემები აქვთ. გარდა იმისა, რომ აუცილებელია სკოლებში სხვადასხვა მეთოდებით გამოსწორდეს ენის სწავლება, ასევე, უნდა მოწესრიგდეს დამატებითი სწავლების მოდელი, მისი დაფინანსების საკითხი და ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამის შინაარსობრივი მხარე. 2017 წლის მაგალითმა აჩვენა, რომ ენის განვითარების პროგრამის მხოლოდ ბიუჯეტის გაზრდა, შესაბამის და საჭირო შედეგებს ვერ იძლევა, თუმცა ამ შედეგების გათვალისწინებით, არც ბიუჯეტის შეკვეცაა მართებული მიდგომა.

წლების მიხედვით რიგით მეორე საგანი, რომლის ჩაბარებაც მოსწავლეებს უჭირთ, მათემატიკაა. 2011-2017 წლებში უცხო ენასა და მათემატიკაში თითქმის ერთნაირად მძიმე შედეგები იყო, 2018 წელს კი, მათემატიკაში ჩაჭრილთა რაოდენობამ გადააჭარბა უცხო ენებში ზღვარს მიღმა დარჩენილი მოსწავლეების რაოდენობას (იხ. ცხრილი 6).

**ცხრილი 6: 2011-2018 წლებში, სასკოლო საატესტატო გამოცდებში მათემატიკის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს მიღმა დარჩენილი მოსწავლეები**

წელი	2011	2012	2014	2015	2016	2017	2018
მოსწავლეთა რაოდენობა (მათემატიკა)	7 790	1 164	2 104	2 987	5 990	6 323	4 914

ჩაბარების თვალსაზრისით, რიგით მესამე რთული საგანი, საქართველოს მოსწავლეებისთვის, 2011 წელს ქართული ენა და ლიტერატურა აღმოჩნდა, 2012 წელს – ფიზიკასთან, უცხო ენასთან და მათემატიკასთან ერთად – ბიოლოგია, 2014 წელს – ისტორია, 2015 წელს – ქართული ენა და ლიტერატურა, 2016 წელს – ისტორია, 2017 წელს – ფიზიკა, 2018 წელს, ასევე, ფიზიკა.<sup>10</sup>

არსებული ტენდენცია აჩვენებს, რომ უცხო ენა და მათემატიკა საქართველოს მოსწავლეებისთვის ყველაზე მეტად პრობლემური საგნებია, ამ საგნებში ზღვარს

<sup>10</sup> საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური წერილი

მიღმა დარჩენილი აპლიკანტების მზარდი ტენდენცია კი, გვაფიქრებს, რომ პრობლემის აღმოსაფხვრელად სერიოზული ნაბიჯები არ იდგმება. ზოგადად, საატესტატო გამოცდებში ზღვარს მიღმა დარჩენილი მოსწავლეების მზარდი რიცხვი კი, სასკოლო განათლების სისტემური პრობლემების და ხარვეზების აშკარა ილუსტრირებაა.

### 1.5 მასწავლებლები

2018 წლის მაისის თვის მონაცემებით (სასწავლო წლის დასასრული), საქართველოს საჯარო სკოლებში 57 944 მასწავლებელია, ხოლო კერძო სკოლებში - 7 211. ერთ საჯარო სკოლაში საშუალოდ 28, კერძოში კი 32 პედაგოგი მუშაობს. მოსწავლე-მასწავლებლის თანაფარდობა საჯარო სკოლაში არის 9, ხოლო კერძო სკოლაში - 8.

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების<sup>11</sup> მიხედვით, საქართველოში მასწავლებლები 4 კატეგორიად იყოფიან: *პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორი*. პრაქტიკოსია მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად; უფროსია მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს, როგორც პრაქტიკოსის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ასევე, აქვს შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები; წამყვანია პედაგოგი, რომელიც როგორც აკმაყოფილებს უფროსი პედაგოგის მოთხოვნებს, ასევე, პრაქტიკული კვლევის საფუძველზე, შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებს და შედეგებს უზიარებს კოლეგებს; რაც შეეხება მენტორ მასწავლებელს, ის გარდა იმისა, რომ აკმაყოფილებს წამყვანი პედაგოგის ყველა მოთხოვნას, ასევე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებსა და დამწყები მასწავლებლების პედაგოგიურ პრაქტიკას<sup>12</sup>.

<sup>11</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს მთავრობის დადგენილება მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესახებ. 2015. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2739007?publication=6>

<sup>12</sup> საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანება საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე. 2015. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2739007>

საქართველოს საჯარო სკოლების პედაგოგთა სრული რაოდენობიდან, 40 924 არის პრაქტიკოსი, 16 811 - უფროსი, 202 - წამყვანი და 7 მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებელი<sup>13</sup> (იხ. ცხრილი 7).

**ცხრილი 7:** საქართველოს საჯარო სკოლების პედაგოგთა სტატუსები და სტატუსის შესაბამისი რაოდენობა

პედაგოგის სტატუსი	პრაქტიკოსი	უფროსი	წამყვანი	მენტორი
რაოდენობა	40 924	16 811	202	7

საქართველოს კერძო სკოლების პედაგოგთა სრული რაოდენობიდან, 3 535 არის პრაქტიკოსი, 2 420 - უფროსი, 72 - წამყვანი და 1 მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებელი.

კერძო სკოლებში მომუშავე 1 183 მასწავლებლის სტატუსი არ არის განსაზღვრული. რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი კარიერული განვითარების სქემაში ჩართულები არ არიან. კანონის თანახმად, კერძო სკოლებს მასწავლებლის კარიერული წინსვლის სქემაში მონაწილეობის ჩართვის ვალდებულება არ გააჩნიათ (იხ. ცხრილი 8).

**ცხრილი 8:** საქართველოს კერძო სკოლების პედაგოგთა სტატუსები და სტატუსის შესაბამისი რაოდენობა

სტატუსი	პრაქტიკოსი	უფროსი	წამყვანი	მენტორი	სტატუსი არ არის განსაზღვრული
რაოდენობა	3 535	2 420	72	1	1 183

მასწავლებლების ხარისხზე მსჯელობის შესაძლებლობას მასწავლებლის სერტიფიცირების გამოცდების შედეგები გვაძლევს. გამოცდებს ატარებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. გასული წლების შედეგების მიხედვით,

<sup>13</sup> საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური წერილი

მასწავლებლების უდიდესმა ნაწილმა ვერ გადალახა საგნობრივი და პროფესიული გამოცდების მინიმალური ზღვარი. გამომდინარე იქიდან, რომ დღეისათვის საჯარო სკოლებში 16 811 უფროსი მასწავლებელია, შესაბამისად, სწორედ ამდენ მასწავლებლებს აქვს კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი. საჯარო სკოლების 41 133 მასწავლებელს კი შესაბამისი სერტიფიკატი არ აქვს.

კანონის 2017 წლამდე მოქმედი ვერსიით, იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი 3 წლის განმავლობაში (ამ დროში 6-ჯერ შეეძლო მასწავლებელს გამოცდაზე გასვლა) ვერ ჩააბარებდა საგნის გამოცდას, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ვერ დააგროვებდა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელ კრედიტულებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული იყო გაეწყვიტა მასთან შრომითი ურთიერთობა და გამოაცხადებინა ვაკანსია შესაბამის პოზიციაზე. 2017 წელს, ყოფილი განათლების მინისტრის, ალექსანდრე ჯეჯელავას, გადაწყვეტილებით, აღნიშნული წესი შეიცვალა. დღეისათვის მოქმედი კანონით, არსებული ბარიერი მოიხსნა და პრაქტიკოსი მასწავლებელი შესაბამისი კრედიტულების ვერ დაგროვების შემთხვევაში, სკოლას არ ტოვებს. თუმცა, ის ვალდებულია იმუშაოს სტატუსის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ვალდებულებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ასამოქმედებელი რეგულაციები არ არსებობს. ახალი კანონი 2017 წლის 26 იანვარს არის მიღებული, გასული ვადა ჯერჯერობით არ არის საკმარისი რაიმე სახის ტენდენციის დასანახად და იმის შესაფასებლად თუ რა დადებითი ან უარყოფითი ცვლილებები გამოიწვია კანონმა.

მასწავლებლის სასერტიფიკატო გამოცდების გასული წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ მასწავლებლებისთვისაც, გამოცდის ჩაბარების თვალსაზრისით, ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საგანს ინგლისური ენა და შემდეგ მათემატიკა წარმოადგენს.

რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, მოქმედი მასწავლებლის ხელფასი დიდწილად განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიაში შესვლის მსურველთა რაოდენობასა და კომპეტენციებს, განათლების პროგრამების სტრუქტურების კომპეტენციებსა და მასწავლებლის პროფესიაში დარჩენის ალბათობას. მასწავლებლის ანაზღაურება საქართველოში ყველა საზომის მიხედვით დაბალია. თუ საქართველოში 10 წლის გამოცდილების მქონე ბაკალავრის დიპლომის მქონე მასწავლებლების ხელფასს სხვა ქვეყნებში იგივე ფორმალური მახასიათებლების მქონე მასწავლებლების ხელფასს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ქართველი მასწავლებლების ანაზღაურება

მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხელფასებს.<sup>14</sup>

საქართველოში საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობას და პირობებს, ასევე, არეგულირებს საქართველოს განათლების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის ბრძანება, რომლის მიხედვითაც, მასწავლებელთა ხელფასები მათი პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისია. იგივე ბრძანების თანახმად, მასწავლებლის შრომის ანაზღაურება მოიცავს თანამდებობრივ სარგოს; თანამდებობრივ დანამატს; კლასკომპლექტით სწავლების დანამატს; კლასის დამრიგებლის დანამატს; მოსწავლეებისთვის პროფესიული ორიენტაციის და დაგეგმვის დანამატს; სრულ განაკვეთზე მეტი დატვირთვის დანამატს; მაღალმთიან დასახლებებში სწავლების და არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებში სწავლების დანამატებს.

ამასთან, მასწავლებლის სქემით განსაზღვრული სტატუსის შესაბამისი დანამატის ოდენობა დამოკიდებულია პედაგოგის სქემით განსაზღვრულ, ზემოთ განმარტებულ სტატუსებზე. სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატის სრული რაოდენობა 2018 წელს განისაზღვრება შემდეგნაირად:

- უფროსი მასწავლებელი - 320 ლარი;
- წამყვანი მასწავლებელი - 700 ლარი;
- მენტორი - 1 000 ლარი.

რაც შეეხება სკოლებში დასაქმებული მასწავლებლების საბაზო თანამდებობრივ სარგოს (თანხა რომელსაც თითოეული მასწავლებელი იღებს მიუხედავად მისი სტატუსის, სამუშაო სტაჟის ან შესაბამისი დიპლომის ხარისხის), 2018 წელს არის - 405 ლარი, 2017 და 2016 წლებში იყო, ასევე, 405 ლარი , ხოლო 2015 წელს - 355 ლარი.

„ქართული ოცნების“ 2016 წლის საარჩევნო პროგრამის მიხედვით, 2017 წლის 1 იანვრიდან, მასწავლებელთა ხელფასების ზრდა დაგეგმილი სქემის მიხედვით განხორციელდება და საშუალო ხელფასი 800 ლარს მიაღწევს.<sup>15</sup> სპეციალურ პრესკონფერენციაზე, იმ დროისათვის განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ განაცხადა, რომ მომავალი წლიდან გაიზრდებოდა მასწავლებლების

<sup>14</sup>ანდლულაძე, ნათია. *მასწავლებლის შეფასება საქართველოში პროფესიული კაპიტალის პერსპექტივიდან*. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://iliauni.edu.ge/uploads/other/37/37063.pdf>

<sup>15</sup> „ქართული ოცნება“. *საარჩევნო პროგრამა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის*. გვერდი 39. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://41.ge/program>

ხელფასები და საშუალო ანაზღაურება მიაღწევდა 800 ლარს.<sup>16</sup> ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, ასევე, დაადასტურა, რომ 2017 წლიდან იზრდებოდა პედაგოგების ხელფასები და საშუალო ხელფასი იქნებოდა 800 ლარი.<sup>17</sup>

აღნიშნული დაპირებების და განცხადებების ფორმატმა, საზოგადოებას აფიქრებინა, რომ ხელფასი ყველა პედაგოგს გაეზრდებოდა. რეალურად მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების სქემა ითვალისწინებს ხელფასის ზრდას მხოლოდ უფროსი - 16 811, წამყვანი - 202 და მენტორი - 7 მასწავლებლისთვის. გამოდის, რომ ჯამში ხელფასის ზრდის პირველ საფეხურს აკმაყოფილებს საჯარო სკოლის 57 944 მასწავლებლიდან მხოლოდ 17 020. თუმცა, მაინც სტატუსი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მასწავლებელმა მიიღოს დაპირებული 800 ლარი და მეტი ანაზღაურება. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სრული საგაკვეთილო დატვირთვა, რომ შეძლოს სტატუსთან მიბმული დანამატის მიღება.

სრული საგაკვეთილო დატვირთვა ნიშნავს, რომ პედაგოგს აქვს 18 საგაკვეთილო საათი კვირაში. საქართველოს საჯარო სკოლებში სრული საგაკვეთილო დატვირთვა აქვს მხოლოდ 8 940 მასწავლებელს. მათგან უფროსი მასწავლებელი არის 3 163, წამყვანი - 31 და მენტორი - 1. სრულზე მეტი საგაკვეთილო დატვირთვა (19 საათი და მეტი) აქვს 1 985 უფროს, წამყვან და მენტორ პედაგოგს. ზემოთ ხსენებული 17 020 შესაბამის სტატუსიანი პედაგოგიდან სრული და სრულზე მეტი საგაკვეთილო დატვირთვა აქვს მხოლოდ 5 180 მასწავლებელს.

გამოდის, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში ხელფასის გასაზრდელ ორ ძირითად მოთხოვნას - შესაბამის სტატუსსა და საგაკვეთილო დატვირთვას - აკმაყოფილებს, მხოლოდ, 5 180 მასწავლებელი, რაც საერთო რაოდენობის 8.9%-ია. მაგრამ არც ეს არ არის მაქსიმალური რაოდენობა, რომელსაც შესაძლოა ხელფასი გაეზარდოს ამ ნიშნულამდე. რეალურად, ამ რიცხვს აუცილებლად გამოაკლდება იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომელსაც 10 წელზე ნაკლები სტაჟი აქვს და იმ მასწავლებელთა რაოდენობაც, რომელსაც მხოლოდ ბაკალავრის ხარისხი აქვს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 5 180 მასწავლებელი არის ყველაზე მაქსიმალური რაოდენობა, ვისი ხელფასიც შესაძლოა შეადგენდეს 800 ლარს. სხვა პედაგოგების ანაზღაურება კი ამ სქემით ჩამოუვარდება აღნიშნულ თანხას. მეტი სიზუსტისთვის, კვლევის ფარგლებში განათლების სამინისტროს მივმართეთ კითხვით, თუ რამდენი მასწავლებლის ანაზღაურება შეადგენს 800 ლარს და მეტს

<sup>16</sup>განცხადება ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.youtube.com/watch?v=gVPuNtL2qvU>

<sup>17</sup>განცხადება ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.tabula.ge/ge/verbatim/111868-premieri-momaval-tsels-vzrdit-pedagogis-xelfass-sashualo-xelfasi-800-lari-iqneba>

საქართველოს საჯარო სკოლებში, სამინისტრომ გვიპასუხა, რომ მსგავს ინფორმაციას არ ფლობს.<sup>18</sup>

როგორც ვხედავთ, სასერტიფიკატო გამოცდების სირთულის დაძლევის გარდა, საქართველოს მასწავლებლებისთვის, შედარებით უკეთესი შრომის ანაზღაურების მისაღებად, პრობლემური ხდება სკოლაში საკმარისი საათების არ არსებობაც. „სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევის (TALIS)“ 2014 წლის ანგარიშის მიხედვით, არასრულ განაკვეთზე მომუშავე მასწავლებლების უმეტესობა საკუთარი არჩევანის წინააღმდეგ მუშაობს, მიზეზი კი, არასაკმარისი საათებია. საგულისხმოა ის, რომ ეს არ ეხება მხოლოდ სოფლის მცირეკონტიგენტთან სკოლებს, სადაც ყველა მასწავლებლისთვის სრულ განაკვეთზე მუშაობის შესაძლებლობა სკოლის ზომითაა შეზღუდული - თბილისში არასრულ განაკვეთზე მომუშავე მასწავლებლების წილი 42%-ია. შედარებისთვის, TALIS-ის 35 ქვეყანაში არასრული განაკვეთით მასწავლებლების საშუალოდ 12% მუშაობს და მათგან ნახევრისთვის ამის მიზეზი საკუთარი არჩევანია.<sup>19</sup>

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა მასწავლებლის პროფესიის დაბერების პრობლემის წინაშეც დგას. TALIS მიხედვით, მასწავლებლების საშუალო ასაკი საქართველოში 5 წლით აღემატება კვლევაში მონაწილე 35 ქვეყნის საშუალოს. შედარებით ხანდაზმული მასწავლებლების მაღალი წილი თავისთავად უარყოფით მოვლენად არ უნდა განვიხილოთ, თუმცა არსებული ასაკობრივი განაწილება, სავარაუდოდ, სხვა პრობლემის მიმანიშნებელია. კერძოდ, ასეთი განაწილება, შესაძლოა, გამოწვეული იყოს მიწოდების ან მოთხოვნის ნაკლებობით, რასაც იწვევს მასწავლებლის პროფესიის გაჯერება<sup>20</sup>, ახალგაზრდა მასწავლებლების დაბალი კომპეტენციები ან/და ახალგაზრდების დაბალი ინტერესი მასწავლებლის პროფესიის მიმართ.

<sup>18</sup> განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური წერილი.

<sup>19</sup> ანდლულაძე, ნათია. *მასწავლებლის შეფასება საქართველოში პროფესიული კაპიტალის პერსპექტივიდან*. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://iliauni.edu.ge/uploads/other/37/37063.pdf>

<sup>20</sup> „შრომის ბაზრის გაჯერებას ადგილი აქვს, როცა, მაგალითად, პროფესიაში შესვლის მსურველთა წილი აღემატება პენსიაზე გასული მასწავლებლების წილს. შრომის ბაზრის გაჯერება ახალგაზრდა კადრების პროფესიაში შესვლის დემოტივატორია და გრძელვადიან პერსპექტივაში მიწოდების შემცირებას იწვევს: ახალ თაობას ეკარგება პროფესიაში შესვლის მოტივაცია, რადგან მათთვის ამ პროფესიით დასაქმების შესაძლებლობა შეზღუდულია“. ანდლულაძე, ნათია. *მასწავლებლის შეფასება საქართველოში პროფესიული კაპიტალის პერსპექტივიდან*. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://iliauni.edu.ge/uploads/other/37/37063.pdf>

## 1.6 უსაფრთხო სასკოლო გარემო

ფართო გაგებით, უსაფრთხო სკოლის კონცეფცია გულისხმობს მოსწავლეებისა და პერსონალის, როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ - ემოციურ უსაფრთხოებას. ფიზიკური უსაფრთხოების ნაწილი აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორცაა სკოლის ინფრასტრუქტურული მოწყობა, ჯანსაღი კვება, უცხო პირების სასკოლო ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების საკითხი, მოსწავლის ან/და სკოლის პერსონალის მხრიდან სხვა მოსწავლეზე ფიზიკური ძალადობის გამოვლინების პრევენცია/პრეემფცია, კატაკლიზმებთან და საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული რუტინები და სხვა წინასწარი ზომები, რომლებიც შემხებლობაშია მოსწავლეების ფიზიკურ ჯანმრთელობასთან.<sup>21</sup> რაც შეეხება ემოციურ უსაფრთხოებას, იგი აერთიანებს ყველა სახის ძალადობის აღმოფხვრას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების ფსიქოლოგიურ დათრგუნვას, არაჯანსაღი სასკოლო პროცესების განვითარებას და დაძაბული ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

კვლევის ამ ნაწილში, ყურადღება მახვილდება ფიზიკური უსაფრთხოების მხოლოდ ძალადობის ნაწილზე და ფსიქოლოგიურ-ემოციურ უსაფრთხოებაზე. იმისათვის, რომ ამ მიმართულებით შეფასებულიყო საქართველოს სკოლების მდგომარეობა, გაანალიზდა სკოლებში არსებული ბულინგის (დაშინება) პრაქტიკა და მოსწავლეთა დარღვევების სტატისტიკა.

ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიხედვით, ბულინგი (ინგ. Bullying; ქართ. დაშინება) არის ძალადობრივი ხასიათის აგრესიული ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს დაუმორჩილოს ადრესატი რეალურ ან/და წარმოსახვით ძალაუფლებას. ბულინგი, როგორც წესი, პოტენციურად განმეორებადი ქცევაა. იგივე დეპარტამენტზე დაყრდნობით, ბულინგი განსაკუთრებით ხშირად ვლინდება სკოლის მოზარდებში, შესაბამისად, მისი განხორციელების ადგილი, ძირითადად, სკოლაა. არსებობს ბულინგის ოთხი განსხვავებული კატეგორია: ვერბალური, სოციალური, ფიზიკური და კიბერ ბულინგი, რომლებიც, თავის მხრივ, აერთიანებენ დაშინების მრავალფეროვან მეთოდებს.<sup>22</sup>

დასავლეთის წარმატებული დემოკრატიების ქვეყნებმა დიდი ხანია აღიარეს ბულინგი, როგორც უსაფრთხო სკოლის მთავარი გამოწვევა და პრობლემა. მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებული შტატები ყოველწლიურად იკვლევს

<sup>21</sup>გორგოძე, სოფიო და სიმონ ჯანაშია. *პოლიტიკის დოკუმენტი - უსაფრთხო სკოლა*. 2012. ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://cdi.org.ge/main/wp-content/uploads/2012/04/PP\\_safeschool\\_Janashia-Gorgodze1.pdf](http://cdi.org.ge/main/wp-content/uploads/2012/04/PP_safeschool_Janashia-Gorgodze1.pdf)

<sup>22</sup>Stopbullying. *What Is Bullying*. Via URL: <https://www.stopbullying.gov/what-is-bullying/index.html>

ქვეყანაში ბულინგის სახეებს და მისგან მომდინარე პრობლემებს. ამერიკის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, ამერიკის სკოლების მოსწავლეების საერთო პოპულაციის 19% მაინც გახდა 2017 წელს სკოლაში სხვა მოსწავლეების მხრიდან დაშინების მსხვერპლი, იგივე მონაცემი 2015 წელს - 37%, ხოლო 2016 წელს - 21%-ია.<sup>23</sup> აღნიშნული ციფრები იმის დემონსტრირებაა, თუ რამდენად მასშტაბური პრობლემა შეიძლება იყოს სკოლებში მოსწავლეების მხრიდან ერთმანეთის დაშინება.

ბულინგის თემით, საქართველოს განათლების სამინისტრო მხოლოდ 2015 წელს დაინტერესდა. სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურმა“ ბულინგის შემთხვევათა სტატისტიკის წარმოება სწორედ 2015 წლიდან დაიწყო და არსებული ინფორმაციით, 2018 წლამდე, მთელი საქართველოს მასშტაბით, დაფიქსირებულია ბულინგის 474 შემთხვევა (იხ. ცხრილი 9). აღრიცხვის სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ 2015 წლიდან, თითქმის ყოველ წელს იზრდება ბულინგის შემთხვევები. კატეგორიებად დაყოფილი ბულინგის სტატისტიკა, სამწუხაროდ, არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად, არ ვიცით საქართველოს სკოლებში როგორი სახის ძალადობა ჭარბობს მოსწავლეებს შორის.

**ცხრილი 9:** 2015-2018 წლებში საქართველოს სკოლებში დაშინების/ბულინგის შემთხვევები მოსწავლეებში

წელი	2015	2016	2017	2018
ბულინგის შემთხვევა	71	109	189	105

საყურადღებოა, ის გარემოება, რომ ბულინგის შემთხვევების სტატისტიკას სკოლებში მანდატურის სამსახური აწარმოებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მთელი ქვეყნის მასშტაბით არ აღირიცხება. 2018 წლის მონაცემებით, საქართველოში 2 311 სკოლაა, აქედან, 2 085 საჯარო, ხოლო 226 კერძო სკოლა. განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კი, 2018 წლის მონაცემებით, მანდატურები ემსახურებიან მხოლოდ 458 საჯარო სკოლას და ჯამში გვყავს 1 300 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური. გამოდის, რომ მანდატურის

<sup>23</sup>National center for education statistics. School crime and Safety: 2017. According Centers for Disease Control and Prevention. Via URL: <https://nces.ed.gov/pubs2018/2018036.pdf>

სამსახური მუშაობს საქართველოს სკოლების მხოლოდ 19.8 %-ში, შესაბამისად, სკოლების მხოლოდ 19.8 %-ში აღირიცხება ბულინგის შემთხვევები, საქართველოს სკოლების 80.2 % - ში კი, ბულინგის შემთხვევები არ აღირიცხება. აქედან გამომდინარე, ზემოთ მოყვანილი ბულინგის სტატისტიკა, არ ასახავს რეალურ სურათს და გვიჩვენებს მხოლოდ მის გარკვეულ სეგმენტს. განათლების სამინისტრომ რეალურად არ იცის ყოველწლიურად რამდენი სკოლის მოსწავლე განიცდის ჩაგვრას და არის დაშინების მსხვერპლი.

კიდევ ერთი პრობლემა ბულინგის შემთხვევაში შეიძლება იყოს ე.წ. მიმართვიანობის საკითხი. ხშირად, ბულინგის ხასიათიდან გამომდინარე, მისი გარე თვალისგან შემჩნევა საკმაოდ რთულია, ბულინგის მსხვერპლი კი, როგორც წესი, გაჩუმებას ამჯობინებს. ბულინგის პრევენციის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება სკოლის ფსიქოლოგთა ჩართულობაა, რასაც საქართველოს სკოლების უმრავლესობა მოკლებულნი არიან.

კიდევ ერთი ბუნდოვანი გარემოება, რის გამოც მიგვაჩნია, რომ შესაბამისი სტრუქტურები ბულინგის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ, სკოლაში მომხდარ დარღვევების სტატისტიკაში იკვეთება. დარღვევების სტატისტიკაში აღირიცხება ისეთი ქმედებები, როგორცაა გაკვეთილიდან გაპარვა, არაეთიკური ქმედება, მაღალი რისკის შემცველი საგნების (დანა, ბასრი იარაღი, კასტეტი, პნევმატური იარაღი და ა.შ.) ქონა, ალკოჰოლის მოხმარება, თამბაქოს მოხმარება, გაკვეთილის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა, თანხის შეგროვება მოსწავლეების მიერ და ა.შ. სწორედ ამ დარღვევების ფარგლებში აღირიცხება, ასევე, მოსწავლის მიერ მოსწავლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა. ამ სტატისტიკის მიხედვით, 2018 წელს მოსწავლის მხრიდან მოსწავლის შეურაცხყოფა განხორციელდა 3 673-ჯერ, 2017 წელს - 2 538-ჯერ, 2016 წელს - 2 582-ჯერ, ხოლო 2015 წელს 3 073.<sup>24</sup>

მოსწავლის მხრიდან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა ყველა პარამეტრით ნამდვილად არის ბულინგი. საუკეთესო შემთხვევაში ბულინგის სტატისტიკა უნდა ემთხვეოდეს ამ კომპონენტის სტატისტიკას, ხოლო უარეს შემთხვევაში ბულინგის სტატისტიკა ბევრად უნდა აღემატებოდეს მას. რეალურად კი, ჩვენ გვაქვს მოცემულობა, როცა ბულინგის სტატისტიკა გაცილებით უფრო წვრილი მასშტაბის ციფრებს გვიჩვენებს, ვიდრე დარღვევების სტატისტიკის ეს ნაწილი. ციფრებს შორის ასეთი სხვაობა, გვაფიქრებინებს, რომ განათლების სამინისტრო არ ფლობს სკოლებში არსებული ძალადობის შესახებ ინფორმაციას ან/და არ ხდება მეთოდოლოგიურად მისი სწორად გააზრება/აღრიცხვა.

<sup>24</sup> განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური წერილი.

რაც შეეხება ღონისძიებებს, რომელსაც განათლების სამინისტრო უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში ახორციელებს, სამინისტროს თანახმად, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ძლიერდება სამოქალაქო განათლების კომპონენტი, რომელიც თავისმხრივ, ითვალისწინებს ყოველგვარი ძალადობისა და ჩაგვრის, მათ შორის ბულინგის პრევენციას. აღნიშნულს მოიცავს შემდეგი დასაწერები სახელმძღვანელოები: „მე და საზოგადოება“ (III-IV კლასები), დაინერგება 2018-2019 სასწავლო წლებში, „ჩვენი საქართველო“ (V-VI კლასები), დაინერგება 2018-2019 წლებში და „მოქალაქეობა“ (VII-IX კლასები), დაინერგება 2019-2020 სასწავლო წლიდან. კვლევის პროცესში გავეცანით აღნიშნული სახელმძღვანელოების ფარგლებში შესაძლო მისაღწევ შედეგებს, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი ნამდვილად არის ბავშვთა შორის ძალადობისადმი ცნობიერების ამაღლება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, განათლების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, შეიმუშავა დამატებითი სასწავლო რესურსი მე-5 კლასის მოსწავლეებისთვის „უსაფრთხოების 10 გაკვეთილი“, რომელიც, ასევე, მოიცავს ბულინგის თემატიკას.

2018 წლის მარტში „სასკოლო კონკურსების“ ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა კონკურსი ძალადობის წინააღმდეგ - „ნაბიჯი თანადგომისკენ“. ასევე, 2018 წელს ჩატარდა შეხვედრების ციკლი „მოვუსმინოთ მოსწავლეებს“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ფსიქოლოგებთან ერთად განიხილავდნენ ძალადობის მიზეზებს და მის წინააღმდეგ ბრძოლის გზებს. 2 500-ზე მეტ შეხვედრაში 65 000 მოსწავლე ჩაერთო.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების და საზოგადოების ნებისმიერი წევრის ძალადობის ირგვლივ ინფორმირების მიზნით, შეიქმნა ძალადობის წინააღმდეგ საინფორმაციო ინტერნეტ პორტალი <https://befriend.mes.gov.ge/> (პორტალი სატესტო რეჟიმში მუშაობს). ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცხელი ხაზიც: 08 00 00 00 88, ზარი ნებისმიერი ოპერატორიდან უფასოა. ბულინგის შესახებ კონსულტაციების მიღება ან/და შეტყობინების გაკეთება შესაძლებელია მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მეშვეობითაც, რომლისთვისაც მომხმარებლებს შეუძლიათ დარეკონ შემდეგ ნომერზე: 0 322 200 220-ზე (შიდა ნომერი: 30 25 ან 33 35).

მანდატურის სამსახური და იმ სკოლების დირექტორები, სადაც მანდატურები არ მუშაობენ, „ბავშვთა მიმართ ძალადობა, გადამისამართების პროცედურები ბავშვის დაცვის საჭიროების შემთხვევაში“ ტრენინგების ციკლით გადამზადდნენ. ასევე, ჩატარდა ტრენინგები „ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია“ სკოლის პედაგოგების და ფსიქოლოგებისთვის.

სამინისტროზე დაყრდნობით, იმ საჯარო სკოლებისთვის, სადაც არ არის წარმოდგენილი საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად, ხორციელდება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების შესაბამისი ტრენინგმოდულით გადამზადება.

როგორც ვხედავთ, სამინისტრო ნამდვილად დგამს ნაბიჯებს უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის თვალსაზრისით, თუმცა ცალკე საკითხია, რამდენად საკმარისია ეს ნაბიჯები და რამდენად ადეკვატურია აღნიშნული უსაფრთხო სკოლის ბიუჯეტთან მიმართებით. 2018 წელს „უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში 12 770 000 მლნ ლარი გამოიყო, 2017 წელს იგივე პროგრამის ბიუჯეტი 12 518 000 მლნ ლარს შეადგენდა, 2016 წელს კი - 11 912 000 მილიონი იყო (იხ. ცხრილი 10). თუმცა გაზრდილ ბიუჯეტის მიუხედავად, სკოლაში ძალადობის შემთხვევები მაინც გაიზარდა.

**ცხრილი 10:** 2010-2018 წლებში განათლების ბიუჯეტიდან უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018
თანხა ათას ლარებში	9 893 360	10 718 760	11 245 960	11 912 030	12 518 600	12 770 000

აღსანიშნავია, რომ დარღვევების შემთხვევები სკოლებში წლიდან-წლამდე იზრდება: იზრდება აკრძალული ნივთების ტარების სტატისტიკა, მოსწავლის მხრიდან სხვა მოსწავლისთვის ფულის გამოძალვის შემთხვევები, არაეთიკური ქმედება, ალკოჰოლის და თამბაქოს მოხმარება და ა.შ. 2018 წელს განსაკუთრებით გაზრდილია ნარკოტიკული საშუალების მოხმარება. ფიქსირდება გაკვეთილიდან გაპარვის ძალიან მაღალი შემთხვევები, ასევე, გაკვეთილების ჩაშლის ან მცდელობის შემთხვევები. სამინისტროს ახსნით, დანაშაულის სტატისტიკის მომატებას განაპირობებს გადამზადებული მანდატურების უფრო ეფექტური მუშაობა. ეს არგუმენტი, რა თქმა უნდა, გასაგებია, მაგრამ იგი ვერ ცვლის იმ სამწუხარო ფაქტს, რომ სკოლები არ არის საკმარისად უსაფრთხო. მით უმეტეს, რომ რეალურად სკოლების მხოლოდ 20 %-ზე არსებობს ინფორმაცია და ისიც არასრულია.

## 2. უმაღლესი განათლება

### 2.1 უმაღლესი განათლების კვლევის ძირითადი მიგნებები:

- 2015 წლის შემდეგ, შემცირდა უმაღლესი განათლების დაფინანსების წილი, როგორც განათლების სამინისტროს ბიუჯეტთან, ისე მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებით.
- საქართველოს აბიტურიენტების მეოთხედზე მეტს არ შეუძლია დაძლიოს ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ერთ საგანში მაინც.
- მიუხედავად იმისა, რომ წლიდან-წლამდე ზოგიერთ საგანში საგამოცდო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი იკლებს და ტესტები მარტივდება, აბიტურიენტების შედეგები არ უმჯობესდება.
- აბიტურიენტებისთვის ყველაზე პრობლემური საგანი უცხო ენაა. პროცენტულად, ეროვნულ გამოცდებში სწორედ ამ საგანში იჭრება ყველაზე მეტი სტუდენტი.
- არსებობს მოსაზრება, რომ აბიტურიენტთა უმრავლესობა ერთიანი ეროვნული გამოცდების დაძლევის არა სკოლაში მიღებული განათლებით, არამედ კერძო მასწავლებელთან მომზადების ხარჯზე ახერხებს.
- რეპეტიტორები ფორმალურ ზოგად განათლებაში არსებული ჩავარდნების მაკომპენსირებელ ფუნქციას ასრულებენ, რაც ხელს უწყობს არაფორმალური განათლების წილის ზრდას და მის ხარჯზე ფორმალურ განათლების სისტემაში არსებული პრობლემების დაფარვას.
- სკოლის ყოველი მეოთხე მოსწავლე და აბიტურიენტების 50%-ზე მეტი კერძო მასწავლებელთან ემზადება.
- რეპეტიტორთა ფართო პრაქტიკის არსებობა ქვეყანაში, სახელმწიფოს, ფაქტობრივად, იგნორირებული აქვს.
- საკანონმდებლო ხარვეზმა ჩაჭრილი აბიტურიენტების გარკვეულ ნაწილს მისცა საშუალება ეროვნული გამოცდების გვერდის ავლით გახდნენ

სტუდენტები. იგივე ხარვეზმა ბაზარზე გააჩინა კომპანიები, რომლებიც აბიტურიენტებს კორუფციულ სქემაში რთავენ.

- ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.
- 2015 წლიდან თითქმის ყოველ წელს მნიშვნელოვნად მცირდება სახელმწიფო სტიპენდიების ბიუჯეტი სტუდენტებისთვის.

## 2.2 ზოგადი მიმოხილვა

ევროპის 29 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრმა 1999 წლის 19 ივნისს იტალიის ერთ-ერთ უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქში ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას.<sup>25</sup> აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერით სახელმწიფოებმა გამოხატეს საერთო მზადყოფნა მონაწილეობა მიეღოთ უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში. ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმოწერას წინ უსწრებდა ისეთი დოკუმენტების მიღება, როგორცაა: უნივერსიტეტების დიდი ქარტია (1988), ლისაბონის კონვენცია (1997) და სორბონის დეკლარაცია (1998). უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესს ბოლონიის პროცესი ეწოდა. 2005 წლის მაისის ბერგენის სამიტზე, საქართველო ბოლონიის პროცესს შეუერთდა და უმაღლესი განათლების იმგვარი მოდერნიზების ვალდებულება აიღო, რომელიც აბსოლუტურ შესაბამისობაში მოვიდოდა ევროპის ქვეყნების უმაღლესი განათლების განვითარების ხედვასთან.<sup>26</sup>

ვალდებულებების შესასრულებლად და საგანმანათლებლო სივრცეების დასახვეწად, 2004-2007 წლებში, საქართველოს ხელისუფლებამ უმაღლესი განათლების სისტემაში რეფორმების ციკლი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც, ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაინერგა სამ საფეხურიანი საგანმანათლებლო სტრუქტურა და ხარისხის მართვის სისტემა. 2004 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“.<sup>27</sup> კანონის თანახმად, სისტემატური შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის, მთავარ მიზნად განისაზღვრა პერსონალის

<sup>25</sup>ბოლონიის დეკლარაციის ოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://mes.gov.ge/uploads/Bologna/1%20boloniis%20deklaracia.pdf>

<sup>26</sup>განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. ბოლონიის პროცესი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://mes.gov.ge/content.php?id=1856&lang=geo>

<sup>27</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. 2004. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830>

კვალიფიკაციის ამაღლება უნივერსიტეტების ბაზაზე, ინსტიტუციურ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით. მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრა უმაღლეს განათლებაში ჩართული მოთამაშეების როლები და პასუხისმგებლობები, უმაღლესი განათლების საფეხურები, მიღების პროცედურები, ლიცენზიის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურები, საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპები, დაინერგა კრედიტების სისტემა და ა.შ.

ბოლო წლებში კანონმა რამდენიმე ცვლილება განიცადა, რაც მოიცავდა სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლებრივი სტატუსის ცვლილებას, აკადემიური თანამდებობების განსაზღვრას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტსა და სხვა. კანონის მიხედვით, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა აღიარებს სამ საფეხურიან უმაღლეს განათლებას, და კურსდამთავრებულებს ანიჭებს ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხებს (იხ. გრაფიკი 1).


საქართველოში არსებობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამი ტიპი:

- *უნივერსიტეტი* - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას განათლების სამივე საფეხურზე, და კვლევით აქტივობებს;
- *სასწავლო უნივერსიტეტი* - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ს (გარდა სადოქტორო სწავლებისა). სასწავლო უნივერსიტეტს მოეთხოვება მეორე საფეხურის (სამაგისტრო სწავლების) საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ის განხორციელება;
- *კოლეჯი* - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი საფეხურის (საბაკალავრო სწავლება) საგანმანათლებლო პროგრამას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება და შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში. ავტორიზაცია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი

დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ავტორიზაციას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით. სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ აკრედიტებული და მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს.<sup>28</sup>

გრაფიკი 1: უმაღლესი განათლების სისტემის აკადემიური სვეტი საქართველოში<sup>29</sup>



<sup>28</sup> საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. უმაღლესი განათლების სისტემა. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo>

<sup>29</sup> საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. აკადემიური განათლების სვეტი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo>

კანონის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა დაფუძნდეს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიულ პირად. ყველა უმაღლესი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ, ხოლო ყველა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - არასამთავრობო სექტორის მიერ.<sup>30</sup>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, 2018 წელს საქართველოში 75 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელთაგან 20 არის სახელმწიფო, ხოლო 55 კერძო უნივერსიტეტი.<sup>31</sup>

**შენიშვნა:** განათლების სამინისტროს მიხედვით, 2018 წლის მონაცემებით, საქართველოში 30 ავტორიზებული უნივერსიტეტი, 24 სასწავლო უნივერსიტეტი და 7 კოლეჯია. გარდა ამისა, ფუნქციონირებს 8 მართლმადიდებლურ-საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. საერთო ჯამში 69 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.<sup>32</sup> ჩვენთვის უცნობია, რატომ იყენებს ორი სახელმწიფო სამსახური განსხვავებულ მონაცემებს. კვლევის ფარგლებში, ვესაუბრეთ, როგორც განათლების სამინისტროს, ისე საქსტატს, თუმცა განსხვავების მიზეზები ვერცერთმა ვერ აგვიხსნა. გამომდინარე იქიდან, რომ განათლების სამინისტრო არ აქვეყნებს ღია მონაცემებს სტუდენტთა სახელმწიფოსა და კერძო უნივერსიტეტებში განაწილების შესახებ, კვლევის ამ ნაწილში დავეყრდენით საქსტატის მონაცემებს.

საქსტატის მიხედვით, საქართველოს 20 სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უფრო მეტი სტუდენტი სწავლობს, ვიდრე 55 კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. 2017-2018 სასწავლო წლებში, სახელმწიფო


<sup>30</sup> საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS). საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სოციალური მეცნიერების სფეროში კვლევის ხელშეწყობის საშუალებების ანალიზი. ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://grass.org.ge/wp-content/uploads/2014/09/Policy\\_Paper\\_research\\_in\\_social\\_sciences\\_GEO.pdf](http://grass.org.ge/wp-content/uploads/2014/09/Policy_Paper_research_in_social_sciences_GEO.pdf)

<sup>31</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. უმაღლესი განათლება. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.geostat.ge/?action=page&id=2104&lang=geo>

<sup>32</sup> განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიხედვით. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://mes.gov.ge/content.php?id=1855&lang=geo>


უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა 93 627 სტუდენტი, ხოლო კერძოში 50 181 (იხ. გრაფიკი 2).

**გრაფიკი 2:** 2013-2018 წლებში სტუდენტთა განაწილება სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში



რაც შეეხება პროფესორების რაოდენობას, 2017-2018 სასწავლო წლებში სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიდა 4 692 პროფესორი, ხოლო კერძოში - 3 539 (იხ. გრაფიკი 3).

**გრაფიკი 3:**



### 2.3 უმაღლესი განათლების ბიუჯეტი და დაფინანსების წესი

უმაღლესი განათლების ბიუჯეტი მოიცავს შემდეგ 4 ძირითად ქვეპროგრამას: გამოცდების ორგანიზება, სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება, უმაღლესი განათლების ხელშეწყობა, საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა.

2013-2015 წლებში უმაღლესი განათლების ბიუჯეტი აბსოლუტურ რიცხვებში იზრდებოდა. 2016 წელს ბიუჯეტი 44 მლნ ლარით შემცირდა. 2017 წელს და 2018 წელს ისევ გაიზარდა, თუმცა ზრდის მიუხედავად, მაინც, 2015 წლის ბიუჯეტზე გაცილებით დაბალ მაჩვენებლებზე დაფიქსირდა. 2015 წლიდან მნიშვნელოვნად შემცირდა უმაღლესი განათლების პროცენტული წილი, როგორც განათლების სამინისტროს ბიუჯეტთან, ასევე ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით (იხ. ცხრილი 1; გრაფიკი 4; გრაფიკი 5).


**ცხრილი 1:** 2012-2018 წლებში უმაღლესი განათლების დაფინანსება აბსოლუტურ რიცხვებში, მისი პროცენტული წილი განათლების ბიუჯეტიდან და ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტიდან<sup>33</sup>

	2013	2014	2015	2016	2017	2018
დაფინანსება აბსოლუტურ რიცხვებში	117 022 916	134 674 729	158 095 114	114 085 088	120 066 217	133 840 000
განათლების საერთო ბიუჯეტიდან პროცენტული წილი	18.9%	19.6%	20.4%	12.6%	11.4%	11.2%
მშპ-თან მიმართებით პროცენტული წილი	0.4%	0.5%	0.5%	0.3%	0.3%	-


<sup>33</sup> სახელმწიფო ხაზინა; ფინანსთა სამინისტრო და საქსტატი

**შენიშვნა:** 2013-2017 წლებში მიმოხილულია შესრულებული ბიუჯეტები, ხოლო 2018 წელს ბიუჯეტის გეგმა

**გრაფიკი 4:** უმაღლესი განათლების დაფინანსების პროცენტული წილი განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან



**გრაფიკი 5:** უმაღლესი განათლების პროცენტული წილი ქვეყნის მშპ-დან



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ძირითადი წყარო სახელმწიფოა. სახელმწიფო დაფინანსება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების სწავლის გადასახადის ფორმით ხორციელდება. უნივერსიტეტების დაფინანსების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს კერძო გრანტები, სახელმწიფო კვლევითი გრანტები, პროგრამული დაფინანსება სხვადასხვა სამინისტროს მიერ, შემოწირულობები ან ქველმოქმედება, და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან. პერიოდულად, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო გასცემს ინფრასტრუქტურულ გრანტებს სახელმწიფო უნივერსიტეტებზე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. კერძო უნივერსიტეტები სახელმწიფოსგან პირდაპირ არ ფინანსდებიან, არამედ იღებენ არაპირდაპირ სუბსიდიებს ამ უნივერსიტეტებში ჩარიცხულ სტუდენტებზე გაცემული სახელმწიფო გრანტების სახით. გრანტის მაქსიმალური რაოდენობა ერთ სტუდენტზე, ერთ აკადემიურ საფეხურზე<sup>34</sup> 2 250 ლარია. სტუდენტი სახელმწიფო სასწავლო გრანტს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით მოიპოვებს.

#### 2.4 ერთიანი ეროვნული გამოცდები

2005 წელს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით მისაღები გამოცდების ძველი, საბჭოური სისტემა ახლით შეიცვალა. მისაღები გამოცდების ახალი მოდელის დანერგვა დღემდე ერთ–ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად ითვლება ქვეყანაში. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული და დანერგილი მოდელი შეფასების სამართლიან, გამჭვირვალე, უნიფიცირებულ, მერიტოკრატულ პრინციპებზე დამყარებული სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს საუკეთესო აბიტურიენტების შერჩევას უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

ერთიანი ეროვნული გამოცდები ითვალისწინებს:

- სტანდარტიზებულ შერჩევას;
- უნარებისა და ცოდნის კომპლექსურ შეფასებას;
- სახელმწიფო გრანტის გაცემას საუკეთესო სტუდენტებზე;
- ფართო არჩევნის შესაძლებლობას.

<sup>34</sup> პირი, რომელსაც უკვე მიღებული აქვს სახელმწიფო გრანტი ბაკალავრიატზე, ვეღარ მიიღებს სახელმწიფოს გრანტს მეორე ბაკალავრიატისთვის. იგივე, პირი რომელსაც მიღებული აქვს მაგისტრატურაზე გრანტი, ვეღარ მიიღებს დაფინანსებას მეორე მაგისტრატურისთვის.

2005 წელს ყველა აბიტურიენტი აბარებდა 3 სავალდებულო გამოცდას (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენები, ზოგადი უნარები). აბიტურიენტების ნაწილი, ფაკულტეტების მოთხოვნის შესაბამისად, მათემატიკის გამოცდას აბარებდა. სახელმწიფო დაფინანსება გაიცემოდა 3 გამოცდის შედეგით (მათთვის, ვინც მეოთხე გამოცდა ჩააბარა, გამოთვლისას გამოიყენებოდა მათემატიკისა და უცხოური ენების გამოცდიდან უდიდესი ქულა). 2006 წელს არჩევითი გამოცდების ჩამონათვალს დაემატა 3 გამოცდა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, საქართველოს ისტორია, საზოგადოებრივი მეცნიერებები. აბიტურიენტთა ნაშრომების შეფასებული ასლები განთავსდა ინტერნეტში – ნებისმიერ აბიტურიენტს შეეძლო საკუთარი ნაშრომის ასლის ნახვა აპელაციამდე. შეიცვალა სახელმწიფო დაფინანსების გაცემის წესი. გადაწყდა, რომ გრანტი, ნაცვლად 3 გამოცდისა, ზოგადი უნარების გამოცდის შედეგით გაცემულიყო. 2007 წელს აბიტურიენტთა განაცხადები განთავსდა ინტერნეტში. საკუთარი განაცხადის გადამოწმება ნებისმიერ აბიტურიენტს ინტერნეტით შეეძლო. 2008 წელს ზოგადი უნარების ტესტი ითარგმნა აზერბაიჯანულად და სომხურად. დაინერგა კომპიუტერული გასწორების სისტემა (eMarker). 2009 წელს გაიზარდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, გამსწორებლები შეირჩნენ კონკურსის წესით. 2010 წლიდან სახელმწიფო დაფინანსება გაიცემა ოთხი გამოცდის შედეგების საფუძველზე. 2011 წელს აპლიკანტებს საშუალება მიეცათ რეგისტრაცია ელექტრონულად გაეცლოთ. 2012 წლიდან კი, დარეგისტრირება მხოლოდ ინტერნეტით, გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე ([www.naec.ge](http://www.naec.ge); [online.naec.ge](http://online.naec.ge)) არის შესაძლებელი. 2012 წელს, ასევე, აბიტურიენტებს შვიდის ნაცვლად თავიდანვე ოცი სასურველი ფაკულტეტის არჩევის საშუალება ჰქონდათ. 10%-ით გაიზარდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სამედიცინო და იურიდიულ ფაკულტეტებზე. შესაბამისად, სამედიცინოზე და იურიდიულზე ჩაბარების მსურველებს სამ საგანში 35%, ხოლო მეოთხეში, უცხოურ ენაში 30%-იანი ბარიერი უნდა გადაელახათ. 2013 წელს აბიტურიენტებს საშუალება ჰქონდათ განაცხადში ყველა ის საგანმანათლებლო პროგრამა მიეთითებინათ, რომლებზეც მათ მიერ არჩეული გამოცდები ბარდებოდა - ასარჩევი პროგრამების რაოდენობა შეზღუდული არ იყო. 2013 წელს მოიხსნა შეზღუდვები გრანტის განაწილების დროს იმ პროგრამებზე, რომლებზეც მხოლოდ 100%-იანი დაფინანსება მოქმედებდა. ყველა პროგრამა თანაბარ პირობებში ჩადგა და შესაძლებელი გახდა 70%-იანი და 50%-იანი დაფინანსების მოპოვებაც. 30%-იანი გრანტი 2013 წლიდან გაუქმდა. 2014 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საგამოცდო ზღვარის გადალახვის ახალი მიდგომის პროექტი შემუშავდა. ასევე, უცხოური ენის გამოცდას დაემატა მოსმენის ნაწილი და არჩევითი საგნების ნუსხას სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. 2015 წელს

არჩევითი საგნების ჩამონათვალს კიდევ ერთი საგანი - სამოქალაქო განათლება დაემატა. ასევე, აბიტურიენტებს საშუალება მიეცათ ზოგადი უნარების, ქიმიისა და მათემატიკის გამოცდები ინგლისურ ენაზეც ჩაებარებინათ. 2016 წელს გამოცდები ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩატარდა. ფორმატის ცვლილება მხოლოდ ტესტის (და არა პასუხების ფურცლის) ელექტრონულად მიწოდებას ითვალისწინებდა. ახალი ფორმატის დანერგვის შედეგად, მონაწილე დავალებას მისთვის განკუთვნილი კომპიუტერის ეკრანზე ხედავდა, პასუხებს კი, ჩვეულებრივ, პასუხების ფურცელზე ნიშნავდა ან წერდა. გამოცდის ნაწილობრივ ელექტრონულ ფორმატზე გადასვლის მიზანი, გრძელვადიან პერსპექტივაში, გამოცდის ელექტრონული ფორმატის სრულად დანერგვაა.<sup>35</sup> 2017 და 2018 წლებში გამოცდები, 2016 წლის მსგავსად, ნახევრად ელექტრონული ფორმატით ჩატარდა.

შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიხედვით, 2012 წლის ეროვნულ გამოცდებზე ერთ საგანში მაინც ჩაიჭრა აბიტურიენტების 26%. 2013 წელს ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა - 31%-მა ვერ შეძლო საგამოცდო მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა ერთ საგანში მაინც. ჩაჭრილი აბიტურიენტების გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი შესაძლოა უკავშირდებოდეს 2013 წლის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს. როგორც აღვნიშნეთ, 2013 წელს საატესტატო გამოცდები არ ჩატარებულა ერთიანი კომპიუტიზირებული პრინციპით, თითოეულმა სკოლამ ინდივიდუალურად წარმართა საატესტატო გამოცდები, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი წინასწარ ფლობდა საგამოცდო ტესტების ნიმუშებს, შესაბამისად, საატესტატო გამოცდებმა ვერ უზრუნველყო ეროვნულ გამოცდებზე გაეშვა აბიტურიენტთა ის ბირთვი, რომელსაც შეეძლო გადაეღაზა კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. 2014 წელს საგამოცდო ზღვარს მიღმა დარჩენილი აბიტურიენტების პროცენტული მაჩვენებელი ისევ შემცირდა, ამჯერად, აბიტურიენტების 24% დარჩა ერთ საგანში მაინც საგამოცდო ზღვარს მიღმა, 2015, 2016 წლებში ეს რიცხვი ისევ გაიზარდა 27% და 28%-მდე. 2017 წლის შედეგები გაუტოლდა 2012 წლის შედეგებს - საგამოცდო მინიმალური კომპეტენციის ზღვარს მიღმა აბიტურიენტების 26% დარჩა. აღსანიშნავია, რომ 2012-2017 წლებში ამ მიმართულებით ვითარება არ გამოსწორებულა, აბიტურიენტთა მეოთხედზე მეტს, კვლავ არ შეუძლია დაძლიოს გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. აღსანიშნავია, რომ წლიდან-წლამდე ზოგიერთ საგანში

<sup>35</sup> შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი. *ერთიანი ეროვნული გამოცდები*. გადმოტანილია სრული აღწერა. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://naec.ge/#/ge/post/1493>

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი იკლებს ან/და ტესტები მარტივდება, თუმცა აბიტურიენტთა შედეგებზე ეს გარემოება არ აისახება (იხ. ცხრილი 2; გრაფიკი 6)<sup>36</sup>.

საატესტატო გამოცდების მსგავსად, განსაკუთრებით პრობლემური საგანი ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენაა. წლების მიხედვით ყველაზე მეტი მოსწავლე სწორედ ამ საგანში იჭრება. მინიმალური კომპეტენციის ზღვარმა უცხო ენებში დაიკლო, თუმცა ეს ვერ ამცირებს ჩაჭრილი აბიტურიენტების რაოდენობას.<sup>37</sup>

**ცხრილი 2:** 2012-2017<sup>38</sup> წლებში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასული და საგამოცდო ზღვარს მიღმა დარჩენილი აბიტურიენტების რაოდენობა


	2012	2013	2014	2015	2016	2017
გამოცდაზე გასული აბიტურიენტების რაოდენობა	34 436	40 670	33 998	37 437	37 338	36 875
ერთ საგანში მაინც საგამოცდო ზღვარს მიღმა დარჩენილი აბიტურიენტები	8 970	12 699	8 215	10 117	10 513	9 746
საგამოცდო ზღვარს მიღმა დარჩენილი აბიტურიენტების პროცენტული წილი	26%	31%	24%	27%	28%	26%

<sup>36</sup> შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის წერილი.

<sup>37</sup>IDFI. ერთიანი ეროვნული გამოცდების სტატისტიკა. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://idfi.ge/ge/statistical-information-on-unified-entry-examinations-\(2005-2014-years\)](https://idfi.ge/ge/statistical-information-on-unified-entry-examinations-(2005-2014-years))

<sup>38</sup> 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები საგამოცდო ცენტრს ჯერჯერობით არ აქვს განხილვის პროცესშია სააპელაციო განაცხადები.

გრაფიკი 6: 2012-2017 წლებში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საგამოცდო ზღვარს მიღმა დარჩენილი აბიტურიენტების წილი




გამოცდების შედეგებზე საუბრისას, აუცილებელია შევეხოთ, კერძო რეპეტიტორთა აპრობირებულ პრაქტიკას საქართველოში. განათლების სამინისტრო თითქმის არასდროს საუბრობს რეპეტიტორებზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ცოდნაა, რომ აბიტურიენტთა უმრავლესობა არა სკოლებში მიღებული განათლების, არამედ კერძო მასწავლებელთან მომზადების ხარჯზე ახერხებს ერთიანი ეროვნული გამოცდების დაძლევას. ამ სერვისის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის მოძიება რამდენიმე ობიექტური მიზეზით არის გართულებული: მასწავლებლებს არ სურთ შემოსავლის იმ წყაროზე საუბარი, რომელშიც გადასახადებს არ იხდიან, მოსწავლეებს არ სურთ, გამოჩნდნენ თანატოლებზე სუსტები, ან პირიქით - პრივილეგირებულები, ისინი არ აღიარებენ, რომ მათ სკოლაში განათლების ხარისხი დაბალია. იგივე მიზეზები აქვთ მშობლებსაც. ამ მიმართულებით სახელმწიფო კვლევების არ არსებობა კი, გვაფიქრებინებს, რომ მთავრობას აბსოლუტურად იგნორირებული აქვს აღნიშნული საკითხი. მიგვაჩნია, რომ კერძო მასწავლებლები ფორმალურ ზოგად განათლებაში არსებული ჩავარდნების მაკომპენსირებელ ფუნქციას ასრულებენ, რაც ხელს უწყობს

არაფორმალური განათლების წილის ზრდას და მის ხარჯზე ფორმალურ განათლების სისტემაში არსებული პრობლემების დაფარვას.<sup>39</sup>

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა (EPPM)<sup>40</sup> 2011 წელს შეისწავლა კერძო რეპეტიტორების პრაქტიკა საქართველოში, აღმოჩნდა, რომ სკოლის ყოველი მეოთხე მოსწავლე და აბიტურიენტების ნახევარზე მეტი ემზადებოდა კერძო მასწავლებელთან. რაც შეეხება სასკოლო საფეხურების მიხედვით რეპეტიტორთან მომზადების პრაქტიკას, ყოველი მომდევნო საფეხურისთვის ეს რიცხვი იზრდება (იხ. გრაფიკი 7).

**გრაფიკი 7:** 2011 წელს კერძო მასწავლებლებთან მომზადებული მოსწავლეების წილი ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით



კვლევის თანახმად, მოსწავლეებისთვის კერძო რეპეტიტორებთან მომზადების ძირითადი მოტივატორია ის, რომ არ ენდობიან სასკოლო განათლებას, ხოლო მასწავლებლებისთვის ეს დამატებითი შემოსავლის წყაროა, რადგან სკოლა ვერ უზრუნველყოფს მათთვის ღირსეული ხელფასის გადახდას.<sup>41</sup> სავარაუდოდ, 2011

<sup>39</sup> ბრეგვაძე, თამარ. *ფორმალური ზოგადი განათლება და კერძო რეპეტიტორობა როგორც პარალელური სისტემები*. 2012. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1450.pdf>

<sup>40</sup> ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.eppm.org.ge/>

<sup>41</sup> EPPE. *კერძო რეპეტიტორების ფენომენის კვლევა საქართველოში*. 2011. ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://eppmge.blogspot.com/2012/01/blog-post\\_03.html](http://eppmge.blogspot.com/2012/01/blog-post_03.html)

წლის შემდეგ ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა. არცერთი საგანმანათლებლო სტრატეგიული დოკუმენტი არ შეხებია ამ საკითხს, შესაბამისად არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა.

კერძო რეპეტიტორების არსებობამ დანერგა შემდეგი მავნე პრაქტიკა, რომელსაც კულუარებში საუბრისას ძალიან ბევრი ადამიანი ეხება, თუმცა ხმამაღლა არ საუბრობს. კერძოდ, სკოლის ზოგიერთი მასწავლებელი უკეთესი ნიშნის დასაწერად საკუთარი მოსწავლეებისგან მოითხოვს, რომ ან მასთან ან/და იმ მასწავლებელთან რომელზეც მიუთითებს, მოსწავლემ დამატებითი მეცადინეობები გაიაროს.

2011 წლის 29 დეკემბრის განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, ადგენს იმ კრიტერიუმებს, რომლის მეშვეობითაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის/საქართველოს მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია.<sup>42</sup>

ბრძანების თანახმად, აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა ხელშეწყობისა და სტუდენტთა მობილობის მიზნით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატში/მაგისტრატურაში;

<sup>42</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 224/ნ. 29 დეკემბერი, 2011 წელი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1545043>


დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ (უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში) და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატში/მაგისტრატურაში;

ე) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით;

ზ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამ ბრძანების დ პუნქტმა გააჩინა შემდეგი პრაქტიკა: საქართველოს აბიტურიენტების ნაწილი, რომლებიც იჭრებიან ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე, მიდიან უკრაინაში და სომხეთში სასწავლებლად, შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ, სწავლობენ ამ ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში, 75 დღიანი სასწავლო ვადის გავლის შემდეგ, ბრუნდებიან ქვეყანაში და მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე ხვდებიან საქართველოს იმ უნივერსიტეტებში, რომლებიც მათთვის სასურველია. შედეგად, წლიდან-წლამდე ვიღებთ იმ პირების მზარდ რაოდენობას, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების გვერდის ავლით, შეძლეს გამხდარიყვნენ სტუდენტები. ამ პრაქტიკამ, ბაზარზე გააჩინა ორგანიზაციები, რომლებიც შესაბამისი ანაზღაურების შემთხვევაში ჩაჭრილ აბიტურიენტებს სთავაზობენ აღნიშნულ სქემაში ჩართვას. შეტყობინება მსგავსი შესაძლებლობის შესახებ საქართველოში ძალიან ბევრ მომხმარებელს მობილურ ტელეფონზე მისდის. ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ, 2018 წელს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მობილურზე შესული შეტყობინებები:



კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ ექსპერიმენტი: ჩვენ ვესაუბრეთ ცოტნე დადიანის 7 ნომერში მდებარე კომპანიას და ვთხოვეთ, ერთ-ერთი ჩაჭრილი აბიტურიენტისთვის საბუთების მომზადება და შესაბამისი ხარჯების დათვლა. აღმოჩნდა, რომ ჩაჭრილი აბიტურიენტი 1 770 დოლარად შეძლებს სომხეთის ან უკრაინის უნივერსიტეტში სწავლას 3 თვით, შემდეგ კი, საბუთების გადმოტანას და მობილობით გადმოსვლას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

კვლევისას, ასევე, ვესაუბრეთ სტუდენტს, რომელმაც აღნიშნული სქემით ისარგებლა. რესპოდენტის განცხადებით, 2017 წელს 3 თვე ისწავლა კიევის ერთ-ერთ სასწავლო უნივერსიტეტში, შემდეგ მობილობის შედეგად, გასაუბრების საფუძველზე, სწავლა გააგრძელა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. სქემაში ჩართვა რესპოდენტს 3 000 დოლარი დაუჯდა.

აღსანიშნავია, რომ ეს სქემა უკანონო არ არის, ის მხოლოდ კანონის შესაბამისად მორგების მაგალითია. შესაძლებელია ბრძანების გამოცემის პერიოდში, მისმა ავტორებმა მსგავსი რისკები წინასწარ ვერ შეაფასეს, თუმცა კანონის მიღებიდან დაახლოებით 7 წელი გავიდა და საკანონმდებლო ხარვეზი ჯერაც არ გამოსწორებულა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა ამ საკითხის თვითრეგულირება დაიწყო, დააწესა შესაბამისი შეზღუდვები და ცდილობს საკუთარი საუნივერსიტეტო სივრცე დაიცვას მსგავსი შემთხვევებისგან.

## 2.5 სტატუსშეჩერებული სტუდენტები

სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს, რომ კონკრეტული სტუდენტი, სხვადასხვა მიზეზის გამო, დროებით წყვეტს უნივერსიტეტში სწავლას. 5 წლის განმავლობაში მას შესაძლებლობა აქვს აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი და სწავლა გააგრძელოს ზუსტად იმ საფეხურიდან სადაც შეწყვიტა. საქართველოში ყველაზე ფართოდ გავრცელებული მიზეზი, რის გამოც სტუდენტები სტატუსს იჩერებენ ფინანსური დავალიანებაა.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2018 წლის 1-ლი აპრილის მდგომარეობით,<sup>43</sup> 48 624 სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს, მათგან 16 294 სტუდენტს სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო აქვს შეჩერებული, რაც საერთო რაოდენობის 33,5 %-ია. რაც შეეხება გასულ წლებს, იგივე აპრილის თვის მონაცემებით, 2016 წელს სტატუსი 35 841 სტუდენტს ჰქონდა შეჩერებული, ხოლო 2017 წელს - 43 661 სტუდენტს. 2016 და 2017 წლების ნოემბრის მონაცემების მიხედვით კი, რაოდენობა გაზრდილია. 2016 წლის ნოემბერში 37 021 სტატუსშეჩერებული სტუდენტი იყო, ხოლო 2017 წლის ნოემბერში - 45 181. აღნიშნული ტენდენცია გვაფიქრებინებს, რომ 2018 წლის ნოემბერში, 2018 წლის აპრილთან შედარებით, სტატუსშეჩერებული სტუდენტების რიცხვი ისევ გაიზარდება.

დამატებით, წლების მიხედვით სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა და მათგან ფინანსური დავალიანების მიზეზით სწავლა შეწყვეტილი სტუდენტების რიცხვი, შეგიძლიათ იხილოთ ცხრილ 3-ში.

---

<sup>43</sup> განათლების სამინისტროს მიხედვით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებათა ბაზის ასლებს ინახავს და ინფორმაციას მხოლოდ, ყოველი წლის პირველი ნოემბრის ან პირველი აპრილის მდგომარეობით გასცემს. გამომდინარე იქიდან, რომ ცენტრმა ბაზის ასლების შენახვა 2013 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყო, ინფორმაციაც, სწორედ, 2013 წლის ნოემბრიდან დღემდე არსებული მდგომარეობით არის შენახული და ჩვენ არ შეგვიძლია შევაფასოთ 2013 წლამდე ვითარება ამ მიმართულებით.

**ცხრილი 3:** 2013-2017 წლებში სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა და მათგან ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა

თარიღი	სტატუსშეჩერებული სტუდენტები	ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტების რიცხვი / %
01/11/2013	21 704	3 256 (15%)
01/11/2014	28 941	6 657 (23%)
01/11/2015	34 716	6 943 (20%)
01/11/2016	37 021	9 626 (26%)
01/11/2017	45 181	14 910 (33%)

2013 წლიდან დღემდე, სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, განსაკუთრებით მძიმეა ვითარება ფინანსური დავალიანების გამო შეწყვეტილი განათლების მიმართულებით. იმ სტუდენტების პროცენტული რიცხვი, რომელიც საფასურის გადაუხდელობის გამო ვერ აგრძელებს სწავლას, სტუდენტთა საერთო პოპულაციაში საკმაოდ დიდია.

ამ ტენდენციის პარალელურად, საინტერესოა, განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან როგორია სტუდენტებისთვის გაცემული სტიპენდიების საერთო რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ განათლების სამინისტრომ, 2018 წელს, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეამცირა სტუდენტებისთვის სასტიპენდიოდ გამოყოფილი ყოველწლიური ბიუჯეტის რაოდენობა. მაგალითისთვის, თუ 2017 წელს სამინისტროდან სახელმწიფო სტიპენდიებისთვის გამოიყო დაახლოებით 3 მლნ 917 ათასი ლარი, 2018 წელს ამ თანხის რაოდენობამ დაახლოებით 2 მლნ 430 ათასი ლარი შეადგინა. დამატებით, გასულ წლებში სტიპენდიებისთვის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხების რაოდენობა შეგიძლიათ იხილოთ ცხრილ 4-ში.

**ცხრილი 4: 2013-2018 წლებში „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ბიუჯეტი (თანხა ათას ლარებში)**

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018
ბიუჯეტი	3, 393.9	4, 044.9	3, 988. 8	3, 910. 4	3, 917. 1	2, 430. 8

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2014 წლიდან მოყოლებული, თითქმის ყოველწლიურად მცირდება სახელმწიფო სტიპენდიებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი. აღნიშნული შემცირების ტენდენციაც, გარკვეული თვალსაზრისით, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა სტატუსშეჩერებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან, ფინანსური დავალიანების მიზეზით განათლება შეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი, დაკავშირებული იყოს სასტიპენდიოთ განკუთვნილი თანხების შემცირებასთან. თუმცა, ამის გადაჭრით მტკიცება არასწორი იქნება, გამომდინარე იქიდან, რომ გადაუხდელობის გამო სწავლის შეწყვეტა, ბევრ სხვა ეკონომიკურ თუ სოციალურ პროცესებთან არის დაკავშირებული.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც კვლევის ფარგლებში მოკლედ უნდა შევეხოთ არის უნივერსიტეტების რეიტინგები. The Times Higher Education Supplement (THES)-ის<sup>44</sup> მიხედვით, საქართველოს არცერთი უნივერსიტეტი არ შედის მსოფლიოს უნივერსიტეტების რეიტინგების 400-ეულში, ხოლო QS World University Ranking-ის<sup>45</sup> მიხედვით კი, არც ერთი ქართული უნივერსიტეტი არ შედის მსოფლიოს 800-ეულში. ამ ორი რეიტინგით ხელმძღვანელობს აკადემიური სფეროს თითქმის ყველა წარმომადგენელი მთელ მსოფლიოში.

<sup>44</sup> The Times Higher Education Supplement (THES). ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.timeshighereducation.com/>

<sup>45</sup> QS World University Ranking. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.topuniversities.com/university-rankings/world-university-rankings/2018>

### 3. პროფესიული განათლება

#### 3.1 პროფესიული განათლების კვლევის ძირითადი მიგნებები:

პროფესიული განათლების სისტემის ამოცანაა უზრუნველყოს ქვეყანაში ბიზნესისათვის ძირითადი სამუშაო ძალის ბირთვის მომზადება. შესაბამისად, პროფესიული განათლება ქვეყნის განვითარების გზაზე პრიორიტეტული და გრძელვადიან შედეგებზე გათვლილი სფეროა. აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარების თითოეულ ეტაპზე, ასევე, ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგის შესრულების პროცესში<sup>46</sup> და შესაბამისად, სამოქმედო გეგმებსა თუ სტრატეგიებში, პროფესიული განათლება პრიორიტეტად განსაზღვროს. ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი აქტივობის მიუხედავად, პროფესიული განათლება ქვეყნის კვლავ უმთავრეს გამოწვევად რჩება.<sup>47</sup>

პროფესიული განათლების კვლევის ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- საქართველოში პროფესიული განათლება სრულად ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელსაც შრომის ბაზარი დღეს დასაქმების მსურველებს უყენებს.
- უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში განათლების მიღების მსურველთა შორის ძალიან დიდი დისპროპორციაა, უმაღლესი განათლების სასარგებლოდ.
- 2013 წელთან შედარებით, ყოველ წელს, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა მიღების ნაკადები შემცირებულია. განსაკუთრებით აშკარაა შემცირება კერძო პროფესიულ სასწავლებლებში, რისი გამომწვევიც, ძირითადად, დაფინანსების წესია.

<sup>46</sup> ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება. მუხლი 359, პუნქტი გ: „პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა ევროკავშირის შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით“. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA>

<sup>47</sup> ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“. პროფესიული განათლების რეფორმა - უმოკლესი გზა დასაქმებისკენ. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე:

[http://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi\\_A4\\_profesiuli\\_ganatileba\\_Cor\\_\(2\).pdf](http://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi_A4_profesiuli_ganatileba_Cor_(2).pdf)

- კერძო პროფესიული სასწავლებლები ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ვაუჩერების სისტემით, სახელმწიფო კოლეჯებში კი არ არის საკმარისი ადგილები, რათა დაკმაყოფილდეს საბაზრო მოთხოვნა.
- კერძო პროფესიული სასწავლებლები, სახელმწიფო სასწავლებლებთან შედარებით არათანაბარ პირობებში ფუნქციონირებენ. კერძო კოლეჯები სახელმწიფოგან არანაირი სახის ფინანსურ დახმარებას არ იღებენ, რაც მათ კონკურენტუნარიანობის ხარისხს საკმაოდ ამცირებს.
- 2013 წლიდან პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი იზრდება. ზრდა 2-3 პროცენტულ პუნქტში მერყეობს. ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა 2016 წელს. მიუხედავად ზრდის ტენდენციისა, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები მაინც საკმაოდ დაბალია - მათი დაახლოებით ნახევარი უმუშევარია.
- უმუშევრობის პრობლემა, ერთი მხრივ დაკავშირებულია ქვეყნის ზოგად ფონთან - სამუშაო ადგილების სიმცირესთან, ხოლო მეორე მხრივ, პროფესიული განათლების პროგრამების და შრომითი ბაზრის შეუსაბამობასთან.
- სერიოზულ გამოწვევაა, ასევე, შრომის დაბალი ანაზღაურება.
- პროფესიულ განათლებაში გატარებული და გასატარებელი რეფორმების ციკლი ერთიანდება 4 ძირითად მიმართულებაში: ინსტიტუციური მოწყობა, ადამიანური რესურსები, ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი, კანონმდებლობა და რეგულაცია. არცერთი პუნქტი არ არის სრულად შესრულებული და აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტები.
- პროფესიული განათლების ბიუჯეტი ყოველ მომდევნო წელს იზრდება, თუმცა ის ვერ უზრუნველყოფს ბაზარზე არსებული ტენდენციის ცვლილებას.

### 3.2 ზოგადი მიმოხილვა და მიზნები

პროფესიული განათლება არის სახელობო განათლება, რომელიც ადამიანს ვაჭრობის, ხელოსნობისა თუ ტექნიკური ტიპის, ასევე სხვადასხვა სფეროში (ინჟინერია, მედიცინა, არქიტექტურა, იურისპრუდენცია და ა.შ.) დამხმარე სამუშაოების შესასრულებლად ამზადებს. პროფესიული განათლება საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია და მისი მიღება შესაძლებელია საშუალო, საშუალოს

შემდგომ და უმაღლეს სასწავლებლებში. იგი ამზადებს განათლებულ და მოქნილ მუშახელს, რომელსაც სრულფასოვნად შეუძლია შრომითი ბაზრის არსებულ და მუდმივად ცვალებად საჭიროებებთან გამკლავება. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიზანია:

- შექმნას ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცე მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით;
- ხელი შეუწყოს ინდივიდის პროფესიულ განვითარებას;
- მოამზადოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრები;
- ხელი შეუწყოს პირის დასაქმებას, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა თუ თვითდასაქმებას;
- პროფესიული განათლების სფეროში შექმნას სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემა, დაგეგმოს საგანმანათლებლო პროგრამები და უზრუნველყოს პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობა.<sup>48</sup>

საქართველოში პროფესიული განათლების დაბალმა პრესტიჟმა, პოტენციური სტუდენტების ინფორმირებულობის ძალიან დაბალმა დონემ, გარკვეული პროფესიების დაუფლების შესაძლებლობის არ არსებობამ, პროფესიული კვალიფიკაციის სისტემის დახვეწის აუცილებლობამ, პროფესიული განათლების მომზადების სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არ არსებობამ და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემამ<sup>49</sup> გააჩინა რეფორმების გატარების რეალური საჭიროება, რისთვისაც 2007 წლის 23 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი<sup>50</sup> „პროფესიული განათლების შესახებ“. აღნიშნული კანონი იყო პირველი წინ გადადგმული ნაბიჯი სისტემაში არსებული ამკარა პრობლემების გადაჭრის გზაზე.

კანონის მიხედვით, პროფესიული განათლება ორ ძირითად - ფორმალურ და არაფორმალურ პროფესიულ განათლებად დაიყო. ფორმალური პროფესიული

<sup>48</sup> განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო. *პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები*. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://vet.ge/>

<sup>49</sup> ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“. *პროფესიული განათლების რეფორმა - უმოკლესი გზა დასაქმებისკენ*. 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi\\_A4\\_profesiuli\\_ganatileba\\_Cor\\_\(2\).pdf](http://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi_A4_profesiuli_ganatileba_Cor_(2).pdf)

<sup>50</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. *საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ*. 2007. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23608?publication=2>

განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემით. რაც შეეხება არაფორმალურ პროფესიულ განათლებას, მისი მიზანია პროფესიის ათვისება პროფესიული გადამზადება ან/და კვალიფიკაციის ამაღლება. არაფორმალური განათლების გზით მიღებული კვალიფიკაციის სახელმწიფო აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ატესტაციის გავლის შედეგად. არაფორმალური გზით მიღებული სახელობო განათლების ატესტაციას ახორციელებენ საატესტაციო ორგანოები. საატესტაციო ორგანო შეიძლება იყოს იურიდიული პირი, განურჩევლად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, რომელიც აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესიული განათლება ხუთი საფეხურისგან შედგება. პირველი, მეორე და მესამე საფეხური დაწყებით საფეხურად ითვლება, რომელიც 9 კლასის განათლების მქონე პირთათვის არის განკუთვნილი. პროფესიული სწავლების სამი საფეხურის დასრულების შემდეგ, პირს უფლება ეძლევა მის მიერ არჩეულ პროფესიაში რიგითი თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობა შეასრულოს. ამის შემდეგ, სურვილის შემთხვევაში, მეოთხე-მეხუთე საფეხურზე გადასასვლელად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტის ჩაბარებაა სავალდებულო. პროფესიულ განათლებაში აღნიშნული საფეხური არის უმაღლესი, რომლის დასრულების შემდეგ, პირს შესაძლებლობა აქვს კონკრეტულ პროფესიაში მმართველი პოზიციები დაიკავოს და ხელმძღვანელის, მენეჯერის ფუნქციაც იკისროს.

„პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის მიღებიდან დაახლოებით წელიწადნახევარში, შემუშავდა „პროფესიული განათლების განვითარების 2009-2012 წლების შუალედური სტრატეგია“, რომელის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, განვითარდა პროფესიულ სასწავლებელთა ინფრასტრუქტურა და აშენდა ახალი სასწავლებლები.

2012-2013 წლებში, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერით, ჩატარდა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნის სიტუაციური ანალიზი, რომელსაც შემდგომ დაეყრდნო 2013-2020 წლების პროფესიული განათლების რეფორმების გრძელვადიანი სტრატეგია. სტრატეგია მოიცავს, როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ მიზნებს.

ახალი სტრატეგიის ზოგადი მთავარი მიზანია, მომდევნო ათწლეულის განმავლობაში ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა ინდივიდუალურ და ეროვნულ დონეზე, ქვეყნის მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მისი მიზანია ასევე, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საზოგადოების ყველა ფენისთვის, სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ჩართვისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა. რაც შეეხება კონკრეტულ მიზნებს, პრიორიტეტია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და მომავალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისთვის, მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტული კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის. მოსახლეობის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას, მათ მომზადებას დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის, კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.<sup>51</sup>

### 3.3 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

საქართველოში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ორ კატეგორიად იყოფა:

- *პროფესიული კოლეჯი* - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს.
- *საზოგადოებრივი კოლეჯი* - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო ან/და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს. ის ასევე, უფლებამოსილია ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს.

<sup>51</sup> პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020). საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის ბრძანება. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://mes.gov.ge/uploads/300.pdf>

გარდა ამისა, კანონის მიხედვით, სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება განხორციელდეს ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

დღეისათვის საქართველოში 67 საზოგადოებრივ-პროფესიული კოლეჯი ფუნქციონირებს, მათგან ავტორიზებული სახელმწიფო საზოგადოებრივ/პროფესიული კოლეჯი არის 17, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯი - 6, ხოლო ავტორიზებული კერძო პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯი - 44.

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, 7 კერძო და 1 სახელმწიფო დაწესებულება შეასწავლის პროფესიულ განათლებას, ხოლო უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურზე 16 კერძო და 15 სახელმწიფო დაწესებულება.<sup>52</sup> საბოლოო ჯამში, საქართველოში 106 დაწესებულებაშია შესაძლებელი სტუდენტი დაეუფლოს პროფესიულ განათლებას, მათგან 67 კერძოა, ხოლო 39 სახელმწიფო.<sup>53</sup>

რაც შეეხება პროფესიული განათლების დაუფლების მსურველთა რაოდენობას, 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, პროფესიული სასწავლებლების მიერ მიღებული ნაკადის რაოდენობა შემცირებულია, მნიშვნელოვნად არის შემცირებული 2013 წელთან შედარებით, ყოველ მომდევნო წელს მიღებული სტუდენტების რაოდენობაც როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პროფესიულ სასწავლებლებში. თუ 2013 წელს სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლებით სარგებლობდა 12 499 სტუდენტი, ხოლო კერძოთი - 6 566, იგივე მაჩვენებლები 2017 წლისთვის 11 533 და 4 613-ია (იხ. ცხრილი 1; ცხრილი 2; დიაგრამა 1).

<sup>52</sup> სასკოლო ან/და საუნივერსიტეტო სივრცეში არსებული პროფესიული პროგრამები. მაგალითად, აგრარული უნივერსიტეტის კულინარიული აკადემია

<sup>53</sup> საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. *პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები*. 2018. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://mes.gov.ge/content.php?id=215&lang=geo>


**ცხრილი 1:** სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა მიღება დაწესებულების სტატუსისა და ტიპის მიხედვით, 2013-2017 წლები

	2013	2014	2015	2016	2017
ზოგადსაგანმანათლებლო	0	0	0	21	20
პროფესიული	4 369	4 083	4 106	4 197	4 082
საზოგადოებრივი	6 842	4 767	5 078	5 122	5 600
უმაღლესი საგანმანათლებლო	1 288	1 368	1 998	2 489	1 831
სულ	12 499	10 218	11 182	11 829	11 533

**ცხრილი 2:** კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა მიღება დაწესებულების სტატუსისა და ტიპის მიხედვით, 2013-2017 წლები

	2013	2014	2015	2016	2017
ზოგადსაგანმანათლებლო	149	101	97	151	52
პროფესიული	911	631	522	386	391
საზოგადოებრივი	4 555	3 664	3 226	3 080	3 202
უმაღლესი საგანმანათლებლო	951	547	774	894	968
სულ	6 566	4 943	4 619	4 511	4 613

**დიაგრამა 1: 2013-2017 წლებში სახელმწიფო და კერძო პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტთა მიღების სტატისტიკა**




როგორც ცხრილებიდან და დიაგრამიდან ჩანს, 2013 წელთან შედარებით, ყოველ წელს, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა მიღების ნაკადები შემცირებულია. განსაკუთრებით აშკარაა შემცირება კერძო პროფესიულ სასწავლებლებში, რისი გამომწვევიც, ძირითადად, დაფინანსების წესია. კერძო პროფესიული სასწავლებლები ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ვაუჩერების სისტემით, სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში კი არ არის საკმარისი ადგილები, რათა დაკმაყოფილდეს საბაზრო მოთხოვნა.

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ტენდენციაც, უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში განათლების მიღების მსურველთა შორის ძალიან დიდი დისპროპორციაა. მაგალითისთვის, თუ 2017 წელს პროფესიულ სასწავლებლებმა საერთო ჯამში 16 146 აპლიკანტი მიიღო, იგივე წელს უმაღლეს სასწავლებლებში 28 206 სტუდენტი ჩაირიცხა (წლების მიხედვით უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა იხ. ცხრილ 3-ში). 2017 წელს ეს დისპროპორცია 32 პროცენტული პუნქტი იყო (66% - 34%), 2016 წელს 28 პროცენტული პუნქტი (64% - 36%), 2015 და 2014 წლებში, ასევე, 28 პროცენტული პუნქტი შესაბამისი 64%-36% დისბალანსით, ხოლო 2013 წელს 18 პროცენტული პუნქტი, 59%-41%-იანი დისბალანსით უმაღლესი სასწავლებლების სასარგებლოდ. აღნიშნული

დისბალანსიც 2013 წლიდან ყოველწლიურად იზრდება. აბსოლუტურად განსხვავებულია არსებული რეალობისგან ხელისუფლების რიტორიკა, მაგალითად 2018 წლის თებერვალში, ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აცხადებდა<sup>54</sup>, რომ „ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა უმაღლეს და პროფესიულ განათლებას შორის არსებული არაჯანსაღი პროპორციის შემცირების მხრივ და 20%-ით გაიზარდა პროფესიულ განათლებაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა“, რეალურად, გარდა იმისა, რომ შემცირდა პროფესიულ განათლებაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებულ სტუდენტთა რაოდენობას შორის დისპროპორცია (იხ. დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2:** უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების პროცენტული თანაფარდობა, 2013-2017 წლები



<sup>54</sup> გიორგი კვირიკაშვილი. *უმცირესობის სხდომა*. 2018. 05. 02. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.youtube.com/watch?v=g3SkeIkVk20>

**ცხრილი 3:** უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 2013-2017 წლები<sup>55</sup>

წელი	კერძო	სახელმწიფო	სულ
2013	8 699	20 169	28 868
2014	8 096	19 044	27 140
2015	9 798	18 649	28 447
2016	9 738	18 252	27 990
2017	9 786	18 420	28 206

რაც შეეხება წლების მიხედვით ყველაზე პოპულარულ პროგრამებს პროფესიულ სასწავლებლებში: 2013 წელს მზარეულის პროგრამა იყო (702 სტუდენტი), 2014 წელს ბუღალტერის (883 სტუდენტი), 2015 წელს კომპიუტერული ქსელების და სისტემების ადმინისტრატორის (120 სტუდენტი), 2016 და 2017 წლებში კი, ისევ მზარეულის (890 და 894 სტუდენტი) (იხ. ცხრილი 4).

**ცხრილი 4:** 2013-2017 წლებში პირველი ხუთი ყველაზე პოპულარული პროგრამა პროფესიულ სასწავლებლებში

2013	1. მზარეული; 2. ბუღალტერი; 3. კომპიუტერული სისტემის და ქსელების ადმინისტრატორი; 4. კრიმინალისტი; 5. მასაჟისტი.
2014	1. ბუღალტერი; 2. მზარეული; 3. კომპიუტერული სისტემის და ქსელების ადმინისტრატორი; 4. ვებსპეციალისტი; 5. მწვრთნელი.
2015	1. კომპიუტერული სისტემის და ქსელების ადმინისტრატორი; 2. ვებსპეციალისტი; 3. გრაფიკოს-ანიმატორი; 4. გემბანის რიგითი მეზღვაური; 5. ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი.
2016	1. მზარეული; 2. ბაგა-ბაღის აღმზრდელი; 3. სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური; 4. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი; 5.

<sup>55</sup> განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. 2018.

	ავტომობილის დიაგნოსტიკოსი.
2017	1. მზარეული; 2. ბუღალტერი; 3. გიდი; 4. ბუღალტერ-ტექნიკოსი; 5. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, თითქმის ყოველ წელს, მზარეულის, ბუღალტრის და კომპიუტერული მეცნიერების სპეციალობები ყველაზე მეტად პოპულარულია საქართველოს პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა შორის.

### 3.4 პროფესიული განათლების დაფინანსების წესი, ბიუჯეტი და დასაქმება

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების დაფინანსებაზე უფლებამოსილია საქართველოს განათლების სამინისტრო. სამინისტროს გარდა, უფლებამოსილება გააჩნიათ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, აფხაზეთისა და აჭარის შესაბამის ორგანოებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. თუმცა, როგორც წესი, დაფინანსებას ძირითადად მხოლოდ განათლების სამინისტრო ახდენს.

წესი შემდეგნაირია: 1-3 საფეხურზე სტუდენტის დაფინანსება ხდება ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით. აღნიშნული ვაუჩერით კანდიდატს მხოლოდ სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლის არჩევა შეუძლია (შესაბამისი ცვლილება „პროფესიული განათლების შესახებ კანონში“ 2013 წლის სექტემბერში შევიდა).

ვაუჩერის თანხა ცალკეული პროფესიული პროგრამისთვის ინდივიდუალურია და 400-2250 ლარის ფარგლებში მერყეობს. თანხის ოდენობა კონკრეტულ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობაზეც არის დამოკიდებული, რაც იმას გულისხმობს, რომ 10 პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში, სრული თანხა პროგრამისთვის განსაზღვრული სწავლის საფასურის 1.1 კოეფიციენტზე გადამრავლების შედეგად მიღებული თანხის 10-ზე გამრავლებით მიიღება.

4-5 საფეხურის დაფინანსება ერთიანი ეროვნული გამოცდების უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე გაცემული გრანტით ხორციელდება, რომლის ლიმიტი ერთ სტუდენტზე უმაღლესი აკადემიური პროგრამების ანალოგიურია და თითოეული საფეხურისთვის 2 250 ლარით განისაზღვრება.

ვაუჩერული დაფინანსებისა გარდა, არსებობს აგრეთვე პროგრამული დაფინანსება, რომელსაც პროფესიული სასწავლებელი კვარტალურად ღებულობს. აღნიშნული დაფინანსების მიღების საფუძველი პროფესიული სასწავლო დაწესებულების მიერ

განათლების სამინისტროში წარდგენილი დასაბუთებული მიმართვაა, რომლის წარდგენა კვარტალის დასრულებამდე, არანაკლებ 15 დღით ადრე, უნდა მოხდეს. პროგრამული დაფინანსების მიზანი პერსონალის შრომის ანაზღაურების, ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების და სხვა ხარჯების დაკმაყოფილებაა.<sup>56</sup>

საყურადღებოა, რომ დაფინანსების აღნიშნული ფორმები მხოლოდ სახელმწიფო პროფესიული კოლეჯებისთვის არის განკუთვნილი და კერძო პროფესიულ კოლეჯებს არ ეხება. კერძო პროფესიული კოლეჯები სახელმწიფოსგან არანაირი სახის ფინანსურ დახმარებას არ იღებენ, რაც მათ კონკურენტუნარიანობის ხარისხს საკმაოდ ამცირებს. რეალურად, ბაზარზე არსებობს სახელმწიფო და კერძო კოლეჯები იდენტური სპეციალობებით და როდესაც სახელმწიფო კოლეჯში სწავლას სახელმწიფო აფინანსებს, შესაბამისად, სტუდენტთა უმრავლესობა სახელმწიფო კოლეჯში სწავლას არჩევს. ამასთან, კერძო კოლეჯების კონკურენტები არამარტო სახელმწიფო კოლეჯები არიან, არამედ უმაღლესი და საშუალო სასწავლო დაწესებულებები, რომელთაც სურვილის შემთხვევაში, კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ პროფესიული პროგრამების სწავლების უფლება. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კერძო კოლეჯში ჩაბარების მსურველთა რაოდენობა წლიდან-წლამდე იკლებს, რისი გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, სწორედ, არათანაბარ ფინანსურ გარემოში ფუნქციონირება შეიძლება იყოს.

პროფესიული განათლებისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ წლიდან-წლამდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისი დაფინანსების წილი იზრდება. განათლების სამინისტროს მიხედვით, განათლების საერთო ბიუჯეტიდან თუ 2012 წლისთვის პროფესიული განათლებისთვის გამოყოფილი თანხა 9,2 მლნ ლარს შეადგენდა, 2018 წლის გეგმიურ მონაცემით 43,5 მლნ ლარია (ის. ცხრილი 4).<sup>57</sup>

---

<sup>56</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება. *პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე*. 2013. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2021412>

<sup>57</sup> საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილის საფუძველზე.

**ცხრილი 4:** განათლების სამინისტროსთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში პროფესიული განათლების მიმართულებით გაწეული ფაქტიური ხარჯები (2012-2018 წლები)

წელი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
თანხა (ლარი)	9,3 მლნ	13,3 მლნ	23,2 მლნ	33,0 მლნ	33,7 მლნ	36,5 მლნ	43,5 მლნ

რაც შეეხება პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას, 2013 წლიდან დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი იზრდება. ზრდა 2-3 პროცენტულ პუნქტში მერყეობს. ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა 2016 წელს, როდესაც 2015 წელთან შედარებით, დასაქმებულების მაჩვენებელი 6%-ით გაიზარდა და 56%-ზე დაფიქსირდა (იხ. ცხრილი 5). მიუხედავად ზრდის ტენდენციისა, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაინც საკმაოდ დაბალია - კურსდამთავრებულთა დაახლოებით ნახევარი უმუშევარია. აღნიშნულის გამომწვევი ერთი მხრივ პროგრამების მომზადების დაბალი ხარისხია, ხოლო მეორე მხრივ სამუშაო ადგილების სიმცირე.

**ცხრილი 5:** პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი 2014-2017 წლებში<sup>58</sup>

წელი	2013	2014	2015	2016	2017
მაჩვენებელი %	38, 9 %	42 %	47 %	56 %	56, 2 %

### 3.5 პროფესიული განათლების კვლევები საქართველოში

2012 წლიდან განათლების სამინისტრო ახორციელებს სასწავლო წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევას. კვლევის მიზანია, სწავლის დასრულების შემდგომ ბენეფიციარების ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების ასახვა/დოკუმენტირება. აგრეთვე, მნიშვნელოვანია შემდეგი

<sup>58</sup> სამინისტროს წერილი; პროფესიული განათლების სტატისტიკური ბიულეტენი (2013-2015 წლები).

გარემოების განსაზღვრა: ხელი შეუწყო თუ არა სახელმწიფოს ინტერვენციამ ცვლილებებს. არსებობის შემთხვევაში, ცვლილებები სახელმწიფოს ჩარევით იყო განპირობებული თუ რაიმე სახის სხვა ფაქტორებით.

2012-2013 წლების კვლევისას, გამოიკითხა პროფესიული სასწავლებლების 1 310 კურსდამთავრებული, მათგან 495 გამოკითხული იყო ქალი, ხოლო 815 კაცი. შედეგების მიხედვით, რესპოდენტთა ნახევარზე მეტი 50,6% დაუსაქმებელი იყო. ხოლო დასაქმებულთა უმრავლესობის (57%) დასაქმების პროფილი, არ შეესაბამებოდა სასწავლებელში მიღებულ სპეციალიზაციას. რაც შეეხება დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას, გამოკითხულთა 16,1%-ის ანაზღაურება მერყეობდა 501-1 000 ლარის ფარგლებში. მათი ყველაზე დიდი წილი - 46 % გამოიმუშავებდა თვეში, მხოლოდ, 201-500 ლარამდე. რაც შეეხება უმუშევარ რესპოდენტებს, ისინი ჩამოთვლიდნენ მიზეზებს თუ რატომ არ იყვნენ დასაქმებულები. ეს მიზეზებია: საკმარისი ცოდნის, უნარების და გამოცდილების არ არსებობა; შრომის ბაზარზე დაბალი მოთხოვნა; შეთავაზებული ანაზღაურების სიმცირე; შშმ პირია და ა.შ.<sup>59</sup>

2014 წლის კვლევისას გამოკითხული იქნა 2 591 რესპოდენტი, მათგან 1 147 ქალი და 1 444 კაცი. 2014 წლის გამოკითხულთა უმრავლესობას (52,5%) პროფესიული სასწავლებლის დასრულების შემდეგ მუშაობა არ დაუწყია. მომუშავე რესპოდენტების 35,4% კი, არ მუშაობდა პროფესიულ სასწავლებელში მიღებული განათლების მიმართულებით. ისინი მუშაობის ვერ დაწყების ძირითად მიზეზად, სამუშაო ადგილების არ არსებობას ასახელებდნენ. 2014 წელსაც, დასაქმებულ რესპოდენტთა დიდი ნაწილი 48 %) გამოიმუშავებდა თვეში 201-500 ლარამდე შრომის ანაზღაურებას, 16,4% კი - 200 ლარამდე ანაზღაურებას.<sup>60</sup>

2015 წელს კურსდამთავრებულთა კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 3 767 რესპოდენტი, მათგან 1 985 რესპოდენტი კაცია, ხოლო 1 782 ქალი. გამოკითხულთა 44%-მა სწავლის დასრულების შემდგომ ვერ დაიწყო მუშაობა, ხოლო დასაქმებულთა 51,6% არ მუშაობს პროფესიულ სასწავლებელში მიღებული ცოდნითა და კვალიფიკაციით. 2015 წლის კვლევაში, დასაქმებულთა საშუალო ანაზღაურება 508

<sup>59</sup> 2012/2013 სასწავლო წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა. 2014 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://mes.gov.ge/uploads/News/kursdamtavrebulata%20kvleva%202012\\_2013.pdf](http://mes.gov.ge/uploads/News/kursdamtavrebulata%20kvleva%202012_2013.pdf)

<sup>60</sup> 2014 წლის სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში - Tracer Study. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo>

ლარს შეადგენს. კვლევისას არ დასმულა შეკითხვა, თუ რატომ ვერ პოულობენ უმუშევარი რესპოდენტები სამსახურს.<sup>61</sup>

2016 წლის კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაწილეობდა 3 144 რესპოდენტი, მათგან 1 793 კაცი და 1 351 ქალი. რესპოდენტების 43,8 % დაუსაქმებელია, ხოლო დასაქმებულთა 49 % არ მუშაობს პროფესიულ სასწავლებელში მიღებული ცოდნითა და კვალიფიკაციით. დასაქმებულების საშუალო თვიური ხელფასი 689 ლარია. დაუსაქმებლები კი, სამსახურის ვერ დაწყების მიზეზებად ჩამოთვლიან სამუშაო ადგილების სიმცირეს, შესაბამისი კვალიფიკაციის არ ქონას და შრომის დაბალ ანაზღაურებას.<sup>62</sup>

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევა პროფესიული განათლების პოლიტიკის გამტარებლებს და პროვაიდერებს საშუალებას აძლევს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზონ პროფესიული განათლების ხარისხი და მისი გავლენა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე დროითი მონაკვეთების ჭრილში. გარდა ამისა, აღნიშნული კვლევები ეხმარება სახელმწიფოს დაადგინოს, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას პროფესიული განათლება ქვეყანაში. კვლევა გამოკვეთს ყველა იმ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც უმნიშვნელოვანესია პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესების გზაზე. აღნიშნული კვლევების შედეგების გაანალიზებით დადგინდა, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს სერიოზულად უდგათ უმუშევრობის პრობლემა, რომელიც ერთი მხრივ დაკავშირებულია ქვეყნის ზოგად ფონთან - სამუშაო ადგილების არ არსებობასთან, ხოლო მეორე მხრივ, პროფესიული განათლების პროგრამების და შრომითი ბაზრის შეუსაბამობასთან. სერიოზულ გამოწვევად რჩება, აგრეთვე, შრომის დაბალი ანაზღაურება.

2015 წელს კვლევითმა ორგანიზაცია Analysis & Consulting Team (ACT)-მა, UNDP-ის დაკვეთით, გამოიკვლია პროფესიული განათლების მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება. კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა, როგორც პროფესიული განათლების არსებობის ცნობადობა საზოგადოებაში, ისე მის მიმართ მოსახლეობის განწყობები. სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, აღნიშნულმა კვლევამ გამოკვეთა, რომ საზოგადოებაში პროფესიული განათლება გაცილებით უფრო

<sup>61</sup> 2015 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა - Tracer Study. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo>

<sup>62</sup> 2016 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში - Tracer Study. ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://mes.gov.ge/uploads/files/2016-\(Tracer%20Study\).pdf](http://mes.gov.ge/uploads/files/2016-(Tracer%20Study).pdf)

ნაკლები პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე უმაღლესი განათლება. მაგალითად, გამოკითხულთა უმრავლესობას (45%) მიაჩნდა, რომ პროფესიულ სასწავლებლების კურსდამთავრებულებს დასაქმების გაცილებით უფრო დაბალი შესაძლებლობა აქვთ, ვიდრე უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულებს. სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობამ (57%) კი, განაცხადა, რომ სკოლის დასრულების შემდეგ ჩააბარებდა უმაღლეს სასწავლებელში.<sup>63</sup>

2015 წელს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაკვეთით, შპს „ბი სი ჯი კვლევა“ შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა ჩაატარა. მონაცემთა განზოგადების შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოს მასშტაბით არსებულ 63 387 ორგანიზაციაში დასაქმებულია სულ 908 374 ადამიანი. აქედან, ყველაზე მეტი ორგანიზაცია (32 486) თბილისზე მოდის და შესაბამისად, დასაქმებულების ყველაზე მეტი რაოდენობაც (497 135 ადამიანი) თბილისში ფიქსირდება. კვლევამ ცხადყო, რომ დასაქმებულებს შორის, დიდწილად, წარმოდგენილია უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები (49%), რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი პროფესიული კომპეტენცია. მინიმალური საკვალიფიკაციო დონის მოთხოვნის მიხედვით, დასაქმებულებს შორის მეორე ადგილზეა საშუალო განათლების მქონე ადამიანების კატეგორია (31.9%), რაც მეტყველებს დაბალი საკვალიფიკაციო დონის მოთხოვნის სამუშაოების სიმრავლეზე. საგულისხმოა იმ პოზიციების სიმცირე, რომელზედაც დასაქმებულები არიან პროფესიული განათლების მქონე ადამიანები (14.7%). შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტების თვისებრივი კვლევის თანახმად, პროფესიული განათლების მქონე ადამიანების მოთხოვნა შრომის ბაზარზე საკმაოდ დაბალია.<sup>64</sup>

### 3.6 პროფესიული განათლების გამოწვევები

პროფესიული განათლების 2013-2020 წლის სტრატეგიის მიხედვით, საქართველოში პროფესიული განათლების ძირითადი გამოწვევებია: სოციალური პარტნიორობისა და სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები ჩართულობა პროფესიული განათლების ყველა პროცესში - დაგეგმიდან შეფასებამდე; სახელმწიფო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სუსტი ქსელი, როგორც გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების/დისციპლინების მრავალფეროვნების თვალსაზრისით (ქსელი აერთიანებს უმეტესად არასაკმარისი

<sup>63</sup> პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება - 2015. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo>

<sup>64</sup> შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა - 2015. ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01\\_GEO/Shroma/kvleva/33.pdf](http://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Shroma/kvleva/33.pdf)

დაფინანსების, ნაკლებად ეფექტური მენეჯმენტის, განსხვავებული სტანდარტებისა და ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებებს); საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლები შესაბამისობა შრომის ბაზრის ამჟამინდელ და სამომავლო მოთხოვნებთან; პროფესიული განათლების პედაგოგიური კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის განვითარება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად; პროფესიული განათლების მასწავლებლების, (როგორც თეორიულის, ასევე პრაქტიკულის) პროფესიაში შესვლისა და ამ სისტემაში დარჩენის სტიმულირების პრობლემა; დაბალი და განსხვავებული ხარისხის პროფესიული კვალიფიკაციები - დამსაქმებლისა და საგანმანათლებლო ინსტიტუტების მხრიდან კვალიფიკაციის აღიარების პრობლემა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე; პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების დასაქმების განსხვავებული პერსპექტივები მაღალანაზღაურებად და პიროვნულად საინტერესო პოზიციებზე, კარიერის შემდგომი განვითარების პერსპექტივით; პროფესიული განათლება ნაკლებად მიმზიდველი და წამახალისებელი ალტერნატივაა მოსახლეობისთვის; დამსაქმებლები კადრების შერჩევისას, პროფესიულ განათლებას შერჩევის წინაპირობად ნაკლებად განიხილავენ.<sup>65</sup>

აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად და არსებული პრობლემების შესამცირებლად, 2009 წლიდან სახელმწიფო რეფორმებს ატარებს. სტრატეგიის თანახმად, გატარებული და გასატარებელი რეფორმების ციკლი ერთიანდება 4 ძირითად მიმართულებაში: *ინსტიტუციური მოწყობა, ადამიანური რესურსები, ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი, კანონმდებლობა და რეგულაცია*.

საქართველოს მთავრობის შეფასებით, 2017 წლისთვის, ამ ოთხ ძირითად მიმართულებაში რეფორმების განხორციელების პროცესის პროცენტული შეფასება შემდეგნაირია: ინსტიტუციური მოწყობა - 79,3%; ადამიანური რესურსები - 83,6%; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი - 77,3%; კანონმდებლობა და რეგულაცია - 75%. ეს პროცენტები ნიშნავს, რომ თითოეულ ამ მიმართულებაში განსახორციელებელი რეფორმების შეფასების სრული 100%-დან, სამთავრობო კვლევაში ამ მიმართულებებმა შემდეგი შეფასება დაიმსახურეს. იგივე 2017 წელს, რეფორმების საერთო შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 80%-ია.

თუმცა, თითოეული მიმართულება ცალ-ცალკე რომ განვიხილოთ, გამოვყოფთ შემდეგ ძალზე პრობლემურ საკითხებს:

<sup>65</sup> პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020). საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის ბრძანება. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://mes.gov.ge/uploads/300.pdf>

*ინსტიტუციური მოწყობა* - კრედიტების სისტემა არაფორმალური განათლების აღიარებისთვის არ დანერგილა; დივერსიფიცირებული დაფინანსების მოდელი არ დანერგილა; პროცესშია, მაგრამ არ მომხდარა პროფესიული სასწავლებლებისა და საწარმოებს შორის თანამშრომლობის მოდელების პილოტირება და შეფასება, რაც ხელს უშლის ე.წ. დუალური<sup>66</sup> განათლების დანერგვას; გაუმართავია სტუდენტური სესხებისა და ხელშეკრულებების სისტემა; არსებული პრაქტიკისა და რესურსების ინვენტარიზაცია შრომის ბაზრის ინფორმაციის შეგროვება-ანალიზისათვის არ მომხდარა; ევროპული ინსტრუმენტების შესწავლა და დანერგვა შერჩეულ პროფესიულ სფეროებში კვლავ არ დასრულებულა და არ გვაქვს შესაბამისი შეფასების დოკუმენტები.

*ადამიანური რესურსები* - პროფესიული განათლების მასწავლებელთა სრული მომზადება სისტემის დონეზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად ჯერ კიდევ არ დასრულებულა; არ ჩატარებულა შესაბამისი გადამზადებები არაფორმალური განათლების აღიარების მიმართულებით; პროფესიული განათლების სფეროში შრომის ბაზრის ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისათვის კვლევის მეთოდოლოგია ჯერ არ შემუშავებულა.

*ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი* - შრომის ბაზრის მონაცემთა ბაზა არ არის ხელმისაწვდომი კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სტრუქტურული ერთეულისათვის; მიუხედავად იმისა, რომ მომზადდა და განხორციელდა პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გეგმა (რაც იმას ნიშნავს რომ უფრო მეტი რეგიონისთვისაა პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი), თუმცა არსებული რიცხვები გვიჩვენებს, რომ კიდევ უფრო გასაზრდელია პროფესიული სწავლების რეგიონული დაფარვა.

*კანონმდებლობა და რეგულაცია* - არ მომზადებულა დივერსიფიცირებული დაფინანსების მოდელის დანერგვისათვის სამართლებრივი ბაზა; არ განსაზღვრულა კერძო სექტორის მინიმალური სტანდარტი პრაქტიკისა და გამოცდების პროცესებში

<sup>66</sup> პროფესიული განათლების გერმანული მოდელი. იგი გულისხმობს პროფესიის შესწავლის პროცესში, პროფესიული სასწავლებლების და საწარმოების თანაბარ ჩართულობას. სტუდენტი თეორიულ ცოდნას სასწავლებელში ეუფლება (ცოდნის 40%), ხოლო პრაქტიკულ უნარ-ჩვევას შესაბამის საწარმოში იღებს (ცოდნის 60%), რაც ზრდის შემდგომში მისი დასაქმების შესაძლებლობას. ევროკავშირთან და გერმანიასთან თანამშრომლობით, საქართველოს პროფესიული სწავლების სისტემაში ინერგება დუალური სწავლების სისტემა.

ჩართვისთვის; არ შეცვლილა პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზა.<sup>67</sup>

## 4. საქართველოს განათლების სისტემა საერთაშორისო კვლევებსა და რეიტინგებში

### 4.1 საერთაშორისო კვლევების მიხედვით, საქართველოს განათლების სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი მიგნებები:

- მასწავლებელთა სწავლების მიდგომები, საქართველოს სკოლებში, უმეტესწილად, არ შეესაბამება საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებს და ხშირად, უარყოფით როლს თამაშობს მოზარდებში კითხვის უნარების განვითარების პროცესში.
- შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეების მხოლოდ 2%-ს შესწევს უნარი, გაუმკლავდეს კითხვის უნარების უმაღლეს საფეხურს, 14%-ს კი ამის უნარი საერთოდ არ გააჩნია.
- საქართველოს სასწავლო პროცესის შეფასების ქულა უსაფრთხოების, მოწესრიგებულობის და დისციპლინის თვალსაზრისით, მსოფლიოს 50 ქვეყანას შორის, ერთ-ერთი ყველაზე დაბალია.
- საქართველოს მოსწავლეების უმეტესობა, სკოლაში თავს დაცულად არ გრძნობს.
- საქართველოს მოსწავლეებს სასწავლო რესურსებზე (ბიბლიოთეკები, კომპიუტერები, ინტერნეტი, ლაბორატორიები) წვდომის არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ.
- საქართველოს განათლების სისტემა ვერ ახერხებს შეასრულოს მისთვის უმთავრესი მიზანი - ზოგადი განათლება იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი მიუხედავად სკოლის ადგილმდებარეობისა და მისი სტატუსისა. ქალაქის და კერძო სკოლებში წაკითხულის გააზრების შედარებით უკეთესი უნარ-ჩვევები გამოვლინდა, ვიდრე სოფლისა და საჯარო სკოლებში.

<sup>67</sup> ReformMeter. Tracking Progress – One Reform at a Time. პროფესიული განათლების რეფორმა. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://reformmeter.iset-pi.ge/system/reform\\_survey\\_reports/14/ka/VET\\_geo.pdf](https://reformmeter.iset-pi.ge/system/reform_survey_reports/14/ka/VET_geo.pdf)

- ინტერნეტში მოცემული ინფორმაციის მიღება და ამ ინფორმაციის გააზრება, საქართველოს მოსწავლეებისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურია.
- წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში, საქართველოს მოსწავლეების საშუალო ქულა, კვლავ ბევრად ჩამორჩება მსოფლიო საშუალოს. ფაქტია, რომ 2007-2015 წლებში, 8 წლიან მონაკვეთში, საქართველოს მოსწავლეები ცოდნის საშუალო დონეს ვერც კი მიუახლოვდნენ.
- მათემატიკის კვლევაში მონაწილე საქართველოს მოსწავლეების 50%-ს არ შეუძლია გადალახოს მათემატიკის ცოდნის ქვედა კრიტიკული და დაბალი ზღვარი.
- ამ ეტაპისთვის, საქართველოს მოსწავლეებს, არ შესწევთ უნარი მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში კონკურენცია გაუწიონ მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების მოსწავლეებს.
- საქართველოს საბაზისო საფეხურის მოსწავლეების უმეტესობა არ ფლობს იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც აუცილებელია საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრირებისთვის. მათი ცოდნა არ არის საკმარისი განათლების შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად და შეუსაბამოა ეროვნული სასწავლო გეგმის დასახულ მიზნებთან.
- დაწყებითი კლასების მათემატიკის მომავალი მასწავლებლების ცოდნის შეფასების ქულა, საერთაშორისო საშუალო ქულაზე ბევრად დაბალია და საკვლევ 16 სახელმწიფოს შორის უკანასკნელ ადგილს იკავებს. ანალოგიური ვითარებაა საბაზისო და საშუალო საფეხურზე.
- მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისთვის მიცემული გადაჭარბებული რაოდენობის საშინაო დავალებები, საქართველოს მოსწავლეებს ხელს უშლის კითხვისადმი დადებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.
- სკოლის ბიუჯეტის განაწილების თვალსაზრისით, საქართველო დაბალი ავტონომიურობის მქონე ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. ასევე დაბალია ავტონომიურობის ხარისხი სწავლა-სწავლების შინაარსისა და შეფასების პოლიტიკის განსაზღვრაში.
- საქართველოს ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (51%) მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ყოველდღიური ცხოვრება რთული და სტრესულია.

## 4.2 ანალიზი

განათლების სისტემის ზოგად კვლევას ცალკეული ქვეყნების მიხედვით, მის შეფასებას, სახელმწიფოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმების წარმატებულობისა თუ წარუმატებლობის ხარისხის შესწავლას, ამ მიმართულებით მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაცია, „საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაცია (The International Association for the Evaluation of Educational Achievement (IEA)“ ახდენს.

1958 წელს დაარსებული IEA არის ნიდერლანდებში მდებარე დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 60-ზე მეტი ქვეყნის ეროვნულ კვლევით ინსტიტუტებს, სამთავრობო კვლევით ორგანიზაციებს და განათლების დამოუკიდებელ მკვლევარებს. ორგანიზაცია შეისწავლის 100-ზე მეტ განათლების სისტემას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ამზადებს ამ სისტემების შეფასების დოკუმენტებს.<sup>68</sup> IEA-ს კვლევები რამდენიმე წელიწადში ერთხელ ტარდება და სასწავლო პროცესის პროგრესის შეფასების ეფექტურ საშუალებას იძლევა. ამ კვლევებს ე.წ. დიაგნოსტიკური ხასიათი აქვს, იგი კარგად აჩვენებს სისტემაში არსებულ ხარვეზებს და ქმნის შესაძლებლობას კვლევაზე დამყარებული რეფორმების გატარებისთვის.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე მასშტაბურმა რეფორმებმა, დღის წესრიგში განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის გამოკვლევის აუცილებლობა დააყენა. რეფორმების საწყის ეტაპზე, 2003 წელს, განათლების სამინისტრომ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს კვლევა დაავალა. კვლევა ფოკუსირდა დაწყებით კლასებში მიმდინარე სასწავლო პროცესებზე, კერძოდ, ქართული ენისა და მათემატიკის სწავლების ხარისხსა და მიღწეულ შედეგებზე. აღნიშნულ კვლევაში მონაწილე 10 000 მოსწავლის და მათი პედაგოგების შედეგებმა აჩვენა, რომ სასწავლო პროცესებში სერიოზული ჩავარდნები იყო. სახელმძღვანელოების მასალასა და მოსწავლეთა შესაძლებლობებს შორის კი აშკარა დისბალანსი გამოვლინდა. ამავე კვლევამ აჩვენა, რომ თუ საქართველო საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობას მიიღებდა ის, აუცილებლად, ჩამორჩენილი სახელმწიფოების რიგებში მოხვდებოდა და საერთაშორისო მასშტაბით ქართული განათლების სისტემა ერთ-ერთ ყველაზე წარუმატებელ სისტემად წარმოჩინდებოდა. მიუხედავად ამისა, მიღებულ იქნა თამამი პოლიტიკური გადაწყვეტილება, ქვეყანა ჩართულიყო საერთაშორისო კვლევებში, ხოლო რეფორმები დამყარებოდა ამ კვლევების შედეგებს.

<sup>68</sup> The International Association for the Evaluation of Educational Achievement (IEA). Via URL: <https://www.iea.nl/>

2006 წლიდან საქართველომ მონაწილეობა მიიღო ხუთ საერთაშორისო კვლევაში:

1. წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS);
2. მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა (TIMSS);
3. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA);
4. მასწავლებელთა განათლების და განვითარების საერთაშორისო კვლევა (TEDS-M);
5. სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS).

აღნიშნული კვლევები მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე ფაქტორის გამო: საქართველო შეძლებდა განათლების სისტემაში არსებული ხარვეზების გამოვლენას, გაეცნობოდა მსოფლიოში წარმატებულ საგანმანათლებლო სისტემებს, ქვეყანას საშუალება ექნებოდა საერთაშორისოდ არსებული ტენდენციების გაზიარების და შესაბამისად, სასწავლო პროცესის გადახარისხებისა თუ საჭირო რეფორმების გატარების.<sup>69</sup>

### 4.3 წიგნიერების საერთაშორისო კვლევა

#### Progress in International Reading Literacy Study (PIRLS)


PIRLS არის მოსწავლეთა წიგნიერების საერთაშორისო კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს შეაფასოს 9-10 წლის მოზარდების კითხვისა და წაკითხულის გააზრების უნარები. გამოავლინოს ყველა ის პროგრესი და ჩავარდნა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამ ასაკის მოზარდებს ლიტერატურის კითხვის მიმართულებით აქვთ. კვლევა აფასებს, როგორც მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობას, ისე იმ გარემოს (ოჯახი, სკოლა, მასწავლებლები, სწავლების მეთოდოლოგია და ა.შ.), სადაც კვლევის ბენეფიციარები კითხვის უნარებს ივითარებენ, სხვა სიტყვებით, ის კითხვის შესწავლაზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირებას ახდენს.

<sup>69</sup> კუტალაძე, ია. საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში. 2012. CSS. ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://css.ge/files/Papers/ia\\_kutaladze\\_September\\_2012\\_Geo.pdf](http://css.ge/files/Papers/ia_kutaladze_September_2012_Geo.pdf)

რაც შეეხება PIRLS კვლევის დიზაინს, მოსწავლეები მშობლიურ ენაზე ტექსტებს ამუშავებენ, იაზრებენ მის შინაარსსა და სტრუქტურას, გამოყოფენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ფაქტებს და მოსაზრებებს ერთმანეთისგან აცალკევებენ, პასუხს სცემენ მასალის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს, გამოაქვთ დასკვნები, და ა.შ. კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია გარემოს შესწავლის კითხვარები: მოსწავლის კითხვარი; მასწავლებლის კითხვარი; მშობლის კითხვარი; სკოლის დირექტორის და სასწავლო გეგმის კითხვარები. კითხვარებიდან მიღებული პასუხები, საბოლოო ჯამში, აჩვენებს საერთო სურათს როგორც მოსწავლეების უნარების, ისე ამ უნარების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესახებ. კვლევის ფარგლებში იკვეთება კონკრეტული ქვეყნის მოსწავლეთა საერთო დამოკიდებულება კითხვისადმი, კითხვის სიხშირე, კითხვასთან დაკავშირებული სირთულეები, სკოლის საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკები) მნიშვნელობა და ა.შ. PIRLS კვლევა ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ტარდება. პირველად საქართველომ 2006 წელს მიიღო მასში მონაწილეობა. 2006 წლიდან ქვეყანა აღნიშნულ კვლევაში 3-ჯერ ჩაერთო - 2006, 2011 და 2016 წლებში.

2006 წელს PIRLS წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში მონაწილეობდა 45 ქვეყანა. საქართველოდან კვლევაში 149 სკოლა, 4 350 მოსწავლე, 4 341 მშობელი, 225 მასწავლებელი და 149 დირექტორი მონაწილეობდა. შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსწავლეთა წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი 471 ქულა იყო. ქულა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა კვლევის ზოგად საშუალო მაჩვენებელს (შკალით 500) და ქვეყანამ 45 ადგილიდან 37-ე ადგილი დაიკავა. კვლევის მისაღწევი შედეგები ოთხ ძირითად კატეგორიად იყოფა: უმაღლესი, მაღალი, საშუალო და დაბალი. აღმოჩნდა, რომ ქართველი მოსწავლეების მხოლოდ 1%-მა მიაღწია უმაღლეს შედეგებს, მაღალი მაჩვენებელი დააგროვა 15%-მა, საშუალო - 50 %-მა, დაბალი - 82%-მა. მოსწავლეთა 18% კი, მინიმალური კომპეტენციის ზღვარს მიღმა დარჩა (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1: საქართველოს მოსწავლეების შედეგები სირთულის დონეების მიხედვით PIRLS 2006-ში<sup>70</sup>



ილუსტრირებისთვის, თუ რამდენად ჩამორჩებოდა საქართველოს შედეგები სხვა მონაწილე ქვეყნების შედეგებს, შეიძლება მოლდოვას მაგალითი მოვიყვანოთ. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის მოლდოვა კეთილდღეობის საერთაშორისო ინდექსით (HDI)<sup>71</sup> საქართველოზე მნიშვნელოვნად უკან იყო, მოლდოვაში მოსწავლეთა მხოლოდ 9%-მა ვერ დაძლია კვლევის დავალებების დაბალი საფეხური, როდესაც საქართველოს შემთხვევაში, ასეთ მონაწილეთა საერთო რაოდენობა 2-ჯერ მეტი - 18% იყო. კვლევაში მონაწილე სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს: რუსეთს, ლიტვას და ლიეტუვას კი, გაცილებით უკეთესი შედეგები ჰქონდათ, ვიდრე მოლდოვას და მით უმეტეს, ვიდრე საქართველოს. კვლევამ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა სწავლების მეთოდის ნაწილში გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა

<sup>70</sup> შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი. *PIRLS – 2006 საქართველოში*. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/wigniereba\\_pirls\\_2006\\_2013.pdf](https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/wigniereba_pirls_2006_2013.pdf)

<sup>71</sup> ადამიანის განვითარების ინდექსი ([Human Development Index](#)) - ქვეყნის განვითარების ინდიკატორი, რომელიც აერთიანებს ისეთ საზომებს, როგორცაა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების დონე, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ინდექსს ყოველ წელს UNDP ადგენს. 2006 წლის შედეგების მიხედვით, საქართველო 97-ე, ხოლო მოლდოვა 114-ე ადგილზე იყო. შედეგები იხილეთ ბმულზე: <http://hdr.undp.org/sites/default/files/reports/267/hdr06-complete.pdf>

კითხვის უნარების გაუმჯობესებისკენ მიმართულ ყველა აუცილებელ აქტივობაზე, პედაგოგთა კითხვარების უმეტესობაში, დადებითი პასუხები ფიქსირდებოდა, (მაგალითად, მასწავლებელთა 96% ამბობდა, რომ ისინი ყოველდღიურად ეხმარებიან მოსწავლეებს ტექსტებში ახალი სიტყვების გაგებასა და ლექსიკური მარაგის შევსებაში, 70-98% ასწავლიდა წაკითხულის გააზრების სტრატეგიებს, 46% ყოველდღიურად ეხმარებოდა ტექსტების დეკოდირებაში და ა.შ.) აშკარად გამოჩნდა, რომ პედაგოგთა სწავლების მიდგომები არათუ არ შეესაბამებოდა საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებს, პირიქით, უარყოფით როლსაც კი თამაშობდა მოზარდებში კითხვის უნარების ჩამოყალიბების პროცესში. მაგალითად, გამოჩნდა, რომ პედაგოგების მიერ მოსწავლეებისთვის მიცემული გადაჭარბებული საშინაო დავალებები ხელს უშლიდა მოზარდებს დამატებითი ლიტერატურის გაცნობასა და კითხვისადმი დადებითი დამოკიდებულების შექმნაში.

საბოლოოდ, 2006 წლის PIRLS კვლევის შედეგებმა დღის სინათლეზე გამოიტანა საქართველოს სკოლებში არსებული ბევრი პრობლემა, რომლის აღმოფხვრის მიზნით, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა უნდა შემუშავებულიყო და შედეგებზე ორიენტირებული რეფორმები გატარებულიყო.

2011 წლის PIRLS კვლევაში კვლავ 45 ქვეყანა, 290 000 მოსწავლით მონაწილეობდა. საქართველოდან კვლევაში წარმოდგენილი იყო 173 სკოლის 4 796 მოსწავლე, 4 695 მშობელი, 233 პედაგოგი და 173 სკოლის დირექტორი. 2011 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველომ უკეთესი შედეგები აჩვენა და ამჯერად, 488 ქულა დააგროვა. მართალია, ეს მაჩვენებელი საშუალო 500 ქულაზე დაბალი იყო, მაგრამ 2006 წელთან შედარებით, მისმა პოზიციამ რამდენიმე საფეხურით ზემოთ აიწია და 45 ქვეყანას შორის, 34-ე ადგილი დაიკავა. საქართველო იმ 13 ქვეყანას<sup>72</sup> შორის შედის, რომლებმაც 2006 წელთან შედარებით, წიგნიერების სკალირებული ქულა გაიუმჯობესა.

რაც შეეხება, შეფასების დონეებს, 2011 წელს ქართველი მოსწავლეების მხოლოდ 2%-მა მიაღწია უმაღლეს საფეხურს, მაღალს - 21%-მა, საშუალოს 60%-მა, ხოლო დაბალს - 86%-მა. მონაწილეთა 14% კი, მინიმალურ ზღვარს მიღმა დარჩა. ამ მიმართულებითაც, 2011 წელს ქართველმა მოსწავლეებმა საკუთარი შედეგები გაიუმჯობესეს (იხ. ცხრილი 1).

<sup>72</sup> ტაივანი, დანია, დიდი ბრიტანეთი, საქართველო, ჰონგ-კონგი, ინდონეზია, ირანი, ნორვეგია, პოლონეთი, სინგაპური, სლოვენია, ტრინიდადი და ტობაგო, ამერიკის შეერთებული შტატები.

**ცხრილი 1: PIRLS 2011-ში საქართველოს შედეგები მიღწეული დონეების მიხედვით და მათი შედარება კვლევის შედეგების საერთაშორისო მედიანებთან<sup>73</sup>**

	უმაღლესი საფეხური	მაღალი საფეხური	საშუალო საფეხური	დაბალი საფეხური	დაბალ საფეხურზე ქვემოთ
<b>საქართველო</b>	2% (0,3)	21% (1,2)	60% (1,6)	86% (1,4)	<b>14%</b>
<b>საერთაშორისო მედიანა</b>	8%	44%	80%	95%	<b>5%</b>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 2011 წლის შედეგები საშუალოზე დაბალი იყო, მაჩვენებლები მკვლევრებისგან მაინც დადებითად შეფასდა. PIRLS ანგარიშის მიხედვით, გაუმჯობესებული ქულები ქვეყნის განათლების სისტემაში დანერგილი რეფორმების აშკარა შედეგი იყო. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, ბიბლიოთეკების თანამედროვე ლიტერატურით შევსებასა და კომპიუტერიზაციის პროცესზე. ანგარიშში ნათქვამია, რომ სკოლების ინტერნეტიზაციამ მოსწავლეებს და პედაგოგებს საშუალება მისცა დამატებითი ინფორმაციით გაემდიდრებინათ სასწავლო პროცესი და მოემიყინათ მასალა, რომელზეც მანამდე ხელი არ მიუწვდებოდათ. დადებითად შეფასდა მასწავლებელთა პროფესიული გამოცდების დაწყების პროცესიც, მართალია მას მოხალისეობრივი ხასიათი ჰქონდა (თავიდან გამოცდები არ იყო სავალდებულო, მასწავლებლები ნებაყოფლობით აბარებდნენ პროფესიულ გამოცდებს), მაგრამ სერტიფიცირება, შესაბამისი სტატუსი და სტატუსთან მიბმული სახელფასო დანამატები გახდა მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანი მოტივაცია, რათა მათ გაეუმჯობესებინათ პროფესიული უნარები და უკეთესად წარემართად საგაკვეთილო პროცესი. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ტრენინგები, რომელიც ქართველი მასწავლებლებისთვის ტარდებოდა, როგორც განათლების სამინისტროს, ისე სხვადასხვა დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მნიშვნელოვან რეფორმად დასახელდა, აგრეთვე, მოსწავლეთა საატესტატო გამოსაშვები გამოცდები, რამაც აიძულათ როგორც პედაგოგები, ისე მოსწავლეები, მეტი დრო დაეთმოთ საკუთარი უნარების და ცოდნის განვითარებისთვის. განათლების დეცენტრალიზაცია და რესურს-ცენტრების ჩამოყალიბება, ასევე, დასახელდა როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი განათლების სისტემის დახვეწის მიმართულებით. მნიშვნელოვანი იყო

<sup>73</sup> შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი. *წიგნიერება - 2011*. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pirls\\_2011\\_2013.pdf](https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pirls_2011_2013.pdf)

ინკლუზიური სწავლების მეთოდის დანერგვაც, რომელიც ხელს უწყობდა ყველა მოსწავლეზე ადაპტირებულ სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებას.

საბოლოო ჯამში, თითოეულმა ამ რეფორმამ გააუმჯობესა PIRLS შედეგები, თუმცა ანგარიშში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ აღნიშნული რეფორმები არ იყო საკმარისი და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა კვლავ ბევრ მუშაობას საჭიროებდა.

PIRLS 2016-ში მონაწილეობდა მსოფლიოს 50 ქვეყანა და 11 ტერიტორიული ერთეული<sup>74</sup> 310 000 მოსწავლით. გარდა კვლევის უკვე არსებული კომპონენტებისა, 2016 წლის PIRLS-ს დაემატა კომპიუტერიზებული კომპონენტი e-PIRLS პროგრამა. e-PIRLS პროგრამა ინტერნეტში მოცემული ინფორმაციის მიღება და ამ ინფორმაციის გაზრების შეფასებაა. იგი საშუალებას იძლევა გაირკვეს, თუ რამდენად ეფექტიანად შეუძლიათ მოსწავლეებს ინტერნეტში მოცემული ინფორმაციის გამოყენება სწავლის პროცესში და არსებობს თუ არა განსხვავება ინტერნეტსა და ტრადიციულ ფორმატში მოცემული ტექსტების კითხვის უნარების ფლობას შორის. აღნიშნული პროგრამა ადგენს ინტერნეტის მოხმარების დონეებს 9-10 წლის მოზარდებში.

PIRLS 2016-ის კვლევაში საქართველოდან მონაწილეობდა 200 სკოლა 5 741 მოსწავლით და მათი პედაგოგებით, ასევე, 5 700 მშობელი და 200 დირექტორი. კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს საშუალო შეფასება არ გაუმჯობესებულა. ქვეყანამ ისევ 488 ქულა მიიღო და გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა, სიაში, ამჯერად, 2006 წლის მსგავსად, 37-ე ადგილი დაიკავა (იხ. დიაგრამა 1). საქართველოს საშუალო სკალირებული ქულა, კვლავ, ჩამორჩება მსოფლიოს მედიანურ 500 ქულას და ქვეყანა ისევ ყველაზე დაბალმაჩვენებლიან სახელმწიფოთა შორისაა.<sup>75</sup>

განსაკუთრებით მძიმე შედეგები აჩვენა PIRLS 2016-ში საქართველომ სკოლის უსაფრთხოების, მოწესრიგებულობის და დისციპლინის მიმართულებით. სამივე მაჩვენებელში, 50 მონაწილიდან საქართველო უკანასკნელ 10 ქვეყანას შორის მოხვდა. ამ სამი საკითხიდან, ქვეყანამ ყველაზე უარესი შედეგი მოსწავლეების მხრიდან ერთმანეთზე განხორციელებული დამინების და ძალადობის (Bullying) ნაწილში

<sup>74</sup> ქვეყნის ცალკეული რეგიონი ან ერთი ენის წარმომადგენელი ჯგუფი. მაგალითად, კანადიდან მონაწილეობდა მხოლოდ ონტარიო, ბელგიიდან მხოლოდ ფრანგულენოვანი ნაწილი და ა.შ.

<sup>75</sup> PIRLS 2016 International Results in Reading. Via URL: <http://timssandpirls.bc.edu/pirls2016/international-results/wp-content/uploads/structure/CompletePDF/P16-PIRLS-International-Results-in-Reading.pdf>

მიიღო. კვლევის ავტორები შენიშნავენ, რომ მოსწავლეები ძალიან ხშირად საუბრობენ მათზე განხორციელებულ ძალადობრივ ფაქტებზე.<sup>76</sup>

დიაგრამა 1: საქართველოს საშუალო ქულა PIRLS 2006, 2011 და 2016 წლებში



რაც შეეხება წაკითხულის გააზრების დონეების მიხედვით მიღწევებს, 2016 წლის კვლევაში საქართველოს მოსწავლეთა მხოლოდ 2%-მა აჩვენა უმაღლესი შედეგი, 22% მაღალ საფეხურზეა, 26% დაბალ საფეხურზე, ხოლო 14% კრიტიკულ ზღვარს მიღმა დარჩა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შედეგების მხრივ განსხვავებული მონაცემები აქვს ქალაქისა და სოფლის სკოლებს. თუ ქალაქის სკოლებში წაკითხულის გააზრების მინიმალური შესაძლებლობები არ გააჩნიათ მოსწავლეთა 11%-ს, იგივე მაჩვენებელი სოფლის სკოლებში 18%-ია. საჯარო სკოლის შედეგები, ასევე, მნიშვნელოვნად ჩამორჩება კერძო სკოლის შედეგებს. განსხვავებული მონაცემები იმის მანიშნებელია, რომ განათლების სისტემა ვერ ახერხებს შეასრულოს მისი უმთავრესი მიზანი - იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი მიუხედავად სკოლის ადგილმდებარეობისა და მისი სტატუსისა. კვლევამ აგრეთვე გამოაჩინა, რომ საქართველოს მოსწავლეებს სასწავლო რესურსებზე წვდომის არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ.

რაც შეეხება e-PIRLS 2016 წლის (ინტერნეტში მოცემული ინფორმაციის მიღება და ამ ინფორმაციის გააზრების შეფასება) შედეგებს, საქართველოს აქ გაცილებით უარესი

<sup>76</sup> PIRLS 2016. *Part of School Safety*. Via URL: <http://timssandpirls.bc.edu/pirls2016/international-results/download-center/>

მაჩვენებლები ჰქონდა, ვიდრე PIRLS-ში. ქვეყანამ, საშუალოზე ბევრად დაბალი, 477 ქულა მიიღო და მონაწილე 14 ქვეყანას<sup>77</sup> შორის, მე-13 ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც, თუ PIRLS 2006 წლის და 2011 წლის კვლევის შედეგები ითარგმნა ქართულ ენაზე, მომზადდა შესაბამისი სახელმძღვანელო,<sup>78</sup> რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისთვის და ამავდროულად პრობლემების გასაანალიზებლად თითოეულ სკოლას ინდივიდუალურად დაეგზავნა<sup>79</sup>, PIRLS 2016 წლის შემთხვევაში ეს არ მომხდარა. კვლევის ფარგლებში ჩვენ დავუკავშირდით გამოცდების ეროვნულ ცენტრს, რათა გაგვერკვია, ხომ არ იყო შედეგები მომზადების პროცესში, თუმცა ამ კითხვაზე პასუხი ვერ მივიღეთ.

#### 4.4 მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა Trends in International Mathematics and Science Study (TIMSS)

TIMSS მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევაა, რომლის მიზანია ამ საგნების სწავლების ხელშეწყობა. TIMSS არკვევს მოზარდების შესაძლებლობას სამყაროს შემეცნების მიმართულებით და ხელს უწყობს მათი სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებას.

კვლევა ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება, პირველი არის მოზარდთა ტესტირება მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში მათი მიღწევების შესაფასებლად, ხოლო მეორე, იმ ფაქტორების კვლევაა, რომელიც გავლენას ახდენს აღნიშნული საგნების სწავლისა და სწავლების პროცესზე. კვლევა ორ საფეხურად, ორი ასაკობრივი ჯგუფისთვის ტარდება. პირველ ჯგუფში 9-10 წლის (მე-4 კლასი) მოზარდების უნარებს შეისწავლიან, ხოლო მეორე ჯგუფში - 13-14 წლის (მე-8 კლასი) მოსწავლეებს. მიღწევების ტესტებთან ერთად, TIMSS იყენებს შემდეგ კითხვარებს: მათემატიკის სასწავლო გეგმის კითხვარი; საბუნებისმეტყველო საგნების სასწავლო გეგმის კითხვარი; მოსწავლის კითხვარი; მათემატიკის მასწავლებლის კითხვარი;

<sup>77</sup> სინგაპური, ნორვეგია, ირლანდია, შვედეთი, დანია, აშშ, ტაივანი, კანადა, ისრაელი, იტალია, სლოვენია, პორტუგალია, საქართველო, არაბთა გაერთიანებული საემიროები.

<sup>78</sup> გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://naec.ge/#/ge/post/1496>

<sup>79</sup> PIRLS 2016 Encyclopedia. Via URL: <http://timssandpirls.bc.edu/pirls2016/international-results/encyclopedia/countries/georgia/>

საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლის კითხვარი და სკოლის კითხვარი დირექტორებისათვის. TIMSS რეგულარულად, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. საქართველომ TIMSS-ში მონაწილეობა 3-ჯერ, 2007, 2011 და 2015 წლებში მიიღო.

2007 წელს TIMSS კვლევაში მონაწილეობდა მსოფლიოს 59 ქვეყანა 425 640 მოსწავლით. საქართველოდან, TIMSS მე-4 კლასელთათვის, მონაწილეობდა 152 სკოლა, ამდენივე სკოლის დირექტორი, 410 მასწავლებელი, 203 კლასის 4 350 მოსწავლე, ხოლო მე-8 კლასელთა ნაწილში მონაწილეობდა 152 სკოლა, ამდენივე სკოლის დირექტორი, 959 მასწავლებელი, 203 კლასის 4 517 მოსწავლე.

კვლევაში საერთაშორისო საშუალო სკალირებული ქულა არის 500. 2007 წელს საქართველოს მოსწავლეების ორივე ასაკობრივი ჯგუფი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საშუალო ქულას. მე-4 კლასის საშუალო სკალირებული ქულა იყო 448, ხოლო მე-8 კლასის - 410. საქართველო ბევრად ჩამორჩა პოსტ-საბჭოთა სივრცის ისეთ ქვეყნებს, როგორცაა რუსეთი, ყაზახეთი, სომხეთი და უკრაინა. ქვეყანა რეიტინგული სიის ბოლო მეოთხედში მოხვდა.

რაც შეეხება მიღწევების საერთაშორისო საფეხურს, ქართველი მე-4 კლასელი მოსწავლეების მხოლოდ 1%-მა მიაღწია უმაღლეს საფეხურს, 33%-მა კი საერთოდ ვერ დაძლია კვლევის მინიმალური დონეც კი და ზღვარს მიღმა დარჩა. რაც შეეხება მე-8 კლასელებს, უმაღლეს საფეხურს მიაღწია, აგრეთვე, 1%-მა, ხოლო 44%-მა მინიმალური ზღვარი ვერ გადალახა.

TIMSS სწავლაზე გავლენის მომხდენ ფაქტორებად ასახელებს შემდეგ ოთხ ძირითად კომპონენტს: კეთილდღეობის ინდექსს (HDI), მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) სიდიდეს, ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკას და ეროვნულ სასწავლო გეგმას.

იმ დროისათვის საქართველოს კეთილდღეობის ინდექსი, საკმაოდ დაბალი - 0,754 იყო, დაბალი იყო ასევე GDP, რაც შეეხება საგანმანათლებლო პოლიტიკას და ეროვნულ სასწავლო გეგმას, ორივე მათგანი რეფორმების პროცესს გადიოდა. საბოლოო ჯამში, სწორედ ეს მაჩვენებლები განისაზღვრა ქვეყნის წარუმატებლობის მიზეზად. საქართველოს ხელისუფლებამ აიღო პასუხისმგებლობა, 4 წლიან შუალედში გაეუმჯობესებინა TIMSS შედეგები.<sup>80</sup>

<sup>80</sup> TIMSS 2007 International Mathematics and Science Reports. Via URL: [https://timss.bc.edu/TIMSS2007/intl\\_reports.html](https://timss.bc.edu/TIMSS2007/intl_reports.html)

2011 წელს TIMSS-ში მონაწილეობდა მსოფლიოს 63 ქვეყნის 600 000 მოსწავლე. საქართველოდან მე-4 კლასელთა კვლევაში მონაწილეობდა 173 სკოლა, 173 სკოლის დირექტორი, 302 მასწავლებელი, 232 კლასი 4 799 მოსწავლით, ხოლო მე-8 კლასელთა კვლევაში 172 სკოლა, ამდენივე სკოლის დირექტორი, 799 მასწავლებელი და 200 კლასი 4 563 მოსწავლით.

რაც შეეხება შედეგებს, საქართველომ როგორც მე-4 კლასელთათვის, ისე მე-8 კლასელთათვის კვლევაში შედეგები გაუმჯობესა. მე-4 კლასელებისთვის საშუალო ქულა უმნიშვნელოდ, 2 ერთეულით გაიზარდა და 450 ქულაზე დაფიქსირდა, ხოლო მე-8 კლასელთათვის კვლევის მაჩვენებელმა 431 ქულა შეადგინა, წინა ქულაზე 21-ით მეტი. გაუმჯობესდა, აგრეთვე, დონეების მიღწევის მაჩვენებლები, 2%-მა მიაღწია უმაღლეს საფეხურს, ხოლო ზღვარი ვერ გადალახა 28%-მა.


მიუხედავად გაუმჯობესებული მაჩვენებლებისა, საქართველო, კვლავ, ბევრად ჩამორჩა მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს და ადგილი განვითარებად ქვეყნებს შორის დაიკავა. თუმცა, კვლევის მესვეურებისგან საქართველოს შედეგების შედარებით გაუმჯობესება დადებითად შეფასდა.<sup>81</sup>

TIMSS 2015-ში საქართველოს ყველა პარამეტრით უკეთესი შეფასება აქვს. მე-4 კლასელების საშუალო სკალირებული ქულა 463, ხოლო მე-8 კლასელების - 453-ია. გაუმჯობესდა კრიტიკულ ზღვარს მიღმა დარჩენილი მოსწავლეების პროცენტული მაჩვენებლებიც. მე-4 კლასელების 22%-მა ვერ გადალახა ზღვარი, ხოლო მე-8 კლასელებში 28%-მა. გაუმჯობესებული შედეგების მიუხედავად, ქართველი მოსწავლეების საშუალო ქულა, კვლავ ბევრად ჩამორჩება მსოფლიო საშუალოს. ფაქტია, რომ 2007-2015 წლებში, 8 წლიან მონაკვეთში ქართველი მოსწავლეები ცოდნის საშუალო დონეს ვერ მიუახლოვდნენ (იხ. დიაგრამა 2).

---

<sup>81</sup> TIMSS 2011 International Mathematics and Science Reports. Via URL: <https://timss.bc.edu/timss2011/>

**დიაგრამა 2:** TIMSS 2007-2015 საქართველოს მე-4 და მე-8 კლასის მოსწავლეების შედეგები<sup>82</sup>



განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა მათემატიკის შედეგებში, მოსწავლეთა 50%-ს არ შეუძლია გადალახოს მათემატიკის კრიტიკული და დაბალი ზღვარი.

TIMSS კვლევა სწავლების პროცესის ბევრ პრობლემურ ასპექტს გამოყოფს. მაგალითად, სოფლად მცხოვრები მოსწავლეები არსებითად ჩამორჩებიან მათემატიკაში მიღწევებით ქალაქში მცხოვრებ მოსწავლეებს. თვალსაჩინო სხვაობაა, ასევე, კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეების მიღწევებს შორის. კერძო სკოლები გაცილებით უკეთეს შედეგებს აჩვენებენ. კვლევის ავტორების მიხედვით, საქართველომ TIMSS 2015 წლის შედეგები ქალაქის კერძო სკოლების ხარჯზე გაიუმჯობესა. კვლევა ბევრს საუბრობს სკოლაში სწავლის უსაფრთხოების პრობლემაზეც, საქართველოს მოსწავლეების უმეტესობა სკოლაში თავს დაცულად ვერ გრძნობს.

საბოლოოდ, TIMSS 2007, 2011 და 2015 წლის კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოს მოსწავლეებს, ამ ეტაპისთვის არ შესწევთ უნარი მათემატიკასა და

<sup>82</sup>გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრი. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/TIMSS\\_2007-2015.pdf](https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/TIMSS_2007-2015.pdf)

საბუნებისმეტყველო საგნებში კონკურენცია გაუწიონ მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების მოსწავლეებს.<sup>83</sup>

#### 4.5 მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა

##### The Programme for International Student Assessment (PISA)

PISA საერთაშორისო კვლევაა, რომელიც ამოწმებს 15 წლის მოზარდების მზაობას, გაუმკლავდნენ ყოველდღიურ გამოწვევებს იმ ცოდნისა და უნარების გამოყენებით, რომლებიც სკოლაში შეიძინეს. ეს ის ასაკია, როდესაც მოსწავლეები თითქმის ასრულებენ სავალდებულო განათლების კურსს. კვლევის მიზანს არ წარმოადგენს, შეამოწმოს, თუ რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა უშუალოდ სკოლის პროგრამა, არამედ იგი მიმართულია განსაზღვროს, რამდენად კარგად არის მოსწავლე მომზადებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური და სრულფასოვანი ჩართულობისათვის. კვლევას ახორციელებს ეკონომიკური და კულტურული განვითარების ორგანიზაცია (OECD)<sup>84</sup>.

PISA ტარდება 2000 წლიდან და ამოწმებს ცოდნას სამ სფეროში: წიგნიერება, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

**წიგნიერება** - ინდივიდის უნარი გაიგოს, გამოიყენოს, გაიაზროს და ჩაერთოს წაკითხულ ტექსტში, რათა მიაღწიოს დასახულ მიზნებს, განივითაროს ცოდნა და შესაძლებლობები და მიიღოს სრულყოფილი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

**მათემატიკური წიგნიერება** - ინდივიდის შესაძლებლობა აღიქვას და გაიგოს მათემატიკის როლი თანამედროვე მსოფლიოში, შეძლოს კარგად დასაბუთებული მსჯელობა და გამოიყენოს მათემატიკა იმ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც მას აქვს როგორც კონსტრუქციულ, მზრუნველ და მოაზროვნე მოქალაქეს.

**საბუნებისმეტყველო წიგნიერება** - ინდივიდის მეცნიერული ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენების უნარი, რაც საშუალებას მისცემს ამოიცნოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან დაკავშირებული საკითხი, მიიღოს ახალი ცოდნა, ახსნას მეცნიერული ფენომენი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნა გამოიტანოს.

კვლევა ტარდება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ და ყოველი მომდევნო ფაზისათვის, დასახელებული სამი სფეროდან, ერთ-ერთს ენიჭება პრიორიტეტული

<sup>83</sup> TIMSS 2015 International Mathematics and Science Reports. Via URL: <http://timss2015.org/#/?playlistId=0&videoId=0>

<sup>84</sup> The Organisation for Economic Co-operation and Development. Via Website: <http://www.oecd.org/>

მნიშვნელობა. ასე, მაგალითად, 2009-2010 წლის კვლევაში მთავარი კითხვის უნარების შემოწმება იყო, მაშინ, როდესაც 2012 წელს ძირითადი აქცენტი მათემატიკაზე, ხოლო 2015-ში კი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე გაკეთდა. გარდა ტესტებისა, PISA-ს ფარგლებში მოსწავლეები, მათი მშობლები და სკოლის დირექტორები ავსებენ კითხვარებს, რომელთა მიზანია აჩვენონ, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლეთა მიღწევებზე.

PISA-ს შედეგები მნიშვნელოვანია რამდენიმე ძირითადი ფაქტორის გამო:

- კვლევა ორიენტირებულია საგანმანათლებლო პოლიტიკის განსაზღვრაზე. კვლევის დიზაინი და ანგარიშების წარმოების მეთოდები მაქსიმალურად მორგებულია იმაზე, რომ შესაბამისმა სამთავრობო ინსტიტუტებმა კვლევის შედეგები გაითვალისწინონ საგანმანათლებლო პოლიტიკის განსაზღვრისას.
- პროგრამა ეფუძნება წიგნიერების „ახლებურ“ ხედვას, რაც გულისხმობს მოსწავლეთა შესაძლებლობას, გამოიყენონ ძირითად საგნებში მიღებული ცოდნა და უნარები, რათა გააანალიზონ, იმსჯელონ და ეფექტურად გადმოსცენ აზრი სხვადასხვა სიტუაციური პრობლემების გადაჭრისას.
- პროგრამა შეესაბამება უწყვეტი განათლების პრინციპს და არ შემოისაზღვრება მხოლოდ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპეტენციების შეფასებით, არამედ ამავედროულად მიზნად ისახავს მოსწავლეების მოტივაციის, თვითრწმენისა და განათლების მიღების პროცესისადმი მათი დამოკიდებულების შესწავლას.
- კვლევა რეგულარულად ტარდება, რაც მონაწილე ქვეყნებს საშუალებას აძლევს ხანგრძლივი დროის განმავლობაში თვალ-ყური ადევნონ, რა შედეგებს აღწევენ ისინი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და ამოცანების დაძლევის გზაზე.

PISA-ს ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სწავლისა და სწავლების პროცესზე მთელ მსოფლიოში.<sup>85</sup>

საქართველო PISA-ში 2-ჯერ, 2009 და 2015 წლებში მონაწილეობდა. 2012 წელს კი, ქვეყანამ კვლევაში მონაწილეობა არ მიიღო. უარის თქმის ოფიციალური მიზეზი განათლების სამინისტროს არ გაუჟღერებია, თუმცა საზოგადოებაში გავრცელებული აზრით, 2012 საარჩევნო წელს PISA განათლების სისტემის ბევრ პრობლემას

<sup>85</sup> PISA-ს შესახებ აღწერითი მასალა გადმოტანილია გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრის ვებგვერდიდან. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://naec.ge/#/ge/post/1499>

გამოიტანდა დღის სინათლეზე, რაც იმ კონკრეტულ პერიოდში, ყოფილი ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა.<sup>86</sup>

PISA 2009 წლის კვლევაში თავდაპირველად 64 ქვეყანა და ადმინისტრაციული ერთეული მონაწილეობდა. თუმცა, მოგვიანებით, 2009+ პროექტის ფარგლებში, მათ დაემატა 10 მონაწილე,<sup>87</sup> მათ შორის იყო საქართველოც (იხ. რუკა). საქართველოში საცდელი კვლევა 2009 წლის შემოდგომაზე, ძირითადი კვლევა კი, 2010 წლის გაზაფხულზე განხორციელდა.

PISA 2009-ში მონაწილე ქვეყნები აღნიშნულია მწვანე ფერით<sup>88</sup>



<sup>86</sup> ია კუტალაძის ინტერვიუ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.interpressnews.ge/ge/interviu/203318-ia-kutaladze-shashkinma-saerthashoriso-kvlevebshi-saqarthvelos-monatsileobaze-uari-imis-gamo-thqva-rom-kvlevebi-chvens-sashualo-ganathlebis-sistemashi-problemebis-arsebobas-adasturebda.html?ar=A>

<sup>87</sup> საქართველო, კოსტა რიკა, ინდოეთის ორი შტატი - ჰიმაჩალ პრადეში და ტამილ ნადუ, მალაიზია, მალტა, მავრიტანია, მირანდა - ვენესუელა, მოლდოვა და არაბეთის გაერთიანებული ემირატები.

<sup>88</sup>PISA 2009 წლის კვლევის ეროვნული ანგარიში. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pisa\\_report\\_2009.pdf](https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pisa_report_2009.pdf)

საქართველოს მოსწავლეების მიერ სამივე სფეროში - წიგნიერებაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში - მიღწეული შედეგები სტატისტიკურად OECD ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალია.

წიგნიერებაში მოსწავლეთა საშუალო ქულა 374 ბევრად ჩამოუვარდება PISA-ს საერთაშორისო საშუალო 493 ქულას. ამ მონაცემებით საქართველოს შედეგები მსგავსია ყატარის, პერუსა და პანამის მოსწავლეების მიღწევებისა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა დაახლოებით 38%-ის კითხვის უნარი იმ მინიმალურ ან მინიმალურზე დაბალ დონეს შეესაბამება, რომელიც საჭიროა კითხვის ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებისათვის. რაც შეეხება მათემატიკას, აქ საქართველოს მოსწავლეების საშუალო ქულამ 379 შეადგინა, რაც ასევე მნიშვნელოვნად დაბალია საერთაშორისო საშუალო 496 ქულაზე.

საბუნებისმეტყველო საგნებში ქართველი მოსწავლეების საშუალო ქულაა 373, რაც სხვა სფეროების მსგავსად სტატისტიკურად ძალზე ჩამორჩება საერთაშორისო საშუალო 501 ქულას.<sup>89</sup> ამ სფეროში მოსწავლეთა დაახლოებით 34% ავლენს იმ ელემენტარულ საბაზო ცოდნას, რომელიც მინიმალურ ან მინიმალურზე დაბალ საფეხურს შეესაბამება (იხ. ცხრილი 2).

**ცხრილი 2:** PISA 2009-ში სხვადასხვა სფეროში საქართველოს საშუალო და მსოფლიოს საშუალო ქულები

	საქართველო	მსოფლიო
წიგნიერება	<b>374</b>	<b>493</b>
საბუნებისმეტყველო წიგნიერება	<b>373</b>	<b>501</b>
მათემატიკური წიგნიერება	<b>379</b>	<b>496</b>

<sup>89</sup> PISA 2009 წლის მონაცემები მთლიანად ასახავს 2009 წლის კვლევის ეროვნულ ანგარიშს. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pisa\\_report\\_2009.pdf](https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pisa_report_2009.pdf)

PISA 2009 წლის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს საბაზისო საფეხურის მოსწავლეების უმეტესობა არ ფლობს იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც საჭიროა საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრირებისათვის. მათი ცოდნა და შესაძლებლობები არ არის საკმარისი განათლების შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად და შეუსაბამოა ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ მიზნებთან. PISA-მ გამოავლინა, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის იმ ცოდნის და უნარების გადაცემას, რომელიც აუცილებელია ამ ასაკის მოქალაქეებისთვის.

PISA 2015 წლის PISA-ს კვლევა კონცენტრირებული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე. კვლევაში მონაწილეობდა მსოფლიოს 70 ქვეყნის 540 000 მოსწავლე. საქართველოდან მონაწილეობა მიიღო 5 808 მოსწავლემ, 5 198 მშობელმა და 261 სკოლის დირექტორმა.

2015 წელს საქართველომ საშუალო ქულა გაიუმჯობესა და 411 ქულა მიიღო, თუმცა ის მაინც ბევრად ჩამორჩება მსოფლიო საშუალო 493 ქულას. რაც შეეხება წიგნიერებას, საქართველო იმ 41 ქვეყანას შორისაა, სადაც კითხვაში მოსწავლეთა მიღწევების საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება OECD-ის საშუალოს. საქართველოს რეიტინგული ადგილი 59-64 ადგილებს შორის დიაპაზონშია მოქცეული. PISA-ს კითხვის ტესტში მონაწილე მოსწავლეთა ნახევარი (52%) დაბალი მიღწევის ჯგუფში მოხვდა, ხოლო მაღალი მიღწევის ჯგუფში მოსწავლეთა მხოლოდ 1% მოექცა.<sup>90</sup>

მიუხედავად გაუმჯობესებული შედეგებისა, კვლევამ ისევ დაადასტურა, რომ ქართველი მოსწავლეები ჩამორჩებიან მსოფლიოს უმეტესი ქვეყნის მოსწავლეებს მიღწევებში და არ აქვთ შესაბამისი უნარ-ჩვევები. საბოლოოდ PISA-ს კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა, ფაქტობრივად, კოლაფსის ზღვარზეა.

---

<sup>90</sup> გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრი. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA. საქართველოს ნაციონალური ანგარიში. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/PISA-2015-angarishi.pdf>

#### 4.6 მასწავლებელთა განათლების და განვითარების საერთაშორისო კვლევა - მათემატიკა

##### Teacher Education and Development Study in Mathematics (TEDS-M)

მასწავლებელთა განათლების და განვითარების საერთაშორისო კვლევა შეისწავლის დაწყებითი და საბაზო საფეხურის მათემატიკის მომავალი მასწავლებლების მომზადების პოლიტიკას, პრაქტიკას და შედეგებს. იგი არის ერთ-ერთი პირველი ფართომასშტაბიანი შედარებითი კვლევა, რომლის მიზანია მასწავლებელთა განათლების პროგრამების სრულყოფა და, ამგვარად, სწავლისა და სწავლების ხელშეწყობა. TEDS-M-ი მასწავლებელთა საგანმანათლებლო სისტემას იკვლევს სამ ძირითად დონეზე: 1. ეროვნული პოლიტიკის, 2. ინსტიტუტებისა და პროგრამების და 3. შედეგების დონეებზე.<sup>91</sup>

კვლევის სამიზნე პოპულაციაა:

- სტუდენტები - მომავალი მათემატიკის მასწავლებლები, რომლებიც სწავლის ბოლო კურსზე იმყოფებიან. უფრო კონკრეტულად, დაწყებითი კლასების მომავალი მასწავლებლები, რომლებიც სწავლის დასრულების შემდეგ, დაწყებით კლასებში, სხვა საგნებთან ერთად, მათემატიკასაც ასწავლიან. ასევე, საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მათემატიკის მომავალი მასწავლებლები;
- მომავალ მასწავლებელთა მათემატიკის ლექტორები;
- ზოგადი პედაგოგიკის ლექტორები;
- ინსტიტუტები და პროგრამები, რომლებიც მომავალ მათემატიკის მასწავლებლებს ამზადებენ.<sup>92</sup>

TEDS-M პირველად 2008 წელს ჩატარდა და მასში 16 ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველოდან შესწავლილ იქნა ის 10 უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ამზადებს მომავალ პედაგოგებს, 584 სტუდენტი, 41 მათემატიკის და მათემატიკის სწავლების ლექტორი და 20 ზოგადი პედაგოგიკის ლექტორი.

<sup>91</sup> გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრი. რა არის TEDS-M. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://naec.ge/#/ge/post/1498>

<sup>92</sup> კუტალაძე, ია. საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში. 2012. CSS. ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://css.ge/files/Papers/ia\\_kutaladze\\_September\\_2012\\_Geo.pdf](http://css.ge/files/Papers/ia_kutaladze_September_2012_Geo.pdf)

რაც შეეხება შედეგებს, კვლევაში მონაწილე ყველა ქვეყნის დაწყებითი კლასის მომავალმა მასწავლებლებმა ზოგადად კარგი შედეგები აჩვენა, მათემატიკასა და მათემატიკის პედაგოგიკაში. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ საქართველო. საქართველოს სტუდენტებს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ კვლევაში მონაწილეთა შორის. დაწყებითი კლასის მომავალი მასწავლებლების მათემატიკის ცოდნის საშუალო სკალირებული მაჩვენებელი 344-ია. კვლევაში მონაწილე 16 ქვეყნიდან, 5-მა ქვეყანამ საერთაშორისო საშუალოზე დაბალი შედეგები აჩვენა, თუმცა მათ საქართველოსთან შედარებით მაინც მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ. ანალოგიური ვითარებაა მათემატიკის პედაგოგიკაშიც.<sup>93</sup>

#### 4.7 სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა

##### The Teaching and Learning International Survey (TALIS)

TALIS არის პირველი საერთაშორისო კვლევა, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს: პროფესიული განვითარება, შეფასება და უკუკავშირი, პროფესიითა და სამუშაო ადგილით კმაყოფილება, მასწავლებლების სკოლაში საქმიანობა, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მეთოდები, ღირებულებები და დამოკიდებულებები. კვლევის მიზანია, დაეხმაროს მონაწილე ქვეყნებს მასწავლებლის პროფესიის განვითარებაზე ორიენტირებული, ეფექტიანი პოლიტიკის დანერგვაში.

TALIS 2008 წლიდან ხორციელდება. საქართველო კვლევას 2013 წელს შეუერთდა, ხოლო სავლე სამუშაოები 2014 წელს ჩატარდა. TALIS 2013 - ში მონაწილეობა მიიღო 35-მა ქვეყანამ. საქართველოდან 440-მა სკოლის დირექტორმა და 6000-ზე მეტმა მასწავლებელმა.<sup>94</sup>

TALIS 2013 კვლევის მნიშვნელოვანი მიგნებებია:

- საქართველოში საბაზო საფეხურის მასწავლებლების საშუალო ასაკი 48 წელია, რაც 5 წლით მეტია TALIS-ში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე. 60 წლისა და უფროსი ასაკის მასწავლებლების წილი (19%) კვლევაში მონაწილე

<sup>93</sup> შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/teds\\_m-20102014.pdf](https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/teds_m-20102014.pdf)

<sup>94</sup> გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრი. TALIS 2013 აღწერა. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://naec.ge/#/ge/post/1346>

ყველა სხვა ქვეყანაზე მაღალია (TALIS საშუალო 6%-ია). საქართველო ასევე გამოირჩევა ახალგაზრდა მასწავლებლების დაბალი წილით სისტემაში. 30 წლამდე ასაკის მასწავლებლების წილი 6%-ია, რაც 2-ჯერ ნაკლებია TALIS-ის საშუალო მაჩვენებელზე (12%).

- საქართველოში საბაზო და საშუალო საფეხურების მასწავლებლების ნახევარს მიაჩნია, რომ ძალიან კარგად არის მომზადებული იმ საგანში, რომელსაც ასწავლის, ხოლო მასწავლებლების 46% კარგად მომზადებულად მიიჩნევს თავს. თუ საქართველოს კვლევაში მონაწილე სხვა ქვეყნებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ ქართველი მასწავლებლები უფრო მომზადებულად გრძნობენ თავს, ვიდრე TALIS-ში მონაწილე ქვეყნების მასწავლებლები საშუალოდ. კვლევის ავტორების შეფასებით, წარმატებული განათლების სისტემის მქონე ქვეყნების მასწავლებლების კმაყოფილების დონე, გაცილებით ჩამოუვარდება საქართველოს მასწავლებლებისას, რაც გარკვეული თვალსაზრისით ხელს უშლის ინდივიდუალური პედაგოგის განვითარების სურვილსა და შესაძლებლობას.
- ერთსა და იმავე სკოლაში მასწავლებლად მუშაობის გამოცდილების საშუალო მაჩვენებელი საქართველოში 18 წელია, რაც 8 წლით აღემატება TALIS-ში მონაწილე ქვეყნების საშუალოს. საქართველოში მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება კი საშუალოდ 23 წელია.
- საქართველოში მასწავლებლების ნახევარზე მეტი არასრულ განაკვეთზე მუშაობს. TALIS-ში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 18%-ია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართველი მასწავლებლების 88% არასრულ განაკვეთზე მუშაობს არა საკუთარი არჩევანით, არამედ სრულ განაკვეთზე მუშაობის შესაძლებლობის არარსებობის გამო.
- კერძო სკოლებში კლასების საშუალო ზომა 10 მოსწავლით ნაკლებია საჯარო სკოლების კლასების საშუალო ზომაზე. კერძო სკოლებში ასევე საგრძნობლად აღემატება დამხმარე პედაგოგიური პერსონალის საშუალო მაჩვენებელი საჯარო სკოლების მონაცემებს: საჯარო სკოლებში საშუალოდ 35 პედაგოგზე 1 დამხმარე პედაგოგიური პერსონალი მოდის, კერძო სკოლებში ეს შეფარდება 12:1-თანაა. ასევე, კერძო სკოლებში საშუალოდ უფრო მეტი ადმინისტრაციული პერსონალი ჰყავთ: კერძო სკოლებში საშუალოდ 6, საჯარო სკოლებში კი - 3 ადმინისტრაციული თანამშრომელი მუშაობს.

- საბაზო და საშუალო საფეხურის დირექტორების ყველაზე დიდი ნაწილი სკოლების მუშაობის შემაფერებელ ფაქტორად კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობას ასახელებენ.
- დირექტორების ნახევარი ასევე პრობლემატურად მიიჩნევს ბიბლიოთეკის მასალების ნაკლებობას ან შეუსაბამობას (51%); სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი კომპიუტერული პროგრამების ნაკლებობას ან შეუსაბამობას (51%); სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი კომპიუტერების ნაკლებობას ან შეუსაბამობას (49%); დამხმარე პერსონალის ნაკლებობას (48%); სასწავლო მასალების შეუსაბამობას ან ნაკლებობას (47%) და არასაკმარის წვდომას ინტერნეტზე (46%).
- სკოლის ბიუჯეტის განაწილების თვალსაზრისით, საქართველო დაბალი ავტონომიურობის მქონე ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. ასევე დაბალია ავტონომიურობის ხარისხი სწავლა-სწავლების შინაარსისა და შეფასების პოლიტიკის განსაზღვრაში. სასწავლო მასალების არჩევისა და სასწავლო საგნების შერჩევის თვალსაზრისით, საქართველო საშუალო დონის ავტონომიურობის მქონე სისტემებს განეკუთვნება.
- პროფესიული განვითარების კონტექსტში ქალაქში ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერად მოტივატორების არარსებობას ასახელებენ (მასწავლებლების 55%), სოფლად ყველაზე ხშირად მონიშნავდა პრობლემა ფინანსური ბარიერია (54% და 44%).
- როგორც მასწავლებლების, ასევე დირექტორების შედარებით დიდი ნაწილი ეთანხმება იმას, რომ პროფესიულმა გამოცდებმა მასწავლებლებს უზიძგა მიეღოთ ახალი ცოდნა ან განეახლებინათ ძველი (72% მასწავლებლებში და 88% დირექტორებში).
- საქართველოს მასწავლებლების განცხადებით, ისინი ხშირად ან თითქმის ყველა გაკვეთილზე ამღევენ საშუალებას მოსწავლეებს თავად შეაფასონ საკუთარი წინსვლა. ამ მაჩვენებლით საქართველო თითქმის ორჯერ აღემატება TALIS-ისა და 3-ჯერ ფინეთის საშუალოს.<sup>95</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პედაგოგები არ აღიარებენ სასწავლო პროცესში არსებულ გარღვევებს და გადაჭარბებულად აფასებენ შესრულებულ სამუშაოს. წინააღმდეგ

<sup>95</sup> გამოცდების და შეფასების ეროვნული ცენტრი. *სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS) - ეროვნული ანგარიში 2015*. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/talis%20final%20report\\_ready\\_print%20links.pdf](https://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/talis%20final%20report_ready_print%20links.pdf)

შემთხვევაში, საქართველოს მოსწავლეების შედეგები მინიმუმ მიახლოებული უნდა იყოს ფინეთის მოსწავლეების მაჩვენებლებს.

TALIS შემდეგი კვლევა საქართველოში 2018 წელს ჩატარდება. ახალი კვლევის შედეგები და ძველ კვლევასთან შედარებითი ანალიზი, შექმნის უფრო ნათელ წარმოდგენას მასწავლებლების სწავლისა და სწავლების ხარისხის შესახებ საქართველოში.

#### 4.8 თაობა გარდამავალ პერიოდში

საერთაშორისო კვლევა არ არის, თუმცა საქართველოს განათლების სისტემაში არსებულ მდგომარეობის მნიშვნელოვან ასპექტებზე წარმოდგენას იძლევა ფრიდრიხ ებერტის 2016 წლის კვლევა საქართველოში - „თაობა გარდამავალ პერიოდში“. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნით, ამ კვლევის ზოგიერთი მიგნების ჩამოთვლა.

კვლევის მიგნებების თანახმად:

- საქართველოს ახალგაზრდების 59%-ს კავშირი არ აქვს არცერთ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, ასეთი ახალგაზრდების დიდ ნაწილს წარმოადგენს 19-24 (63%) და 25-29 წლის (95%) ასაკობრივი კატეგორიები.
- საქართველოს ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (51%) მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ყოველდღიური ცხოვრება რთული და სტრესულია.
- რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების 52% მიიჩნევს, რომ საქართველოში განათლების ხარისხი საშუალოდ დამაკმაყოფილებელია. რაოდენობრივი კვლევის შედეგებისაგან განსხვავებით, თვისებრივი კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საგანმანათლებლო გარემო, ზოგადად არადამაკმაყოფილებელია. იგივე დამოკიდებულება დაფიქსირდა განათლების ხარისხის მიმართაც.
- 19-24 წლის ახალგაზრდების 51% წიგნებს/გაზეთებს კითხულობს ხშირად ან ხანდახან, მაშინ როცა 25-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ასეთი ახალგაზრდების რიცხვი უფრო დაბალია (38%).
- დასაქმებული ახალგაზრდების 31% საკუთარი პროფესიით მუშაობს ნაწილობრივ ან სრულად, ხოლო 35% არ არის საკუთარი პროფესიით დასაქმებული.

- რეგიონულ ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ კარგი იქნებოდა, უკეთესი განათლების მიღების მიზნით, შეეცვალათ საცხოვრებელი ადგილი.
- ახალგაზრდების უმრავლესობა აღიარებს უმაღლესი განათლების მიმართ არსებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას, კერძოდ, მიუხედავად პირადი ინტერესებისა და სურვილებისა, უნივერსიტეტის დამთავრება აუცილებელია.
- ახალგაზრდების 85% ფიქრობს, რომ დასაქმების კუთხით ქვეყანაში საგანგაშო მდგომარეობაა.<sup>96</sup>

## 5. განათლების სამინისტროს ბიუჯეტი და ადმინისტრაციული ხარჯები

### 5.1 მიგნებები:

- 2018 წელს, 2012 წელთან შედარებით, განათლების სამინისტროს ბიუჯეტი ქვეყნის ბიუჯეტთან მიმართებით არ შეცვლილა, ხოლო 2013-2017 წლებში სამინისტროს დაფინანსების პროცენტული წილი უმნიშვნელოდ იცვლება - ზოგიერთ შემთხვევაში იმატებს, ზოგიერთ შემთხვევაში იკლებს.
- განათლების სამინისტროს ბიუჯეტთან მიმართებით, ცალკეული პროგრამების დაფინანსების პროცენტული წილი მეტწილად მცირდება.
- საქართველოში განათლების და მეცნიერების სფეროს დაფინანსება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს.
- ქვეყნები, რომელთა სახელმწიფო დანახარჯები საქართველოსას უტოლდება, დაახლოებით 2-ჯერ მეტს ხარჯავენ განათლებაზე, ვიდრე საქართველო.
- 2013-2018 წლებში განათლების სამინისტროს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული და შტატგარეშე თანამშრომლების რაოდენობა თითქმის ერთმანეთს უტოლდება.

<sup>96</sup> ფრიდრიხ ებერტის ფონდი. *თაობა გარდამავალ პერიოდში -2016*. ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo\\_YouthStudy\\_Georgia\\_Web.pdf](http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf)

- 2013-2018 წლებში თითქმის ყოველ წელს იზრდება განათლების სამინისტროს შტატგარეშე თანამშრომლების თანამდებობრივი სარგოს და პრემია-დანამატების საერთო ჯამი.

## 5.2 ბიუჯეტი

განათლების სამინისტროს დაფინანსება მოიცავს 9 ძირითად პროგრამას: განათლების და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა, სკოლამდელი და ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება, მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, ინკლუზიური განათლება, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები და ათასწლეულის გამოწვევა საქართველო - მეორე პროექტი.

2018 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განათლების დაფინანსება 1 186 215 000 ლარია. 2012 წლიდან, განათლების სამინისტროს აბსოლუტურ რიცხვებში გამოხატული დაფინანსება იზრდება. ამ თემაზე ხშირად საუბრობენ ხელისუფლების წარმომადგენლები და აღნიშნავენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ განათლება ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა, ამის აშკარა დადასტურებად კი, ბიუჯეტის ზრდის ტენდენციას ასახელებენ. მაგალითად, პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, „ქართული ოცნების“ დეპუტატი, მარიამ ჯაში, პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოსვლისას ხშირად მიუთითებს, რომ 2012 წლიდან განათლების ბიუჯეტის ზრდა აჩვენებს ხელისუფლების ნებას, განათლება იყოს სახელმწიფოში ყველაზე მეტად პრიორიტეტული მიმართულება.<sup>97</sup> თუმცა, მსგავსი რიტორიკა ნაკლებად შეესაბამება განათლების დაფინანსების არსებულ სურათს. იმისათვის, რომ განათლების დაფინანსების ცვლილების ტენდენცია ვნახოთ, საჭიროა, მისი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებთან და ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) შეფარდება. ზოგადად, როდესაც რომელიმე სფეროს პრიორიტეტულობაზე მივუთითებთ და მას დაფინანსების ზრდის არგუმენტით ვამყარებთ, მნიშვნელოვანია, დარწმუნებულები ვიყოთ, რომ ბიუჯეტთან და მშპ-თან წილობრივი თანაფარდობა ნამდვილად ზრდადია. განათლების სამინისტროს დაფინანსების შეფარდება ქვეყნის ბიუჯეტთან, გვიჩვენებს, რომ 2012 წელთან

<sup>97</sup> მარიამ ჯაშის გამოსვლა პარლამენტის წინაშე. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://factcheck.ge/wp-content/uploads/2018/06/PDF-1-02.05.2018.pdf>

შედარებით, განათლების ბიუჯეტი არ შეცვლილა, 6 წლიან მონაკვეთში კი, განათლების ბიუჯეტი მნიშვნელოვნად არ იცვლება - ზოგიერთ შემთხვევაში მცირე პროცენტული პუნქტით იკლებს, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე, უმნიშვნელოდ იმატებს.

2012 წელს განათლების სამინისტროს დაფინანსება, სახელმწიფო ბიუჯეტთან შედარებით, 9.5% იყო. იგივე 9.5%-ია 2018 წელსაც. 2013 წელს დაფინანსება 9.4% იყო, 2014 წელს - 9.2%, 2015 წელს - 9.5%, 2016 წელს - 10.3%, ხოლო 2017 წელს -11.2% (იხ. ცხრილი1 და დიაგრამა 1).<sup>98</sup>


**ცხრილი 1:** 2012-2018 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებში განათლების სამინისტროს დაფინანსება აბსოლუტურ რიცხვებში (თანხა ათას ლარებში) და პროცენტული წილი

წელი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
თანხა	626 744.00	615 975 922	687 971 752	776 378 111	904 356 716	1 052 996 982	1 186 215.0
ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი	6 566 316.00	6 545 615 231	7 479 426 192	8 157 998 445	8 741 830 825	9 372 089 997	12 459 500.0
%	9.5 %	9.4 %	9.2 %	9.5 %	10.3 %	11.2 %	9.5 %

**შენიშვნა:** 2012-2017 წლებში მიმოხილულია შესრულებული ბიუჯეტები, ხოლო 2018 წელს ბიუჯეტის გეგმა.

<sup>98</sup> საქართველოს სახელმწიფო ხაზინა. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებები. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://treasury.ge/5631>  
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 2018. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/tavebi/VI\\_TAVI\\_11.12.2017.pdf](https://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/tavebi/VI_TAVI_11.12.2017.pdf)

დიაგრამა 1:



როგორც ცხრილიდან ჩანს, 2012-2018 წლებში, განათლების სამინისტროს ყველაზე მაღალი დაფინანსება 2017 წელს ჰქონდა და შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 11.2%-ს, ხოლო ყველაზე დაბალი იყო 2014 წელს და შეადგენდა 9.2%-ს.

რაც შეეხება განათლების ბიუჯეტში ცალკეული პროგრამების დაფინანსებას, მაგალითად, ზოგადი განათლების დაფინანსების წილი ბიუჯეტში 2013 წლიდან ყოველწლიურად მეტწილად მცირდება და 2018 წელს ყველაზე დაბალ მაჩვენებელზეა დაფიქსირებული (იხ. ცხრილი 2).

**ცხრილი 2:** 2013-2018 წლებში ზოგადი განათლების ბიუჯეტი და მისი მიმართება განათლების სამინისტროს ბიუჯეტთან<sup>99</sup>

წელი	ზოგადი განათლების ბიუჯეტი	განათლების სამინისტროს ბიუჯეტი	ზოგადი განათლების ბიუჯეტის წილი განათლების სამინისტროს ბიუჯეტში (%)
2013	469 565 892	615 975 922	76.2%
2014	436 040 137	687 971 752	63.3%
2015	485 043 770	776 378 111	62.4%
2016	576 446 655	904 356 716	63.7%
2017	642 603 013	1 052 996 982	61%
2018	678 065.00	1 186 215.0	57.2%

2015 წლიდან მცირდება პროფესიული განათლების დაფინანსებაც. აბსოლუტურ რიცხვებში გამოხატული ზრდის მიუხედავად, პროცენტულად, განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან მისი წილი მცირდება (იხ. ცხრილი 3).

**ცხრილი 3:** 2012-2018 წლებში პროფესიული განათლების დაფინანსება განათლების სამინისტროს ბიუჯეტში

წელი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
პროფესიული განათლების დაფინანსება	9,3 მლნ	13,3 მლნ	23,2 მლნ	33,0 მლნ	33,7 მლნ	36,5 მლნ	43,5 მლნ

<sup>99</sup> საქართველოს სახელმწიფო ხაზინა. *სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშგებები. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება*. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://treasury.ge/5631>;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. *საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტების ასიგნებები*. 2018 წლის გეგმა. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/tavebi/VI\\_TAVI\\_11.12.2017.pdf](https://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/tavebi/VI_TAVI_11.12.2017.pdf)

განათლების სამინისტროს ბიუჯეტთან შეფარდება	1.5%	2.1%	3.4%	4.3%	3.7%	3.4%	3.6%
---	------	------	------	------	------	------	------

გარდა ბიუჯეტთან მიმართებისა, დაფინანსების ტენდენციის დასანახად, მნიშვნელოვანია ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) განათლების დაფინანსების შედარება. ამ მონაცემის მიხედვით, 2013 და 2014 წლებში, 2012 წელთან შედარებით, განათლების ბიუჯეტი შემცირებულია და შეადგენს მშპ-ს 2.3%-ს, ხოლო 2015-2016 წლებში, მშპ-თან მიმართებით იზრდება და შეადგენს: 2015 წელს - 2.4%-ს, 2016 წელს - 2.7%-ს, 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, არ იცვლება და ისევ 2.7%-ს შეადგენს (იხ. ცხრილი 4).

**ცხრილი 4:** 2012-2017 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი და განათლების ბიუჯეტის წილი მშპ-თან მიმართებით<sup>100</sup>

წელი	2012	2013	2014	2015	2016	2017
მშპ (მიმდ. ფასებში მლნ)	26167.3	26847.4	29150.5	31755.6	34028.5	38042.2
განათლების ბიუჯეტის მშპ-თან პროცენტული მიმართება	2.4%	2.3%	2.3%	2.4%	2.7%	2.7%

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ პროგრამის დაფინანსების ზრდის ან/და კლების ტენდენციის აღსაწერად, მისი აბსოლუტურ რიცხვებში დასახელება

<sup>100</sup> საქართველოს სტატისტიკის სამსახური. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში. ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=118&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo)

არასრულყოფილ ინფორმაციას იძლევა. ტენდენციის შესაფასებლად, აუცილებელია, აბსოლუტური რიცხვების სახელმწიფო ბიუჯეტთან და მშპ-თან თანაფარდობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს.<sup>101</sup> ქვეყნები, რომელთა სახელმწიფო დანახარჯები საქართველოსას უტოლდება, საშუალოდ, დაახლოებით ორჯერ მეტს ხარჯავენ განათლებაზე. მაგალითისათვის, ლატვიასა და ესტონეთში, საქართველოს მსგავსად, საშუალოზე მაღალია სახელმწიფო დანახარჯები, მაგრამ განათლებაზე საქართველოსთან შედარებით, დაახლოებით 2-ჯერ მეტი თანხა იხარჯება.

### 5.3 ადმინისტრაციული ხარჯები

„საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, შრომის ანაზღაურება (ხელფასი) მოიცავს: თანამდებობრივ სარგოს, სახელფასო დანამატს, საკლასო დანამატს და ფულად ჯილდოს (2018 წლამდე ეწოდებოდა პრემია).<sup>102</sup>

განათლების სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით, მიმდინარე წელს სამინისტროს მიერ შრომის ანაზღაურებაზე უნდა დაიხარჯოს 21 761 000 მლნ ლარი. 2013 წელს იგივე მუხლის დაფინანსება შეადგენდა 21 420 395 მლნ ლარს (იხ. ცხრილი 5).

**ცხრილი 5:** 2013-2018 წლებში განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან, შრომის ანაზღაურებაზე მიმართული თანხები

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018
შრომის ანაზღაურება	21 420 395	17 615 631	25 807 042	26 173 096	20 838 447	21 761 000
შრომის ანაზღაურების წილი ბიუჯეტიდან	3.5%	2.5%	3.3%	2.8%	2%	1.8%

<sup>101</sup> განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები - განსხვავებული ვერსია. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf>

<sup>102</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში შრომის ანაზღაურების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3971683>

როგორც ცხრილიდან ჩანს, აბსოლუტურ რიცხვებში გამოხატული შრომის ანაზღაურება მეტწილად იზრდება, თუმცა სამინისტროს ბიუჯეტში პროცენტულად მცირდება.

რაც შეეხება უშუალოდ განათლების სამინისტროს აპარატის შრომის ანაზღაურებას, ჩვენ შევისწავლეთ 2016-2018 წლების მონაცემები. 2016 წელს სამინისტროს აპარატის თანამშრომლების თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 3 099 398 მლნ ლარს, პრემია - 1 237 040 ლარს, ხოლო დანამატი - 500 917 ლარს. ჯამში, 2016 წელს აპარატის თანამშრომლების შრომის ანაზღაურება იყო 4 837 355. 2017 წელს თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 2 771 164 მლნ ლარს, პრემია - 810 535 ლარს, ხოლო დანამატი - 763 245 ლარს. ჯამში, 2017 წელს აპარატის შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 4 344 944 ლარი. 2018 წელს, 6 თვის მონაცემებით, გაცემულია თანამდებობრივი სარგო 2 028 742 ლარი, ხოლო დანამატი 1 192 ლარი, ჯამში, 2 029 934 (იხ. ცხრილი 6).

**ცხრილი 6:** 2016-2018 წლებში განათლების სამინისტროს აპარატის შრომის ანაზღაურება

	2016	2017	2018 (6 თვის მონაცემი)
თანამდებობრივი სარგო	3 099 398	2 771 164	2 028 742
დანამატი	500 917	763 245	1 192
პრემია	1 237 040	810 535	0 <sup>103</sup>
ჯამი	4 837 355	4 344 944	2 029 934

2013-2018 წლებში განათლების სამინისტროს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული და შტატგარეშე თანამშრომლების რაოდენობა თითქმის ერთმანეთს უტოლდებოდა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შტატგარეშედ დასაქმებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურებაც. 2013-2018 წლებში, თითქმის ყოველ წელს

<sup>103</sup> კანონის მიხედვით პრემია გაიცემა წლის ბოლოს. რადგან საანგარიშო წელი არ დასრულებულა, შესაბამისად, 2018 წელს პრემიები ჯერ არ გაცემულა

იზრდება სამინისტროს შტატგარეშე თანამშრომლების თანამდებობრივი სარგოს და პრემია-დანამატების საერთო ჯამი (იხ. ცხრილი 7).<sup>104</sup>

**ცხრილი 7:** 2013-2018 წლებში განათლების სამინისტროს შტატგარეშე თანამშრომლების თანამდებობრივი სარგო და პრემია-დანამატები

წელი	თანამდებობრივი სარგო	პრემია	დანამატი
2013	900 886	253 458	3 380
2014	1 290 308	422 647	-
2015	1 283 703	403 645	-
2016	2 442 349	548 280	-
2017	2 459 347	288 768	102 441
2018 (6 თვე)	1 229 921	-	-
<i>სულ</i>	9 606 514	1 916 798	105 821

#### 5.4 ავტოპარკის ხარჯები

განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის ივლისის მდგომარეობით, სამინისტროს ჰყავს 29 ავტომობილი, რომლის საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 886 702 ათას ლარს. 2018 წლის პირველ 6 თვეში, მძღოლებზე გაცემული შრომის ანაზღაურება შეადგენს 103 ათას ლარს, მანქანების ტექნიკური ხარჯები - 44 973 ლარს, ხოლო საწვავის ხარჯები 64 827 ლარს.

2013-2018 წლებში, წლების მიხედვით ცალ-ცალკე, განსხვავებულია, როგორც სამინისტროს ავტოპარკის შემადგენლობა, ისე შრომის ანაზღაურებაზე, ტექნიკურ მომსახურებასა და საწვავზე გაწეული ხარჯები (იხ. ცხრილი 8).

<sup>104</sup> განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური წერილი

**ცხრილი 8: 2013-2018 წლებში განათლების და მეცნიერების სამინისტროს ავტოპარკის ხარჯები<sup>105</sup>**

	2013	2014	2015	2016	2017	2018 (6 თვე)
ავტომობილების რაოდენობა	29	28	28	27	27	29
საერთო საბალანსო ღირებულება	1 051 827	884 346	877 892	849 431	849 431	886 702
მძღოლების შრომის ანაზღაურება	105 936	160 660	145 435	184 409	176 447	103 937
ტექნიკური მომსახურება	46 787	56 916	80 589	84 461	85 193	44 973
საწვავის ხარჯები	102 027	170 397	138 730	118 426	152 0297	64 827

<sup>105</sup> განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალური წერილი